სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 ოქტომბერი 2001 №202 (1475) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართ-ველური ამბები

ამ უქმეებზე საქართველოს ერთი ჩემპიონატი დაიწყო, მეორე პირველ წრეს გასცდა, მესამემ კი დასკვნითი ფაზისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. შეჯიბრებები სხვადასხვა ეტაპზეა, თუმც საერთო ნაღდად აქვთ: სამგანვე კურიოზული და ნორმალური ჩემპიონატისთვის წარმოუდგენელი ამბები ხდება



ყოჩები — ლოკომოტივი 15:18 გია ჯავახიშვილმა მსაჯობაზე შუა თამაშში აიღო ხელი

ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

## კალათბურთელებთან თავიდანვე ბნელა

საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბაღში დენი არ იყო, რაღაც მანქანებით მხოლოდ ელექტროტაბლო ანათებდა და კალათბურთელებმა ფანჯრებიდან შემოჭრილ მზის შუქზე სამი მატჩი გამართეს. მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ფავორიტებმა იმარჯვეს, მათ შორის რუსთავის „აზოტმაც", რომელმაც 86:70 ჩაუმწარა „ქუთაისს" ჩემპიონატში ხელახალი დებიუტი.

## მორაგბეებს მსაჯი შუა თამაშში გაექცათ

ავლაბარში „ყოჩები" — „ლოკომოტივის" პრინციპული დაპირისპირება ერთმა მსაჯმა დაიწყო და მეორემ დაამთავრა. მორაგბეებთან კამათით გაბეზრებულმა გია ჯავახიშვილმა უარი თქვა შეხვედრის გაგრძელებაზე და აზრი არც მრავალთა დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ შეუცვლია. მატჩი ჩაშლისაგან თანამსაჯმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა იხსნა, რომელმაც ჯავახიშვილი შეცვალა და საბოლოოდ თქმში „ლოკომოტივს" 18:15 მოგება დააფიქსირა.

## ვაკეში სტადიონიც საარჩევნო უბანია

თუკი არჩევნებს არ დაჰკლებია გაწევ-გამოწევა და მუშტი კრივი, აბა, ისე როგორ იქნებოდა, საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურს მსაჯების მიმართ უკმაყოფილების გამოუხატავად ჩაევლო.

ბოლნისში თანამსაჯს ესროლეს... გაურკვეველი საგანი, რის მერეც ქომაგთა დაწყნარება „სიონის" ფეხბურთელებს და ბოლნისელ პოლიციელებს მოუხდათ. ავჭალაში სტუმართა გუნდისთავი რომ გააფრთხილეს, ამას თანაგუნდელთა აღშფოთება მოჰყვა, წყალტუბოში არბიტრმა შვიდი მოთამაშე „გააყვითლა", ვაკეში ყველანი, მსაჯიან-ფეხბურთელებიანად ლანძღეს, ზესტაფონში კი მატჩის ბოლოს მთელი სტადიონი დაბოლეს, რითაც სტუმრებმა ისარგებლეს და მატჩი სათავისო შედეგით დააბოლოვეს.



გურულთა კაპიტან თამაზ გაბრიჭიძის (ბურთით) გაფრთხილებამ „სინათლეზე" დიდი გაწევ-გამოწევა გამოიწვია



შევარდენი — დინამო 62:81. დინამოელი გიგი ნაცვლიშვილის გარღვევა ფანჯრებიდან შემოჭრილ მზის შუქზე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

# 12 ტური

# იჰ, სადაც კვამლიც ტკბილია

ზესტაფონი. 21 ოქტომბერი. 16.00 საათი. მეტალურგი. 2 000 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 1:1 ბათუმი

1:0 შეყრილაძე (71), 1:1 დარჩიძე (90)

1 მერკვილიშვილი
18 გურეშიძე
2 მაღლაკელიძე 3 ორმოცაძე
4 მერებაშვილი
15 შეყრილაძე
14 მემარნიშვილი 16 გეწაძე 10 კრავეიშვილი
8 სუხიაშვილი 11 ფირცხალაიშვილი

მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

10 აფხაზავა 9 მაჭუტაძე
10 ტუღუში
2 გ. ჩხაიძე 7 ხუჯაძე 5 ზვ. გვაზავა 6 ქაცარავა
3 მინდაძე 4 არჩვაძე
18 თურმანიძე
1 ჭანტურია

მწვრთნელი: ახლან ბალაძე

შეცვლა: სუხიაშვილი — 10. კრავეიშვილი (57), ჩხაიძე — 8. რომანაძე (75), გვაზავა — 15. დარჩიძე (76), ფირცხალაიშვილი — 9. ხმალაძე (78), კრავეიშვილი — 7. სამხარაძე (90)

გაფრთხილება: თურმანიძე (40), ფირცხალაიშვილი (72)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ზ. დოლიძე (თბილისი), კ. გაბრიაძე, ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 27 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 2 | კარში დარტყმა | 1 |
| 8 | თამაშგარე | 7 |

ვახტანგ ბზიკაძე ზესტაფონიდან

**ორი მატჩი,** წესისამებრ, საკმარისი არ არის ურთიერთშეხვედრების ისტორიის შესაქმნელად.

ორმა მატჩმა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, არც იმის გასარკვევად იკმაროს, რომელი მეტოქე უფრო ძლიერია. მით უმეტეს ვერ განაზოგადებ ერთი შეხვედრის შედეგს. მით უფრო, თუ ეს შედეგი ფრეა, მაგრამ...

ზესტაფონში ბათუმელთა სტუმრობას აქამდე ორჯერ შევსწრებივარ და მიუხედავად იმისა, რომ ფეროს ქალაქის მკვიდრთა გულში მაშინდელი მასპინძლის, „მარგვეთის" ადგილი ახლა „მეტალურგს" უჭირავს, იმერელ ქომაგთა განწყობა, არ მეშლება, ძველებურია, გამორჩეული.

— ეს ჩვენი არაერთგზის გამამწარებელი მოსულა და შინ ისე არ გავუშვათ, თავი არ დავამახსოვროთ, მიდით ბიჭებო, ჰკა მაგათო — ლიტერატურულად ასე ჟღერდა ზესტაფონური პუბლიკის საამმატჩო დევიზი.

ამ ორი ქალაქის გუნდთა ასეთ მწარე მეტოქეობას 90-იან წლებში საქართველოს თასის ნახევარფინალში ორგზის დაწყვილებამ ჩაუყარა საფუძველი.

ის, რაც იმერელთათვის მწარე იყო, ცხადია აჭარლებისთვის გამოდგა ტკბილი და ორჯერვე ორ-ორი მოგებით გააღწიეს ფინალში: 0:1 ბათუმში, რაც მეტ თეორიულ შანსს სტუმრებს უტოვებდა და 1:2 ზესტაფონში, რაც შანსს შანსადვე ტოვებდა.

მაშინდელი მატჩების რა გითხრათ, საფინალოდ ულირსი არც ერთი იქნებოდა და, რომ გეთქვათ, ფინალში უფრო ღირსეული გავიდაო, არც ეს იქნებოდა უნამუსობა.

კვირას კი სულ სხვაგვარად იყო. ბათუმმა სათავისო შედეგს ბოლოსდა გამოჰკრა ხელი, ანუ მაშინ, როცა პირველად მოახვედრა ბურთი მეკარის კარის ჩარჩოში.

უკვე არბიტრ გია კიკაჩეიშვილის დამატებული ორი წუთი იწურებოდა, როცა მასპინძელთა თავკაცმა ზაურ ჩუბინიძემ 33 წუთის წინ მოედანზე სუხიაშვილის ნაცვლად შეშვებული კრავეიშვილი უკანვე გაიხმო და ვიდრე მისი შემცვლელი სამხარაძე საკუთარ კაცს აიყვანდა, მეტალურგები კი შესაბამისად გადალაგდებოდნენ, „ბათუმმა" საკუთარ მოედანზე მოპოვებული საჯარიმო მეტოქის კარში გოლით დააგვირგვინა.

სტუმართე მეკარე გია ჭანტურიას მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი როგორღაც მაცხნივ განმარტოებულ ვიტალი დარჩიძესთან გაჩნდა და ისე, რომ ხელი ვერავინ შეუშალა, ბათუმელთა სამარქაფომ ანგარიში გაათანაბრა.

საცოდაობა იყო, გუნდი, რომელიც მთელი მატჩი საკუთარ თამაშს კარნახობდა მეტოქეს, სჯაბნიდა „ბათუმს" ნახევარდაცვაში, უფრო მწვავე იყო თავდასხმაში, უკეთ იცავდა თავს, სამის ნაცვლად ერთადერთ ქულას დასჯერდა.

„მეტალურგი" ალექსანდრე შეყრილაძის გოლით 71 წუთზე დაწინაურდა. ეს გოლი, რომელიც მახვილი კუთხიდან საჯარიმო დარტყმისას მეკარე ჭანტურიას შეცდომას (ახლო ძელი მცველს არ დააზღვევინა, ბურთი კი ბადეშიდა მოიგერია) მოჰყვა, მასპინძელთა საყრდენი ნახევარმცველის აქტიური თამაშის ლოგიკური გაგრძელება იყო. ეს ყოფილი ტორპედოელის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გახლდათ, რისთვისაც დაჯილდოვდა კიდეც — რვაწლიანი შესვენების შემდეგ გოლი ისევ დააგემოვნა. ეგაა, შეყრილაძეს ამ გოლის სიტკბო ვერმოგებამ ჩაუმწარა.

ვერმოგების მიზეზად კი, ძველებურადვე, მსაჯი დასახელდა. არადა, გია კიკაჩეიშვილი, რომლისთვისაც საკვირაო „მეტალურგი" — „ბათუმი" არბიტრის როლში სადებიუტო გახლდათ, მატჩს უშეცდომოდ გაუძღვა. ბევრი გამოცდილი მსაჯიც კი ვერ შეძლებდა ატალახებულ მოედანზე თამაშის ისე წარმართვას, მეტოქეთათვის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის საშუალება მიეცა.

საყვედური, რომ წაეგო, არც „ბათუმს" ეთქმოდა. ზესტაფონელებმა კი, ცხენს რომ ვერ შეწვდნენ, უნაგირს დაუწყეს მტვრევა.

ვიდრე ბათუმელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ, ნიავმა ისეთი შავი კვამლი წამოაფარა მოედანს, გამორიცხული არაა, ქარის მიმართულების საწინააღმდეგოდ მდგომი მასპინძლებისთვის ამასაც აერია თავგზა.

ვიდრე, მეტალურგები გათბობის თანამედროვე სისტემებს გაეჩვეოდნენ, იქნებ აწი მაინც არ იჩქაროს სტადიონის ცეცხლფარეშმა წყლის გაცხელება მანამ, სანამ საბოლოო ანგარიში არ დაფიქსირდება.

თორემ, როგორც ჩანს, ბათუმის მეტოქე ზესტაფონში, „მარგვეთი" იქნება თუ „მეტალურგი", ყოველთვის დათარსულია. ზღვისპირელთათვის აქ კვამლიც კი ტკბილია.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

მეთორმეტე ტური. ლაზიკა — დილა 2:0; ლოკომოტივი 3 — დინამო 2 2:0; მილანი — ხობი 4:1; ქობულეთი — სამტრედია 3:1; თსუ — მერანი 2 3:0; თორი — ცხინვალი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 12 | 8 | 3 | 1 | 28:7 | 27 |
| დილა | 12 | 8 | 2 | 2 | 24:5 | 26 |
| ქობულეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 14:7 | 26 |
| თსუ | 12 | 7 | 2 | 3 | 18:9 | 23 |
| ლოკომოტივი 3 | 12 | 5 | 4 | 3 | 19:15 | 19 |
| დინამო 2 | 12 | 5 | 1 | 6 | 11:13 | 16 |
| ლაზიკა | 12 | 4 | 3 | 5 | 14:21 | 15 |
| ცხინვალი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:16 | 14 |
| ხობი | 12 | 2 | 6 | 4 | 10:14 | 12 |
| სამტრედია | 12 | 2 | 3 | 7 | 10:21 | 9 |
| მერანი 2 | 12 | 2 | 1 | 9 | 6:23 | 7 |
| თორი | 11 | 1 | 1 | 9 | 7:28 | 4 |

ახლობლები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" ყოფილი წევრი

**კარლო გაგნიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

წყალტუბო. 21 ოქტომბერი. 16.00 საათი. 26 მაისი. 500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 0:0 კოლხეთი

1 ბოდოკია
3 ფრანგიშვილი
2 ბერაძე 14 ბანძელაძე
9 კიკვიძე 17 შ. ღონღაძე 4 ფხაკაძე 10 დარსაძე
12 კ. ჯანაშია
19 ხუნდაძე 11 ვაჩიბერაძე

მწვრთნელი: გია გეგეჭკორი

17 მუმლაძე 8 წივწივაძე
9 ე. გვასალია
11 კვირკველია 18 კვეტენაძე 2 გოროზია 7 კრასოვსკი
15 პაპავა 14 ქუტიძე 5 მ. ქობულაძე
1 მ. გვასალია

მწვრთნელი: სოსო ფილია

შეცვლა: კიკვიძე — 15. კოპალიანი (46), ფხაკაძე — 8. ცომაია (57), კვეტენაძე — 16. აკობია (57), ბანძელაძე — 16. ქელიძე (70), კვირკველია — 3. ტორჩინავა (72), ე. გვასალია — 10. ბაჩილავა (86)

გაფრთხილება: ბანძელაძე (17), ბერაძე (48), წივწივაძე (67), გოროზია (75), ღონღაძე (79), პაპავა (80), ქუტიძე (81)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ზ. პეტრიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 21 | ჯარიმა | 22 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 4 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

# და მაინც ლოგიკური

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

**ჩემპიონატში** ერთობ დამაიმედებელი სტარტის შემდეგ (ექვსი ქულა ოთხ შეხვედრაში) თანდათან უკლო „სამგურალმა" და შედეგიც სახეზეა. ორი თვეა წყალტუბოელებს ერთხელაც არ უხეირიათ. ამას თავი დავანებოთ, ამ ხნის განმავლობაში მათ ქულადა, ისიც „მეტალურგთან" საშინაო მატჩში მოპოვებული, შემატეს საკუთარ აქტივს. უკუსვლას, ბუნებრივია, სატურნირო მდგომარეობის გართულება მოჰყვა და წინასწარი ეტაპის მეორე წრის თამაშებში „სამგურალს" დიდი ძალისხმევა დასჭირდება მის გამოსასწორებლად. აქვს კი ამის შნო იმერულ კლუბს? ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ „კოლხეთთან" საშინაო შეხვედრას უნდა გაეცა. მოწინავე ექვსეულში მოსახვედრად დაგეშილ ზღვისპირელებთან გამარჯვება წყალტუბოელებისთვის კარგ სტიმულად გამოდგებოდა, თუმცა...

კი, მონდომეს გია გიგატაძის შეგირდებმა, მეტოქეს თავდაუზოგავად ებრძოდნენ, მთლიანობაში სათამაშო უპირატესობაც მათი იყო, მაგრამ კოლხური ბარიერის დასაძლევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და, შეიძლება ითქვას, ფრე მატჩის ლოგიკური შედეგი იყო.

შვიდჯერ მოუხდა შეხვედრის არბიტრს ალექსანდრე კრიჭაშვილს ჯიბიდან ყვითელი ბარათის ამოღება. ეს ფაქტი, თითქოს მობურთავეთა უხეშობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, მაგრამ იგი უფრო მსაჯის სიმკაცრეს (ვფიქრობთ, გამართლებულს) უნდა მიეწეროს. კრიჭაშვილმა ორი მოთამაშე ხელით თამაშისათვის დასაჯა, ერთი მასთან კამათისთვის, წივწივაძე კი სიმულანტობისთვის.

ახლა კი თამაშს მივყვეთ. პირველი ტაიმი, მიუხედავად დაძაბულობისა, ვერაფერი სანახავი გამოდგა. ჩანდა, მეტოქეები ერთმანეთს უფრთხოდნენ და შეტევაზე მეტად დაცვაში მეცადინეობდნენ. პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მე-14 წუთზე გოროზიას მიერ საჯარიმოს გარედან გასროლილი ბოლოკიამ მოიგერია. ამას უმალ კიკვიძის ოდნავ არაზუსტი დარტყმა მოჰყვა. მერე წივწივაძემ დაარტყა საჯარიმოს კუთხიდან და მცირედით გადააცილა ხარიხას. როგორც ვთქვით, თამაში ეპიზოდურად თუ მწვავდებოდა. აი, ტაიმის ბოლოსკენ კი მასპინძლებმა გამოიღეს ხელი და ორჯერ მძლავრად შეუტიეს. ორივე იერიშის წამომწყები კახა ჯანაშია გახლდათ. მისი პასებით იყო, ვეტერანი ხუნდაძე რომ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, ოღონდ მამუკას ჯერ სეხნია კოლხთა მეკარემ აუღო რთული ბურთი, მეორედ კი აუცდა.

მეორე ნახევარი პირველზე გაცილებით უკეთესი გამოდგა. თამაშის ტემპმაც იმატა და საგოლე მომენტებმაც. წყალტუბოელებმა იერიშებს უხშირეს და თავისი უპირატესობა 65-ე წუთზე გოლადაც უნდა ექციათ. ხუნდაძემ ზუსტად გაუჭრა სტუმართა საჯარიმოში კოპალიანს, რომელიც, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა. მაგრამ მამუკა გვასალიამ შეძლო ახლო კუთხეში დარტყმულის კუთხურზე გადაგდება. ხუთ წუთში კოლხნი ბეწვზე გადაურჩნენ შალვა ღონღაძის 20 მეტრიდან ძლიერად დარტყმულს. მერე ვაჩიბერაძემ გაუშვა ხელიდან გატანის კარგი შანსი. 84-ე და 85-ე წუთებზე კი ხუნდაძეს შეეძლო თავის გამოჩენა. ჯერ იყო და მამუკამ ჯანაშიას გადაცემა შეირგო, მკერდით ფეხზე ჩამოიგდო ბურთი და ეფექტურად დაარტყა, მაგრამ მეკარე მიუხვდა და ძელთან ახლოს მოიგერია, მეორედ კი ხუნდაძის დარტყმული მცველის ფეხიდან ავარდა და ხარიხას გაეხახუნა.

ამდენი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მასპინძლები, ცოტა არ იყოს, მოეშვნენ და ბოლოსკენ თამაში კოლხთა შეტევებით აღინიშნა. 87-ე წუთზე წივწივაძემ მწვავედ შეუტია მარცხენა ფლანგიდან, მის ჩაწოდებულს თამაშში ახლადშესული ბაჩილავა გამოეხმაურა და... ძელს გაარტყა ბურთი. საფინალომდე წუთით ადრე წივწივაძის თავურისგან „სამგურალი" მეკარემ იხსნა და მეტოქეებიც ფრეზე გაეყარნენ.

წყალტუბოელებისთვის ქულა, ალბათ, ვერაფერი ნუგეში იყო. იგივეს ვიტყოდით ფოთელებზე. „კოლხეთი" ამ ტურის შემდეგ მეშვიდე ადგილზე დარჩა და, უნდა ვივარაუდოთ, მომდევნოშიც გაუჭირდება წინ წაწევა. ზღვისპირელები ხომ „ტორპედოს" ისტუმრებენ, თანაც ამ თამაშისთვის გოროზიას და ქუტიძეს მოისაკლისებენ (მესამე გაფრთხილების გამო) და, შესაძლოა, ვერც ფანჩულიძე დაიხმარონ. გელას ტრავმა აწუხებს და წყალტუბოშიც ამ მიზეზით არ უთამაშია.

## გერმანია

II ბუნდესლიგა
X ტური
არმინია 4:1 უნიონი

## ინგლისი

პრემიერლიგა
X ტური
მიდლსბრო 2:0 სანდერლენდი

## შვედეთი

XXV ტური
იურგორდენი 3:2 ჰელსინგბორგი
მალმიო 3:1 ელფსბორგი
იორებრო 1:2 აიკ

## პორტუგალია

IX ტური
სპორტინგი 0:0 სანტა კლარა

## იტალია

სერია C1/B
VIII ტური
სორა 0:0 ასკოლი

## დანია

XIII ტური
ოლბორგი 1:4 ორჰუსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმა მღაღადებლისა არჩევნებსა შინა

თბილისი. 21 ოქტომბერი. 16.00 საათი. ლოკომოტივი. 2 000 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:1 ტორპედო

1:0 დათვაძე (20), 1:1 ქუთათელაძე (21)

1 ლომაია

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

6 დავითნიძე 4 სალუქვაძე 2 ბალაშვილი

25 ქორიძე

15 მორჩილაძე 26 ანჩაბაძე 8 ჭიჭველიშვილი 20 ონიანი

16 დათვაძე

9 გოგიჩაიშვილი

9 ქუთათელაძე 19 პოროშინი

20 ასათიანი

2 იონანიძე 7 ლევან სილაგაძე 4 დიდავა

5 თოდუა 24 ხვადაგიანი 12 აბრამიძე 3 მახვილაძე

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

1 გვარამაძე

შეცვლა: მორჩილაძე — 5. ბაქრაძე (30), ქუთათელაძე — 10. ახალკაცი (42), ასათიანი — 8. ბაბუნაშვილი (57), პოროშინი — 21. აკოფიანი (74), დათვაძე — 10. კაიდარაშვილი (79)

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ბრეგვაძე (ქიათურა); ა. მუშკოვი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 18 |
| 8 | კუთხური | 6 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 10 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

ვაჟა ხუციშვილი

თითქმის ყოველთვის ასეა. სეზონში ორი-სამი მატჩი თუ გამოიწვევს სხვებზე მეტ ინტერესს. მიდიხარ სტადიონისკენ და ფიქრობ, აი, ახლა კი ნაღდ ფეხბურთს ვნახავო, სტადიონიდან მომავალი კი მიხვდები — ფეხბურთის მსგავსი რამ იხილე.

მაყურებელთა ნაკლებობა ზოგმა არჩევნებით ახსნა, ზოგმა სათანადო რეკლამის არარსებობით. ნამდვილი მიზეზი სხვაგანაა და ფესვებიც ღრმად აქვს გადგმული.

ვაკეში ერთმანეთს „ბირკირკარას“ მსხვერპლი „ლინფილდის“ ძლივსმომგებს ხვდებოდა. ეს არის ჩვენი ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის თავი, ბოლოს ნულა იკითხავთ. მოიგებდა „ლოკომოტივი“ — ლიდერთან სხვაობას შეამცირებდა, ვერა და ქუთაისელები ისევ ღიღინით გააგრძელებდნენ გზას. ეტყობა, რელსებზე მდგარ ტრანსპორტს ვარირების ნაკლები საშუალება აქვს, ვიდრე ავტოქარხნის ნაწარმს. „ტორპედომ“ არ წააგო, რის გამოც ერთი უპასუხო კითხვა დარჩა — ვინ მოუგებს „ტორპედოს“? ამის გაკეთება „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს შეეძლოთ, თანაც პირველივე ტაიმში. თუმცა თითქოს თვითონაც ვერ ირწმუნეს, რომ ეს შესაძლებელია და საპასუხო გოლიც იქვე მიიღეს. პირველი ნახევარი უფრო თანაბარი თამაშით აღინიშნა და ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. მეორეში კი ძოძუაშვილმა „კატენაჩოს“ რემიქსი შემოგვთავაზა. ალბათ, უფრო იმის გამო, რომ ქართველ მწვრთნელებს აკრიტიკებს ყველა, ვისაც არ ეზარება, მათ თავდაცვითი ინსტინქტი ისე გაუძლიერდათ, გამუდმებით იმაზე ფიქრობენ, გოლი არ გაუშვან. ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, კარგია, თუნდაც ის საქართველოსი იყოს. ჰოდა, სწორედ ჩემპიონობის მთავარი კანდიდატისგან ელოდება მაყურებელი ლაღ და სანახაობრივ ფეხბურთს.

განსხვავებით ამ გუნდების პირველი წრის მატჩისგან, მსაჯს რაიმე უხეში შეცდომა არ დაუშვია, მაგრამ რიგ ეპიზოდებში ოდნავ ლოიალურიც კი იყო, როცა ყვითელი ბარათის გამოყენება მართებდა. გაზშირებული თავდასხმის ობიექტი პოროშინი გახლდათ. მასპინძელთა მცველები, ეტყობა, გამორჩეულ ყურადღებას აქცევდნენ. სწორედ საჯარიმოში მის წაქცევას მოჰყვა კიდეც საპასუხო გოლი „ლოკომოტივის“ კარში. მცველები გაჩერდნენ. ზოგს წესის დარღვევა ეგონა და მსაჯს მიაჩერდა. იონანიძემ ყური არავის უგდო და მარცხენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში შეაბრუნა. ქუთათელაძემ სტატიკურ მდგომარეობაში მყოფი მასპინძლების და მეკარის წამიერი შეყოვნებით ისარგებლა — 1:1.

მანამდე „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმაც თავის მხრივ მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ანგარიში დათვაძემ გახსნა. ყველაფერი ეს ერთი წუთის შუალედში მოხდა.

მეორე ტაიმის 57-ე წუთზე ძოძუაშვილმა ასათიანის ნაცვლად მოედანზე ბაბუნაშვილი შეუშვა, რამაც შეცვლილის პროტესტი გამოიწვია. ასათიანი თანაგუნდელებმა დააწყნარეს და ისიც გასახდელის გზას გაუყვა, ბაბუნაშვილს კი ეტყობოდა, რომ ბურთთან კარგი მეგობრული ურთიერთობა აქვს.

ხანდახან მსაჯობით აღშფოთებული ქუთაისელი გულშემატკივრები გინების კორიანტელს აყენებდნენ და, როგორც ჩანს, მეტოქე ფეხბურთელებსაც იხსენიებდნენ. მერე ვიღაც შავსათვალიანმა გულშემატკივარმა ყველას გასაგონად ასეთი განცხადება გააკეთა: ვინც გინდა იყოს, თბილისელი თუ ქუთაისელი, ფეხბურთელზე გინება არ გავიგო, თორემ... იქ პოლიციამაც გამოიღო ხელი და ძალიან ამრევნი გასასეირნებლად გააგზავნა. ამასობაში მინდორზე ღირებული არაფერი ხდებოდა. გამუდმებული ბურთის კარგვა ორივე მხრიდან და ჯერ კიდევ დასახვეწი თამაშის ხარისხი თვალების ტკივილის გარდა სხვა გრძნობას არ იწვევდა. მატჩის მიწურულს ორივე გუნდს ჰქონდა რეალური საგოლე მომენტები, თუმცა ხარისხზე უკვე მოგახსენეთ, შემსრულებლები აღარსად არიან.

*კახა ცხადაძე:* გული მწყდება, რომ შეხვედრას ძალიან ცოტა მაყურებელი დაესწრო. ვფიქრობ, მასმედიამ ხელი ყველანაირად უნდა შეგვიწყოს ფეხბურთის პოპულარიზაციაში. მატჩი, ჩემის აზრით, საკმაოდ სანახაობრივი იყო. გოლის გატანის მეტი შესაძლებლობები გვქონდა, ჩვენმა მეკარემ კი რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა. ეს თამაში 3:0 ან 4:0 რომ დასრულებულიყო, ალბათ ქართული ფეხბურთის კატასტროფა იქნებოდა. ფრე ყველაზე კანონზომიერი შედეგია.

*რევაზ ძოძუაშვილი:* პირველ რიგში ჩემს კოლეგას მინდა მივულოცო ასეთი გააზრებული და საინტერესო თამაში. თუ ჩვენს პირობებს გავითვალისწინებთ, ურიგო მატჩი არ იყო. ლიდერები თამაშობდნენ და არც ერთმა მხარემ არ გარისკა. ვაფასებ კახა ცხადაძის სწორ ტაქტიკურ აზროვნებას. შესანიშნავი, ბრძოლისუნარიანი გუნდი შეუქმნია და მომავალში წარმატებებსაც ვუსურვებ.

ასათიანი ტრავმირებულია, რის გამოც ერთ ტაიმზე ოდნავ მეტი ვათამაშე, თუმცა მინდორზე ბოლომდე დარჩენა სურდა, რაც მისი ფეხისთვის საზიანო იქნებოდა. ვალტერ გუჩუა კი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მსუბუქად დაშავდა და ჯერჯერობით ვერ ითამაშებს.



რევაზ ძოძუაშვილმა კახა ცხადაძე ტაქტიკურად შეაქო



ბადრი [illegible] ფოტოები



დავით ჭიჭველიშვილი (შუაში) ქუთაისურ გარემოცვაში

მცხეთა. 21 ოქტომბერი. 16.00 საათი. არმაზი. 400 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:1 გორდა

0:1 მელაძე (12პ), 1:1 გოჩაშვილი (20)

25 მამარდაშვილი

მწვრთნელი: ჟორჟი ბჟალავა

4 კობიაშვილი 24 ინწკირველი 5 ჯ. მუჯირი

6 ფეიქრიშვილი 23 თედორაძე 9 ლ. ნოზაძე 20 ზ. მეტრეველი

7 გოგობერიშვილი

10 გოჩაშვილი 22 ადამია

10 ჯელაძე 9 გოცირიძე

8 მელაძე 17 ალადაშვილი

5 გ.გ. მიქაძე 2 კედელაშვილი

13 ზვ. ლაბაძე

4 ბერიძე 3 ბურნაძე 15 ბალასანიძე

მწვრთნელი: თენგიზ კაცია

1 ბედიაშვილი

შეცვლა: გოცირიძე — 14. პეტრიაშვილი (46), ფეიქრიშვილი — 14. დოლიძე (65), ინწკირველი — 3. ზაზაშვილი (84), ალადაშვილი — 6. კაპანაძე (84), კედელაშვილი — 7. ზ. ლაბაძე (90)

გაფრთხილება: მელაძე (55), თედორაძე (80), კედელაშვილი (84), ბერიძე (90)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 28 |
| 12 | კუთხური | 1 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 1 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კერკეტი კაკალი მსაჯმაც ვერ გატეხა

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

ეს გუნდები მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში შეხვდნენ ერთმანეთს და სკანდალურ შეხვედრაში „გორდამ“ 3:2 გაიმარჯვა. ვეტერინარებმა მაშინ დამარცხების უმთავრეს მიზეზად არაკვალიფიციური მსაჯობა დაასახელეს. მას მერე ათი ტური გავიდა და „გორდამ“ ერთი მატჩიც კი ვერ მოიგო. ნავსის გატეხვის შანსი ერთი შეხედვით გუშინწინაც მიზერული ჰქონდათ რუსთაველებს. „ვიტ ჯორჯიას“ კარგად ახსოვდა, რაც მოხდა ჩემპიონატის სტარტზე და ბრძოლის ჟინით ანთებული დაუხვდა მეტოქეს, მაგრამ „გორდა“ კვლავაც რჩება კერკეტ კაკალად ვეტერინართათვის — რუსთაველებმა კვლავად შეინარჩუნეს „არმაზის“ ბინადართან შეხვედრებში დადებითი ბალანსი და მძიმე ბრძოლაში მცხეთიდან საპატიო ქულა წაიღეს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ თუკი ვინმე მოგებას იმსახურებდა საკვირაო მატჩში, ეს, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, „გორდა“ გახლდათ. თენგიზ კაციას შეგირდებმა უფრო შეკრული, დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს და მეტოქეზე მეტი ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს.

ორივე გუნდმა სამი მცველით და ხუთი ნახევარმცველით ითამაშა, შესაბამისად, მოედნის ცენტრში ხალხმრავლობა იყო და ბურთიც ძირითადად იქ ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, მატჩი თვალსასეირო გამოდგა, რადგან ფეხბურთელები თითოეული მონაკვეთისთვის ბოლომდე იბრძოდნენ და რაც მთავარია, ქართული ფეხბურთისთვის უჩვეულოდ სწრაფად აკეთებდნენ ამას.

პირველივე წუთებიდან კონტრშეტევებზე დადარაჯებულ სტუმართა მონდომებამ მალევე გამოიღო შედეგი. „გორდაში“ დაბრუნებულმა გიორგი მიქაძემ ზვიად ლაბაძის შორეული პასი საჯარიმოში მკერდით მიიღო და მეკარესთან პირისპირ გასული გაიტანდა კიდეც, მასპინძელთა მცველს აკრძალული ილეთით რომ არ შეეჩერებინა. პენალტი აშკარა იყო და მელაძემაც შანსი უნაკლოდ გამოიყენა. „გორდა“ დაწინაურდა და ვეტერინარები უკანმოუხედავად ეკვეთნენ სტუმრებს. მასპინძელთა ამგვარი ნაბიჯი გარკვეულწილად სარისკო იყო, რადგან დაცვამოშიშვლებულ ვიტელებს მეტოქის ერთი გამოხტომა შესაძლოა ძვირადაც დასჯდომოდათ. მაგრამ რისკმა გაამართლა. მე-19 წუთზე ბედიაშვილი შეცდა გამოსვლაზე (ეს რუსთაველთა მეკარის ერთადერთი შეცდომა გახლდათ მთელ მატჩში) და უთუოდ დაისჯებოდა, კობიაშვილს 5 მეტრიდან კარში რომ მოეხვედრებინა ბურთი. თუმცა წუთის შემდეგ მოსახდენი მაინც მოხდა. კუთხურისას, სანამ რუსთაველები საკუთარ საჯარიმოში პოზიციებს ინაწილებდნენ, გოგობერიშვილმა სწრაფად ჩაჰკიდა ბურთი მეკარის ბაქანზე და უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა გოჩაშვილმა თავით ანგარიში გაათანაბრა.

პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი აღარაფერი მომხდარა. ბრძოლა კი იყო და დაძაბულობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეტყობოდათ ფეხბურთელებს.

მეორე ტაიმი სტუმართა შეტევებით დაიწყო. თითოჯერ ალადაშვილმა და მელაძემ მოსინჯეს ბედი შორეული დარტყმებით, ერთხელ კი შეცვლაზე შესულმა პეტრიაშვილმა ოციოდე მეტრიდან ორ მეურვეს შორის ეფექტურად გააძვრინა ბურთი, თუმცა გარედან გაარტყა ბადეს.

მასპინძლებს 77-ე წუთზე შეეძლოთ გატანა, მაგრამ გოჩაშვილის კარში დარტყმულს დავით ბერიძე გადაეღობა. ერთთვიანი შესვენების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებული ბერიძე უშეცდომო და საუკეთესო იყო გუშინდელ მატჩში.

თუკი ვინმე ცდებოდა ამ შეხვედრაში, ეს მსაჯი ლევან ფანიაშვილი გახლდათ. მან უსამართლოდ გაიმეტა რუსთაველები მატჩის ბოლო წუთზე, როდესაც ბურნაძეზე ანიშნა, ხელით ითამაშაო, მას შემდეგ, რაც გოგობერიშვილი პირისპირ გავიდა მეკარესთან და ასპროცენტიანი საგოლე შანსი ვერ გამოიყენა. ფანიაშვილის საბედნიეროდ, გოგობერიშვილმა ჯარიმაც გააცუდა, თორემ რუსთაველთა რისხვა არ აცდებოდა შემცდარ არბიტრს.

ამ ეპიზოდამდე ორი წუთით ადრე „გორდას“ მატჩის სათავისოდ დასრულება შეეძლო: პეტრიაშვილის ეფექტური პასის შედეგად კედელაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა. რუსთაველის ძლიერად დარტყმული მამარდაშვილმა ვარდნაში კი მოიგერია, მაგრამ ბურთთან ყველაზე ადრე ჯელაძე გაჩნდა და სამი მეტრიდან სასწაულებრივ გაარტყა კარის ხაზზე მდგომ დოლიძეს...

თბილისი. 20 ოქტომბერი. 16.00 საათი. სინათლე. 700 (ტევადობა 3 000)

## ᲛᲔᲠᲐᲜᲘ 4:2 ᲒᲣᲠᲘᲐ

1:0 ბაჯელიძე (10), 1:1 მეტრეველი (13), 2:1 გაგუა (29), 3:1 შენგელია (58), 4:1 გაგუა (59), 4:2 ენდელაძე (67)

**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** ოთარ გაბელია

1 დევაძე
4 ზ. ცქიფურიშვილი, 3 გუჯაბიძე, 2 გოგიტაძე
14 ჭინჭარაული
5 დევიძე, 8 ბაჯელიძე, 15 ბოლქვაძე, 13 ი. შენგელია
7 დავითაშვილი, 10 გაგუა

11 კ. მეტრეველი
9 მარღიშვილი
17 კაციაშვილი, 2 ებრალიძე, 5 ქიქავა, 15 ხუჭუა
14 ფაცურია, 3 ორბელაძე, 8 განევი
4 გაბრიჭიძე
1 გ. დოლიძე

**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** ავთანდილ ნარიაშვილი

**ᲨᲔᲪᲕᲚᲐ:** ქიქავა — 12. ენდელაძე (57), ებრალიძე — 6. ლ. ჩხაიძე (60), მარლიშვილი — 7. ნარუაშვილი (63), შენგელია — 9. კოშკაძე (69), ბაჯელიძე — 16. მუხინი (74), გაგუა — 6. ილურიძე (87)

**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** გოგიტაძე (13), გაბრიჭიძე (33)

**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** ა. კოკაია

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჯარიმა | 14 |
| 2 | კუთხური | 3 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 7 | კარში დარტყმა | 11 |
| 9 | თამაშგარე | 2 |

# ᲛᲔᲠᲐᲜᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ

ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ

**ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ** ორი ტურია, ქულის მოპოვება ვერ მოეხერხებინა თბილისურ „მერანს" და ბევრმა მათი ექვსეულში მოხვედრაც ეჭვქვეშ დააყენა. თუმცა ავჭალელები უკან დახევას სულაც არ აპირებენ. მათ შაბათს ორმაგად გაიხარეს. ჯერ ერთი, რომ თავად გაიმარჯვეს და მეორე — „დინამომ" ბოლნისში ფრედ ითამაშა. სწორედ „დინამოს" წინა ტურში გამამწარებელი ლანჩხუთის „გურია" ეწვია შაბათს „სინათლეს". „ეროვნულზე" მოპოვებული ქულის გარდა გურულები ახალი მთავარი მწვრთნელითაც იწონებდნენ თავს. ამ სეზონში მათ კარგად ნაცნობი ავთანდილ ნარიაშვილი უთავკაცებს.

თამაში ნელ ტემპში დაიწყო. ოთარ გაბელიამ სტუმრებს 3-5-2 ტაქტიკური მონახაზი შესთავაზა. გურულთა ახალმა მესაჭემ კი, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და მეტოქეს დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკა 4-5-1 დაუპირისპირა. წინ ეულად დარჩენილ ფორვარდ კონსტანტინე მეტრეველს როინ მარლიშვილი ეხმარებოდა მოედნის შუაგულიდან.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მარლიშვილის საჯარიმოს მისადგომებიდან ჩაწოდებულ ჯარიმას მარტოდ მყოფი ებრალიძე გამოეხმაურა, თუმცა მისი თავური ხარიხამ აისხლიტა. „მერანი" აშკარა გოლს გადაურჩა. არავინ იცის, რა მოხდებოდა, გურულებს ეს მომენტი რომ გამოეყენებინათ.

მე-10 წუთზე ავჭალელებმა პირველად შეუტიეს გუბაზ დოლიძის კარს და ანგარიშიც გახსნეს. ბაჯელიძემ ბოლქვაძის პასი შეირგო, ორ მცველს შუა გაძვრა და მეკარეს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.



მასპინძელთა მეორე და მეოთხე გოლები ვალერი გაგუასი (ბურთით) იყო

ᲜᲣᲙᲠᲘ ᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო

საერთოდ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე გუნდს სერიოზული პრობლემები ჰქონდათ დაცვაში. ალბათ, ამის ბრალი იყო, „სინათლეზე" შეკრებილებმა ექვსი გოლი რომ იხილეს, ერთი ამდენი საგოლე შანსი კი ფეხბურთელებმა ქარს გაატანეს.

„გურიამ" წონასწორობის აღდგენა სწრაფად მოახერხა. მე-13 წუთზე სტუმარმა ირაკლი ფაცურიამ ოციოდე მეტრიდან ულამაზესი საჯარიმო დარტყმა შეასრულა. აკაკი დევაძე ბურთს თითებით ძლივს მისწვდა, მას ხარიხაც დაეხმარა, თუმც მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურად მოთამაშე მეტრეველი ბურთთან სხვებზე ადრე გაჩნდა და — 1:1. ეს გურულების მიერ „სინათლეზე" გატანილი პირველი გოლი გამოდგა.

ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა. ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ფეხბურთელები მიზანს ვერ ასწორებდნენ.

29-ე წუთზე კი მერამდენედ ჩაეძინა სტუმართა დაცვის ხაზს და დევიძე-დავითაშვილი-გაგუას სამსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა — 2:1.

რამდენიმე წუთში ზუგდიდელმა არბიტრმა კახაბერ მესხმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში სტუმართა კაპიტან თამაზ გაბრიჭიძეს ყვითელი აუფრიალა, რამაც გურულთა აღშფოთება გამოიწვია. მათ მსაჯი ალყაში მოიმწყვდიეს და თავიანთ სიმართლეს უმტკიცებდნენ, თუმც მესხმა მალე დააშოშმინა მომხდურები.

პირველ ტაიმში საინტერესო აღარაფერი მომხდარა. გუნდებიც შესვენებაზე წავიდნენ.

მეორე ნახევარში მეტოქეები მოედანზე განსხვავებული განწყობით გავიდნენ. „მერანს" ანგარიში სრულიად აკმაყოფილებდა. სტუმრებს კი მინიმუმ ერთი გოლის გატანა სჭირდებოდათ.

57-ე წუთზე გურულთა საყრდენმა ნახევარმცველმა ზვიად ქიქავამ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა. ვერ გეტყვით, ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, მაგრამ ფაქტია, ქიქავას გასვლა და მასპინძელთა გააქტიურება ერთი იყო. წუთის შემდეგ ირაკლი შენგელიამ მარცხენა ფლანგზე გაინავარდა და საჯარიმოში შესულმა ეფექტური გოლი გაიტანა — 3:1. სწორედ ამ გოლის მერე წამოიძახა გახარებულმა გულშემატკივარმა, ამათ „მერანი" „დინამო" ხომ არ ჰგონიათო. თუმც მას სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა, გუბაზ დოლიძეს კიდევ ერთხელ რომ მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა. „აბრეზას" საჯარიმოში ჩაწოდებული ბაჯელიძემ თავით უმეთვალყურეოდ დატოვებულ ვალერი გაგუას დაუგდო და მასაც გოლის გატანა არ გასჭირვებია.

ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. „მერანს" სამი ქულა ჯიბეში ედო. თუმც „გურიამ" კიდევ სცადა გაბრძოლება და 67-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ზვიად ენდელაძემ მეორედ შეარხია დევაძის კარის ბადე. ამ ეპიზოდში უნიათოდ გაისარჯნენ მასპინძელი მცველები. თითქოს ამ გოლით მატჩმა ინტრიგა დაიბრუნა, მაგრამ „მერანს" თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია და დამსახურებულად მოიგო. გურულებმა კი, მართალია, საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ დაცვაში არსებული უამრავი ხარვეზი მათ თამაშს აშკარა კვალს ამჩნევს.

***ოთარ გაბელია:*** „ძალიან დაძაბული თამაში იყო. ბიჭები ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიდნენ. მით უმეტეს, 1:0-ზე მეტოქემ სწრაფადვე გაგვითანაბრა. მაგრამ გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და საბოლოოდ მოვიგეთ კიდეც. რაც შეეხებათ არბიტრებს, მათთან პრეტენზიები ხშირად მაქვს. დღეს კი საერთო ჯამში ნორმალური მსაჯობა იყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მოვიგეთ. გაიხსენონ გურულებმა პირველი წრის შეხვედრა და თავადაც მიხვდებიან. მადლობას ვუხდი „მერანის" ყველა ფეხბურთელს. გულსუნდა დუნდუას და „გურიას" კი წარმატებებს ვუსურვებ".

***ავთანდილ ნარიაშვილი:*** „კარგი მატჩი იყო. ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმც დასანანი კი იყო, ერთ წუთში ორი გოლი რომ გავუშვით. ამან საბოლოოდ გაგვტეხა.

ყურების ჩამოყრას არ ვაპირებთ. საშინაო მატჩებში მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ".

# ᲯᲔᲠ ᲔᲡ ᲘᲙᲛᲐᲠᲔᲗ

ბოლნისი. 20 ოქტომბერი. 16.00 საათი. თემურ სტეფანია. 2 000 (ტევადობა 3 000)

## ᲡᲘᲝᲜᲘ 0:0 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ [illegible]

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** თემურ მახარაძე

1 ვოლკოვი
4 პაპიძე, 9 სიდამონიძე, 13 სვანიძე, 2 ისიანი
11 მოსეშვილი, 3 ბარქაია, 5 ბარნოვი, 6 ამბიძე
14 დაუშვილი
15 მინაშვილი

11 ბობოხიძე, 10 გ.გ. მიქაძე
9 დარასელია
6 სახვაძე, 7 ამისულაშვილი, 8 ბურდული
3 კანდელაკი, 5 შაშიაშვილი, 4 ვაშაკიძე, 2 სვანაძე
22 ზოიძე

**ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ:** გოგი ნოდია

**ᲨᲔᲪᲕᲚᲐ:** მიქაძე — 20. ზირაქიშვილი (46), ამბიძე — 18. თარგამაძე (61), დაუშვილი — 19. შავიაშვილი (70), ბობოხიძე — 17. იაგორაშვილი (72), სახვაძე — 14. შალამბერიძე (79), თარგამაძე — 17. გლუნჩაძე (80)

**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ:** დარასელია (60), ვოლკოვი (71), კანდელაკი (90)

**ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘ:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**ᲡᲤᲤ-ის ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** ა. დურსუნიში

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 21 |
| 0 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ბოლნისიდან

**ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲔᲚᲘ** გულშემატკივრები ამტკიცებდნენ, წესის დარღვევა იყო. „სიონის" ფეხბურთელები მსაჯის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ. კვარაცხელიამ ბრძანა — არაო. მეათე წუთიდან მოყოლებული თამაშის ბოლომდე ყველა იმ ეპიზოდს არჩევდა, როცა ამბიძე სტუმართა მცველებმა წააქციეს. ვინც ბოლნისელ გულშემატკივრებს იცნობს, მიხვდება, თუ როგორ გაუჭირდა მსაჯთა ბრიგადას ამ მატჩის გაძღოლა, განსაკუთრებით ხსენებული ეპიზოდის შემდეგ. პოლიციელები განრისხებულ ქომაგებს ძლივს აკავებდნენ. მატჩის მიწურულს გვერდით მსაჯს, მიქელაძეს ხელში რაღაც საგანი მოხვდა და გლუნჩაძეს, მინაშვილთან ერთად, ტრიბუნასთან მისვლა და ხალხის დაწყნარება მოუხდა.

ყოველივე ამის შემხედვარე ალექსანდრე ჩივაძე თავს სინანულით აქნევდა. დიახ, ეროვნული ნაკრების რეანიმატორი ბოლნისში გახლდათ. მან შესვენებისას სრულიად არასაიდუმლოდ გვითხრა, რომ ფეხბურთელებს ზვერავდა. თუ ვის და რატომ, ალბათ, თვითონ უფრო მიხვდებით. გამორიცხული არაა, რომ ეს ფეხბურთელებმაც იცოდნენ. იქნებ ესეც იყო მიზეზი უშელავათო ბრძოლისა, რომელიც მთელი 90 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყურადსაღები ფაქტია: „სიონს" „დინამოსთან" ქულაც კი არასოდეს აუღია. ამას თუ გავითვალისწინებთ, ფრე თემურ მახარაძის აქტივში უნდა ჩაიწეროს. გამოცდილმა მწვრთნელმა ყველაფერი სწორად გათვალა. ბურდულისთვის და სახვაძისთვის სივრცე რომ დაეთმო, მასპინძელთა კართან უფრო მეტი ხიფათი შეიქმნებოდა, ამიტომ მახარაძემ თამაში თავიდან ბოლომდე კონტრშეტევებზე ააგო. ოთხ მცველს და ხუთ ნახევარმცველს მაინც უჭირდა დინამოელთა შეტევების მოგერიება. დროდადრო თვითონ თბილისელებიც სცოდავდნენ. ასე მაგალითად, ბურდულს ტაიმის დასაწყისში, ხოლო სახვაძეს ტაიმის ბოლოს რეალური საგოლე მომენტები ჰქონდათ. იმის ნაცვლად, რომ კარში დაერტყა, სახვაძემ, რატომღაც პასის გაკეთება გადაწყვიტა. არადა, ფაქტობრივად მეკარესთან პირისპირ გავიდა. ბოლნისელთა ცენტრალური მცველები ბობოხიძეს და მიქაძეს გასაქანს არ აძლევდნენ, თვითონ კი მამუკა მინაშვილის იმედზე იყვნენ. მინაშვილი სადღაც მოედნის ცენტრში ბურთს იღებდა, მაგრამ მხარდამჭერთა ლოდინი დიდხანს უწევდა. ამით ისევ თვითონ იჩაგრებოდა.

მეორე ნახევარში ნოდიამ მიქაძის ნაცვლად ზირაქიშვილი შეიყვანა. ცხადია, გაჭიანურებული, იძულებითი არდადეგების შემდეგ ზაზა სათანადო ფორმაში ვერაა, ამიტომ სტუმართა შეტევები მაინცდამაინც ვერც მან გაამწვავა.

მეორე ტაიმის საწყის თხუთმეტ წუთში მინაშვილი საერთოდ მოსწყდა მთავარ ჯგუფს და ზურგიდან დახმარება სრულიად შეუწყდა. ამან მამუკა გააბრაზა და თანაგუნდელებს გამოღვიძებისკენ მოუწოდა.

როცა თამაშში იაგორაშვილი ჩაერთო, „დინამომ" მარწუხებს უფრო მაგრად მოუჭირა. ბურდულის მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს ისევ სახვაძე დაუხვდა და ვოლკოვმა სასწაულებრივ მოიგერია მისი დარტყმული.

მახარაძე მინაშვილს ბოლომდე ენდო, არ შეცვალა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ყოფილმა სამარელმა მეტოქის ნახევარზე ბურთი მიიღო, გამოზომილი პასი გაუკეთა დასახმარებლად ჩასულ გლუნჩაძეს, რომლის ჩაწოდებულს ატალახებულ საჯარიმოში გაცურებულმა ისიანმა ფეხი ველარ წაარტყა. იგი ოდნავ მაინც რომ შეხებოდა ბურთს, ცარიელ კარში შეაგორებდა და „დინამოს" მძლეველი პირველი სიონელი შეიქნებოდა. ამჯერად მხოლოდ ფრე იყო, ისიც პირველი.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 13 ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ**
**ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ**
**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 10 | 2 | 0 | 31:6 | 32 |
| ლოკომოტივი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:7 | 25 |
| მერანი | 12 | 7 | 1 | 4 | 22:19 | 22 |
| ბათუმი | 11 | 5 | 4 | 2 | 14:7 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 4 | 3 | 19:13 | 19 |
| დინამო | 12 | 5 | 3 | 4 | 23:11 | 18 |
| კოლხეთი | 12 | 5 | 3 | 4 | 20:19 | 18 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 7:18 | 12 |
| გურია | 12 | 1 | 5 | 6 | 9:20 | 8 |
| სამგურალი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:23 | 8 |
| გორდა | 12 | 1 | 4 | 7 | 10:24 | 7 |
| მეტალურგი | 12 | 1 | 4 | 7 | 6:24 | 7 |

# ორნი დარჩნენ

## ინგლისი

X ტური

### დერბი ქაუნთი 1:1 ჩარლტონი

1:0 რავანელი (15), 1:1 იუელი (73)
დერბი ქაუნთი: ფოუერი, მავენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, სავანი, დიუკრო (ვალაკარი 85), ბარლი, დ. პაუელი, კარბონე, რავანელი, კრისტი (დ. ბარტონი 62)
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
ჩარლტონი: დ. კელი, კონჩესკი, იანგი (ჯ. რობინსონი 59), ფიში, კ. პაუელი, ტოდი, კინსელა, იენსენი (პიკოკი 86), პარკერი, იოჰანსონი, ბარტლეტი (იუელი 70)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ჰიგინბოთემი, კრისტი, პაუელი
მსაჯი: დურსო
30 221 მაყურებელი

### ლიდსი 0:0 ჩელსი

ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, დაკური, კიუელი, რობი კინი (ა. სმიტი 76), ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩელსი: ბონიჩი, ბაბაიარო (ზენდენი 62), ტერი, მელხიოტი, ლე სო, გალასი, ლამპარდი, პეტი, დალა ბონა, ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ფორსელი 87)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბაკე, დაკური, პეტი, დალა ბონა, ლე სო
მსაჯი: დარკინი
40 171 მაყურებელი

### ფულემი 1:1 იფსვიჩი

1:0 ჰეილსი (23), 1:1 რაიტი (55)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, კლარკი (შ. დევისი 62), მარლე (მალბრანკი 63), კოლინზი, ლეგვინსკი, ბოა მორტე, ჰეილსი (საჰა 68)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
იფსვიჩი: სერენი, უილნისი (როიზერი 46), კლაპამი, მაკგრილი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, რაიტი, მაკინი, პერალტა (მეჯილტონი 72), ა. არმსტრონგი, ფინიდი (მარკუს სტიუარტი 13)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ბოა მორტე, ლეგვინსკი, პერალტა, ბოა მორტე, არმსტრონგი, უილნისი
გაძევება: ბოა მორტე (45)
მსაჯი: რილი
7 221 მაყურებელი

### ნიუკასლი 0:2 ტოტენჰემი

0:1 ანდერტონი (8), 0:2 პოიეტი (20)
ნიუკასლი: გივენი, ობრაიენი, დისტინი, დაბიზასი, სოლანო (ლუა-ლუა 75), აკუნია (ბასედასი 75), სპიდი, ა. პიუზი (ამეობი 80), რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, კინგი, რიჩარდსი, ტარიკო (ს. დევისი 49), ანდერტონი (შერვუდი 89), პოიეტი, ფრიონდი, ციგე, ლ. ფერდინანდი (რებროვი 78), შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ბელამი, დაბიზასი, ფრიონდი
მსაჯი: უილი
50 593 მაყურებელი

### არსენალი 3:3 ბლეკბერნი

0:1 გილესპი (41), 1:1 პირესი (48), 2:1 ბერხკამპი (53), 2:2 დანი (58), 3:2 ანრი (78), 3:3 დანი (89)
არსენალი: რ. რაიტი, გრიმანდი, კოული, აშლი, ლორენი, ვიეირა, პირესი (ვილტორდი 75), პარლორი (კანუ 69), ვან ბრონკჰორსტი, ბერხკამპი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ბერგი, ბიორნებიე, შორტი, თუგაი, ფლიტკროფტი, დანი, გილესპი (ბენტი 70), დ. ჯონსონი (ჰინეტი 58), ნაილი, იანსენი (მ. ჰიუზი 84)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ვან ბრონკჰორსტი, ბენტი, შორტი
მსაჯი: რენიე
38 108 მაყურებელი

### ევერტონი 3:2 ასტონ ვილა

1:0 უოტსონი (31), 2:0 რაძინსკი (59), 3:0 გრაველსენი (62), 3:1 ჰაჯი (71), 3:2 შმაიხელი (90)
ევერტონი: ჯერარდი, ნეისმიტი, ვეირი, პისტონე, უოტსონი, შავიერი, გრაველსენი (გემილი 80), პემბრიჯი (ჯემილი 42), ალექსანდერსონი, რაძინსკი (დ. ფერგიუსონი 77), ქ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ალფაი (სამუელი 63), სტონტონი, ა. რაიტი, ჰაჯი, ტეილორი, ბოატენგი, ლ. ჰენდრი (ჯინოლა 77), ვასელი, პაბლო ანხელი (დაბლინი 63)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ნეისმიტი, დაბლინი
მსაჯი: სტაილზი
33 352 მაყურებელი



REUTERS

ლიდსი — ჩელსი. მასპინძელი ლი ბოიერი მარკ ბოსნიჩსა და მარიო მელხიოტს გადაახტა

### ლესტერი 1:4 ლივერპული

0:1 ფაულერი (5), 0:2 ჰიპია (10), 0:3 ფაულერი (43), 1:3 უაიზი (58), 1:4 ფაულერი (90)
ლესტერი: ი. უოქერი, მარშალი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, დავიდსონი, სევიჯი, უაიზი, მ. ჯონსი (პიპერი 72), ბენჯამინი, სტარიჯი (იმპი 56), აკინბი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
ლივერპული: დუდეკი, ს. რაიტი, კარაგერი, ჰიპია, რიისე, ჯერარდი (ბერგერი 46), მაკალისტერი, რედნაპი (შმიცერი 79), მერფი, ფაულერი, ჰესკი (ლიტმანენი 83)
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
გაფრთხილება: სინკლერი, რედნაპი, ჰესკი
მსაჯი: ჰელსი
21 886 მაყურებელი

### მანჩესტერი 1:2 ბოლტონი

1:0 ვერონი (25), 1:1 ნოლანი (35), 1:2 რიკეტსი (84)
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, მეი (გ. ნევილი 78), უ. ბრაუნი, სილვესტრი, სოლსკიაერი, სქოულზი (გიგზი 66), ვერონი, ბათი, იორკი (ჩედვიკი 67), ენდი კოული
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი, ჰანსენი (ბერნესი 82), ნოლანი, ფარმერსტი (მ. ჯონსონი 54), ფრანდსენი, გარდნერი, რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
მსაჯი: ბარბერი
67 559 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 2:0 საუთჰემპტონი

1:0, 2:0 კანო (53, 81)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, შეპელი, რეპკა, დეილი, უინტერბერნი, ტ. სინკლერი, კარიკი, ჰაჩისონი, კურტუა (მონკუ 86), დი კანიო, კანო
მწვრთნელი: გლენ როედერი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, ელ ხალეჯი, ბრიჯი, კ. დევისი (სვენსონი 68), მარსდენი, დრეიპერი, დელაპი, პახარსი (რიპლი 76), ბიტი
მწვრთნელი: სტიუარტ გრეი
გაფრთხილება: დრეიპერი
მსაჯი: ბერი
25 842 მაყურებელი

### მიდლსბრო — სანდერლენდი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**„ლიდს იუნაიტედმა“** მეცხრე ტურის შემდეგაც შეინარჩუნა პრემიერლიგის ლიდერობა, თუმცა, შეეძლო ქულათა უკეთესი მარაგით მდგარიყო ცხრილის პირველ საფეხურზე.

„ლიდსი“ კვირას მასპინძლობდა „ჩელსის“, შაბათს კი მის მთავარ მდევრებს „არსენალსა“ და „მანჩესტერს“ უკვე წახდენოდათ საქმეები: მეთოფეებს სულ ბოლო წუთებზე აართვა ქულა „ჰაიბერიზე“ სტუმრად ჩასულმა „ბლექბერნმა“, რომელიც თავიდან საერთოდაც იგებდა კეიტ გილესპის შოკისმომგვრელი გოლით, მერე კი „არსენალმა“ ეგრეც ვერ მოახერხა მარაგიანად დაწინაურება. სტუმართა მეკარე ბრედ ფრიდელმა სამი გოლი კი გაუშვა, მაგრამ მაინც კლდესავით იდგა და ყოველ მეთოფურ გოლს დევიდ დანი თავისას მოაყოლებდა ხოლმე. დანმა საერთოდაც ოცდაათი მეტრიდან გაუტანა რიჩარდ რაიტს, მეორე კი ახლოდან შეაგორა დაუცველ კარში.

სულ სხვა ამბავი იყო „ოლდ ტრეფორდზე“, სადაც „მანჩესტერის“ მეორე შემადგენლობა, ვერონითა და ბარტეზით გამაგრებული უპირებდა დამარცხებას „ბოლტონს“, რომელსაც ამ სეზონში გასვლაზე არ წაუგია და ფრეებს მიაღწია ლიდსსა და „ჰაიბერიზე“, „ლივერპული“ კი საერთოდაც დაამარცხა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ „მანჩესტერსაც“ უნდა წაეგო, განსაკუთრებით ვერონის მიერ გატანილი ბრწყინვალე ჯარიმის შემდეგ. ვერონის გოლი 10 წუთში გაქვითა კევინ ნოლანმა, მეორე ტაიმის შეცვლებმა კი გადამწყვეტი ვერაფერი შეცვალა მასპინძელთა თამაშში. „სარბიელის“ მესვეტის მოსაზრებამ, სწორედ ამ მატჩის დღეს რომ გამოქვეყნდა, ნამდვილი „მანჩესტერი“ შაბათობით თამაშობსო, ჩაილურის წყალი დალია.

შაბათის „მანჩესტერი“. გასაოცრად ჰგავდა ოთხშაბათის „მანჩესტერს“ და ალბათ იმიტომაც, რომ ორივე დღეს მოედანზე იყვნენ ტრადიციულად თავის კარზე დაგეშილი უესლი ბრაუნი და უხასიათოდ მყოფი ფაბიენ ბარტეზი. საერთოდ, ისე ჩანს, რომ უმალ ქართველები და აფხაზები გაუგებენ ერთმანეთს, ვიდრე ბრაუნი და ბარტეზი. „ბოლტონმა“ კი ასე მოიგო: ბრაუნმა გადაწყვიტა, რომ არგენტინელია და ბურთის ვერონივით ჩამოღება სცადა. ეს ბურთი ჯანიან მაიკლ რიკეტსს მიუვიდა, რომელმაც იოლად გაირბინა ათი იარდი და ბურთი მასპინძელთა კარში ჩააცურა.

ამასობაში, „ევერტონმა“ მართლა ძლიერი გუნდი დაამარცხა: „ასტონ ვილამ“ პირველად წააგო ამ სეზონში და მისმა მეკარემ, პიტერ შმაიხელმაც პირველად გაუშვა ამდენი. თომას გრაველსენმა შუა მოედანი დაიპყრო და ერთი საათის თავზე „ევერტონი“ 3:0-ს იგებდა. მერე მუსტაფა ჰაჯიმ ერთი გოლი გაქვითა, „ვილელთა“ ბოლო შტურმის შედეგი კი ის იყო, რომ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შეტევაში წამოსულმა შმაიხელმა ჩაჭედა კარში. მეტი სტუმრებმა ვერ მოასწრეს.

რახან „ვილამ“ წააგო, პრემიერლიგაში დარჩა ორადორი გუნდი, „ლიდსი“ და „ჩელსი“, რომლებიც დაუმარცხებელნი დარჩნენ. ესენი „ელანდ როუდზე“ შეხვდნენ ერთმანეთს და ისე, რომ გოლები არ გაუტანიათ. ეს თამაში ტურის ნამდვილი მშვენება იყო. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი პრემიერლიგური რეკორდის გამეორებას აპირებდა — ზედიზედ მეშვიდედ უნდა გაეტანა გოლი. შვიდკვირიანი შესვენების შემდეგ შეცვლაზე შევიდა ალან სმიტი. მეკარეებმა, მარკ ბოსნიჩმა და ნაიჯელ მარტინმა ბრწყინვალედ ითამაშეს. მსაჯმა პოლ დარკინმა აშკარად დაინდო სტუმართა კაპიტანი ფრენკ ლე სო, რომელიც ორჯერ ბარძაყში წიხლით წავიდა მოწინააღმდეგეზე. ბურთი ორჯერ დარტყმა „ჩელსის“ კარის ძელზე და ჯერ გალასმა, მერე ჯონ ტერიმ გამოიტანა, თუმცა მკვდარი ფარფლი... ბოლო წუთზე მარტინმავე გადააგდო კუთხურზე ემანუელ პეტის საზრიანად დარტყმული საჯარიმო...

„ვერ მოვიგეთ, მაგრამ ლიდერებად ვრჩებით“, თქვა მასპინძელთა მენეჯერმა დევიდ ოლირიმ.

კარგა ხანია, „ჩელსი“ ასეთი კარგი გუნდი არ ყოფილა, ეიდურ გუდიონსენი კი საერთოდაც შეუდარებელი იყო.

სხვა ამბები ის იყო, რომ რობი ფაულერმა ჰეთ თრიქი გააჩერხა, ფრედერიკ კანომ კი ნამუსი მოწმინდა წინა ტურში განადგურებულ „ვესტ ჰემს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლიდსი | 9 | 5 | 4 | 0 | 12:3 | 9 | 19 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:0 | 5 | 8 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 |
| 2 არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 21:8 | 13 | 18 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 5 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 |
| 3 მანჩესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 26:16 | 10 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:5 | 7 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 14:11 | 3 | 8 |
| 4 ლივერპული | 8 | 5 | 1 | 2 | 15:9 | 6 | 16 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 9 |
| 5 ასტონ ვილა | 8 | 4 | 3 | 1 | 13:6 | 7 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 7 |
| 6 ბოლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 1 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 6 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:3 | 6 | 9 |
| 7 ჩელსი | 8 | 3 | 5 | 0 | 12:7 | 5 | 14 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 6 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 8 ევერტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:12 | 3 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 6 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 |
| 9 ტოტენჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:14 | 2 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 7 |
| 10 ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:13 | 2 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 7 |
| 11 ბლექბერნი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:14 | 4 | 13 | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 8 | 11 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 2 |
| 12 სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 13 ჩარლტონი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 14 ფულემი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:11 | -3 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 15 მიდლსბრო | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | -9 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:11 | -7 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 16 ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:16 | -9 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:16 | -14 | 1 |
| 17 იფსვიჩი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:12 | -5 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | -5 | 2 |
| 18 დერბი ქაუნთი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | -9 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 1 |
| 19 საუთჰემპტონი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:14 | -9 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | -6 | 0 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 |
| 20 ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:23 | -17 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:12 | -9 | 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | -8 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 8 |
| ანრი (არსენალი) | 8 |
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 5 |
| ციგე (ტოტენჰემი) | 5 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 5 |
| რავანელი (დერბი ქაუნთი) | 5 |

### გადადებული მატჩი

27 ოქტომბერი

საუთჰემპტონი - ლივერპული

XI ტური

27 ოქტომბერი

ასტონ ვილა - ბოლტონი
ბლექბერნი - ლესტერი
ჩარლტონი - ლივერპული
დერბი ქაუნთი - ჩელსი
ევერტონი - ნიუკასლი
ფულემი - საუთჰემპტონი
იფსვიჩი - ვესტ ჰემი
მანჩესტერი - ლიდსი
სანდერლენდი - არსენალი
ტოტენჰემი - მიდლსბრო

## პირველი დივიზიონი

XIV ტური

### კოვენტრი 1:0 კრიუ

1:0 ჰიუზი (30პ)

### პრესტონი 2:1 მანჩესტერ სიტი

0:1 ჰაკერბი (38), 1:1 ჰეილი (51), 2:1 მაკენი (67)

### ბირმინგემი 4:0 ბრედფორდი

1:0 მარსელო (37), 2:0 სონერი (39), 3:0, 4:0 მარსელო (45, 48)

### ბარნლი 3:3 ბარნსლი

1:0 მორგანი (23ს.კ.), 2:0 ბრისკო (36), 2:1 ლამსდონი (45პ), 2:2 მორგანი (52), 3:2 პეიტონი (86პ), 3:3 ბარნარდი (88)

### გრიმსბი 0:3 უოტფორდი

0:1 ჰიდი (19), 0:2 ნობლი (44), 0:3 ჰიდი (58)

### მილუოლი 3:3 ნოტინგემი

1:0 ჩეპილი (14), 1:1, 1:2 ჯონი (59, 63), 2:2 აიფილი (86), 2:3 ჯონი (88), 3:3 სადლერი (90)

### პორტსმუთი 1:0 შეფილდ იუნაიტედი

1:0 ედინბურგი (40)

### შეფილდ უენსდი 2:1 უოლსოლი

0:1 ბიფელდი (19), 1:1 სიბონი (71), 2:1 ბონვინი (90)

### სტოკპორტი 0:1 როტერჰემი

0:1 ტელბოტი (43)

### უიმბლდონი 3:1 ჯილინგემი

1:0, 2:0 კუპერი (43, 53), 3:0 ჰიუზი (61), 3:1 ბატერსი (82)

### ვულვერჰემპტონი 0:1 კრისტალ პალასი

0:1 კოროვსკი (45)

### ნორვიჩი 2:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 რობერტსი (13), 2:0 რივერსი (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი | 12 | 9 | 0 | 3 | 32:16 | 27 |
| ვულვზი | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | 27 |
| ნორვიჩი | 13 | 8 | 1 | 4 | 17:15 | 25 |
| ქოვენთრი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:9 | 24 |
| ბარნლი | 13 | 7 | 2 | 4 | 30:22 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 1 | 5 | 16:12 | 22 |
| ბირმინგემი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:16 | 21 |
| პორტსმუთი | 13 | 6 | 3 | 4 | 23:18 | 21 |
| სიტი | 13 | 6 | 2 | 5 | 30:24 | 20 |
| ნოტინგემი | 13 | 5 | 5 | 3 | 15:11 | 20 |
| უიმბლდონი | 13 | 5 | 4 | 4 | 24:20 | 19 |
| პრესტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:18 | 19 |
| მილუოლი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:15 | 18 |
| უოტფორდი | 12 | 5 | 2 | 5 | 20:18 | 17 |
| ბრედფორდი | 13 | 5 | 2 | 6 | 22:24 | 17 |
| ქრიუ | 13 | 5 | 2 | 6 | 12:20 | 17 |
| შეფილდი | 14 | 3 | 7 | 4 | 14:16 | 16 |
| გრიმსბი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:27 | 15 |
| როტერჰემი | 14 | 3 | 5 | 6 | 14:21 | 14 |
| ჯილინგემი | 12 | 4 | 1 | 7 | 18:20 | 13 |
| უენსდი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:26 | 11 |
| ბარნსლი | 13 | 2 | 4 | 7 | 14:27 | 10 |
| უოლსოლი | 13 | 2 | 3 | 8 | 11:22 | 9 |
| სტოკპორტი | 13 | 1 | 4 | 8 | 18:27 | 7 |

## მეორე დივიზიონი

მე-14 ტური: ბორნმუთი — ბრენტფორდი 0:2; ბრაიტონი — ოლდემი 3:0; ბრისტოლი — უიკომბი 0:1; ბერი — ჩესტერფილდი 2:1; კოლჩესტერი — კემბრიჯი 3:1; ნოტსი — რედინგი 3:4; პიტერბრო — ბლეკპული 3:2; პორტ ვეილი — სტოკი 1:1; ქუინზ პარკი — ნორთჰემპტონი 0:1; სუინდონი — კარდიფი 0:3; ტრანმერი — ჰადერსფილდი 1:0; უიგანი — რექსემი 2:3

## მესამე დივიზიონი

მე-14 ტური: კარლაილი — კიდერმინსტერი 1:0; ჩელტენემი — ექსეტერი 3:1; ჰალიფაქსი — როვერსი 0:0; ლუტონი — როჩდეილი 0:1; მაკლსფილდი — ლინკოლნი 0:1; მენსფილდი — პლიმუთი 0:3; ოქსფორდი — სკანთორპი 0:1; რაშდენი — ჰალი 3:3; სუონსი — ლეიტონი 0:1; ტორკი — ჰარტლპული 1:0; იორკი — საუთენდი 2:1

# ბრემემ მხდალი კურდღლები ნახა

## გერმანია

X ტური

### დორტმუნდი 0:2 ფრაიბურგი

0:1 კულიბალი (44), 0:2 კელი (90)
დორტმუნდი: ლემანი, დედე, ვიორნსი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, ოლივე, რიკენი, ევერტონი, ამოროზო, იან კოლერი, სორენსენი (სტეფიჩი 57; ბობიჩი 73)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კრუზე, კელი, ჰერმელი (იაშვილი 83), ვილი, კობიაშვილი, ვ. ბუტი, რამდანე (ფ. გერბერი 69), კულიბალი (კაუფმანი 78)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ევერტონი, დიარა
მსაჯი: ბერგი
66 500 მაყურებელი

### ჰანზა 3:0 კიოლნი

1:0 იასერი (60), 2:0 ბაიერლე (62), 3:0 ვიბრანი (73)
ჰანზა: შობერი, იაკობსონი, ჰილი (იასერი 52), ემარა (არვიდსონი 46), შრიოდერი, რიდლევიჩი, ლანცი (ბენკენი 87), მაული, ვიბრანი, ბაიერლე, დი სალვო
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
კიოლნი: ბადე, კულმანი, ცივიორი, კელერი, რეები, ვოიგტი (შპრინგერი 73), სინკალა, ლოტნერი (ბარანეკი 73), კროიცი, შერცი (კურტი 52), რაიხი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: რიდლევიჩი, რეები
მსაჯი: შტრამპე
15 000 მაყურებელი

### ბაიერნი 4:1 კაიზერსლაუტერნი

1:0 სანტა კრუზი (16), 2:0, 3:0 სალიჰამიჯიჩი (23, 29პ), 3:1 მ. კოხი (82პ), 4:1 პიზარო (90)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ (ტარნატი 77), ფინკი (სფორცა 77), ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჯიო, ელბერი, სანტა კრუზი (კ. პიზარო 69)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, მ. კოხი, ჰენგენი, ქნავსი (კლოსი 46), მ. რამზი, რატინიო, შტრასერი, გრამოცისი, ლინკოლნი (პეტერსონი 46), ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: გრამოცისი
მსაჯი: იანსენი
63 000 მაყურებელი

### ჰერტა 3:1 ვერდერი

1:0 დარდაი (6), 1:1 აილტონი (7), 2:1 გოორი (32), 3:1 რემერი (61)
ჰერტა: კირალი, შმიდტი, მაასი (ვან ბურიკი 63), სიმუნიჩი, რემერი (ლაპაჩინსკი 75), დარდაი, ტრეჰოკი, გოორი (ჰარტმანი 68), მარსელინიო, ალვეში, პრეეცი
მწვრთნელი იურგენ რიობერი
ვერდერი: რისტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (ბანოვიჩი 75), კრსტაიჩი, ფრინგსი, ტიკუზუ (სტალტერი 65), ბოროვსკი (ა. ჰერცოგი 65), სკრიპნიკი, ლისტეში, აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: გოორი, მაასი, კრსტაიჩი, ვან ბურიკი, სკრიპნიკი, კრსტაიჩი, ლისტეში, ჰერცოგი
გაძევება: კრსტაიჩი (22)
მსაჯი: მერკი
34 426 მაყურებელი

### ნიურნბერგი 1:2 მიონხენგლადბახი

0:1 მაიკელი (10), 0:2 ნიკლი (62ს.კ.), 1:2 ფრაი (75)
ნიურნბერგი: კამპა, პასლაკი, კოში, ნიკლი, ვიბლიშაუზერი, სანე (ლაიტლი 28), ფრაი, ლ. მიულერი, იაროლიმი (სტოილოვი 77), გომისი, დრილერი (მიხალკე 57)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტში, კორელი, მიუნხი, ნილსენი, ჰაუსვაილერი, ვიტეჩეკი, კორზინეცი (ფლეგენჰაუერი 77), ვან ჰუდტი (ასანინი 75), მაიკელი (ულიხი 89)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: დრილერი, ლაიტლი, ფრაი, ნილსენი, ვიტეჩეკი, მაიკელი
მსაჯი: კესლერი
33 300 მაყურებელი

### ზანქტ პაული 4:0 კოტბუსი

1:0 პაჩინსკი (4), 2:0 კალუგინი (52ს.კ.), 3:0 პაჩინსკი (55), 4:0 მეგლე (77)
ზანქტ პაული: ბულატი, სტანისლავსკი, ამადუ გიბსი, კონცი, ბიურგერი (რატი 46), ბაირამოვიჩი, რანი, მეგლე, მარკაო (ინზემანი 71), პაჩინსკი (კონეცკე 64)
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
კოტბუსი: პიბლიცა, შებოკი, და სილვა, მატიუში, ტიელმანი (კალუგინი 51), რეგეკამპფი (ბრაზილია 51), ტერმინა, კობილანსკი, მირიუტა, ჰელბიგი, ტოპიჩი (მუჟჟოროვიჩი 81)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ინზემანი, ტიელმანი, ჰელბიგი, ტერმინა, ტერმინა
გაძევება: ტერმინა (30)
მსაჯი: კოოპი
19 617 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 0:1 ჰამბურგი

0:1 ჰოოგმა (57)
პეტროვმა ვერ გაიტანა პენალტი (81, მეკარე)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, გრაინერი, შნოორი, ფრანცი, რაუ (ვაიზერი 74), აკონორი, ს. მიულერი (რიზე 65), კარჰანი, დ. მუნტიანუ, იუსკოვიაკი (პონტე 58), პეტროვი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა, იუფფალუში, მალტრიცი, ბენჯამინი, ჰოლერბახი, პრეგერი (გროთი 77), ტოფტინგი, ბარბარეზი, კელაერი (მაინცი 85)
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: რაუ, შნოორი, პონტე, ჰოოგმა, ჰერჩი, ჰოლერბახი
მსაჯი: ვაკი
19 080 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:1 შტუტგარტი

0:1 განია (9), 1:1 ზე რობერტო (24), 2:1 ჟივკოვიჩი (59), 3:1 ლუსიო (63), 4:1 ბერბატოვი (85)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, პლასენტე, ვრანიეში, ბ. შნაიდერი, ბალაკი, ბაშთურქი (ვიტეკი 87), ზე რობერტო, ნოივილი (ბერბატოვი 71), კირსტენი (ბრდარიჩი 82)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, ტიდტი, ზაიცი, ბალაკოვი, გლები (ტიფერტი 78), განია
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ლუსიო, ჟივკოვიჩი, ვენცელი
მსაჯი: ზიპელი
22 500 მაყურებელი

### შალკე 1:0 მიუნხენი

1:0 იენჩი (13ს.კ.)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, მატელანი, ვან კერკჰოვენი, კმეტში, ნემეცი (ვან ჰოოგდალემი 46), ასამოა, ვერმანტი (მულდერი 67), მიოლერი (ბოომე 62), სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
მიუნხენი: იენჩი, ვოტავა, ელერსი (აგოსტინო 72), ტ. ჰოფმანი, დედენი, ფ. ტაპალოვიჩი (მესლერი 59), ჩერნი, მ. ვაისენბერგერი (ვიზინგერი 53), ბორიმიროვი, ბიეროფკა, ჰიურკი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: ვერმანტი, მატელანი, ჰაიტო, ელერსი, დედენი
მსაჯი: გაგელმანი
60 204 მაყურებელი



REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — მიუნხენი. მასპინძელთა ებე სანდმა ბურთს ყური მოუგდო

„ფრაიბურგით“ დავიწყოთ. კვირას ფოლკერ ფინკეს „საბავშვო ბაღმა“ სენსაცია მოახდინა და ტოტალიზატორების ტრფიალთ, ალბათ, გვარიანი საფიქრალიც გაუჩინა. მართლაც, ვინ წარმოიდგენდა, რომ „ფრაიბურგი“ დორტმუნდში საჩემპიონო ფერხულში ჩაბმულ „ბორუსიას“ მოუგებდა? მაგრამ მოუგო, თანაც ისე, რომ მასპინძლებს თამაშის გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონიათ. ერთი მატჩით ძნელია იმსჯელო, რას ნიშნავს „დორტმუნდისთვის“ ჩეხი გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი, მაგრამ ფაქტია, რომ უროსიცკოდ მათიას ზამერის გუნდის ნახევარდაცვა უუნარო აღმოჩნდა და წაგების მთავარი მიზეზიც ეს გახლდათ.

სტუმრებმა დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და დროგამოშვებით მწვავედ კონტრუტევდნენ. ერთი ასეთი პირველი ტაიმის მიწურულს გოლით დამთავრდა. კულიბალიმ კოლერის შეცდომით ისარგებლა, ვიორნსს გაექცა და თავისიანები დააწინაურა. შესვენების მერე დორტმუნდელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ „ფრაიბურგის“ დაცვა და მეკარე გოლცი შეუვალნი აღმოჩნდნენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მსაჯის წამატებულ წუთზე სტუმართა საჯარიმოში ბორუსიელთა მეკარე ლემანიც გამოჩნდა, მაგრამ ისევ სწრაფი კონტრშეტევა და სებასტიან კელმა ცარიელ კარში შეაგდო. სხვათა შორის, ეს კომბინაცია შეცვლაზე შესულმა ალექსანდრე იაშვილმა დაიწყო, კელის დარტყმამდე კი გაიტანა ლევან კობიაშვილსაც შეეძლო, მაგრამ საჯარიმოს ხაზთან ბურთი მცველს მოარტყა და კელმა მერელა გაუტანა. შედეგად „დორტმუნდი“ ექვსი ქულით ჩამორჩა ლიდერს, „ფრაიბურგმა“ კი მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა მიითვალა.

წლეულს პირველად გალიდერდა „ბაიერნი“, თანაც ამას კაცურად, უშუალო კონკურენტის განადგურებით მიაღწია. ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ბავარიელთა მენეჯერი ული ჰიონესი ამბობდა: 20 ოქტომბერს, „ლაუტერნთან“ თამაშის მერე პირველ ადგილზე ჩვენ ვიქნებითო და აკი მართალიც გამოდგა. ლიზარაზუს მატჩისწინა ნათქვამიც გავიხსენოთ, „კაიზერსლაუტერნი“ კარგი გუნდია, მაგრამ დავუმტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო ძლიერები ვართო.

„ბაიერნმა“ მართლაც დიდებულად ითამაშა და საქმე პირველ ნახევარ საათშივე მოაგვარა. მასპინძელთაგან საუკეთესო ბოსნიელი ჰასან სალიჰამიჯი გახლდათ, ვინც ორი თავად გაიტანა და ორშიც უშუალო მონაწილეობა მიიღო. პირველად „თავის“ მარჯვენა ფრთაზე ლუქსემბურგელი შტრასერი გააბითურა და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ პაულო სერჟიომ იმარჯვა, სანტა კრუზი მეკარეს შეატოვა და 1:0. მერე ელბერის პასს ყველაზე ადრე გამოეხმაურა და მეორე შეაგდო. ბოლოს კი დაახლოებით ოცი მეტრი გაირბინა და საჯარიმოში პაულო სერჟიო მოძებნა, რომელიც სტუმარმა გრამოცისმა წააქცია. თერთმეტმეტრიანი თავად ბოსნიელმა დაარტყა. ნახევარ საათში 3:0 ძალიან დიდი უპირატესობა იყო და „ბაიერნმაც“ ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა თითო გოლი გაცვალეს და ლიდერის რბევაც ამით დამთავრდა: „ჩემმა ფეხბურთელებმა უამრავი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. და საერთოდ, დღეს მხდალ კურდღლებს ვგავდით“ — თქვა ბრემემ. ახლა კი ბავარიელებს მოვუსმინოთ.

„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი: „ასე უნდა გავაგრძელოთ. თანაც სასურველია არა ერთ და ორ წელიწადს“.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე: „ვერც კი ვიხსენებ, ბოლოს ასე ლამაზად როდის ვთამაშობდით. მოკლედ, ვეძებდით და რაც გვინდოდა ვიპოვეთ“.

მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი: „ცხადია, მიხარია, რომ გავლიდერდით, მაგრამ ამან ღრუბლებში არ უნდა აგვიყვანოს. სერიოზული მუშაობაა საჭირო, ქომაგებს სასურველი ფეხბურთი კვლავაც რომ ვუჩვენოთ“.

„ბაიერნმა“ ბოლო კვირის მანძილზე სამიდან სამივე მატჩი მოიგო და ჯამში 14 ბურთი გაიტანა. მართლაც ჩინებული შედეგია...

„ლევერკუზენმა“ შინ ბოლო დროს წამოწყებული „შტუტგარტი“ დაამარცხა და ბუნდესლიგაში კვლავაც ერთადერთად რჩება, ვინც შინ რომ არ წაუგია. სტატისტიკოსებმა კი დაითვალეს, რომ ბოლო თექვსმეტი წლის მანძილზე „შტუტგარტმა“ ლევერკუზენში მხოლოდ ერთხელ, 1992-ში მოიგო და მაშინაც ჩემპიონი გახდა.

„მიუნხენს“ „შალკესთან“ სტუმრობის წინ მწვრთნელი შეეცვალა. ამბობენ, ვერნერ ლორანტი თავის ავტორიტარულ მეთოდებსა და ფეხბურთელებთან კინკლაობას შეეწირაო. საინტერესოა, რომ ახალ დამრიგებლად ლორანტის თანაშემწე, ავსტრიელი პეტერ პაკულტი დანიშნეს და „ახალმა ცოცხმა“ მყის სათადარიგოთა სკამზე დასვა ლორანტის ფავორიტი, ბებერი თომას ჰესლერი. წინა მატჩებისგან განსხვავებით შაბათს „მიუნხენმა“ უკეთ ითამაშა, მაგრამ უფრო ძლიერ გელზენკირხენელებს ვერაფერი მოუხერხა. ისე, არც გაუმართლათ, მეკარე საიმონ იენჩმა საკუთარ კარში შეაგდო, მერე კი თურმე სტუმრებს აშკარა პენალტი არ დაუნიშნეს.

პირველად, თანაც დიდი ანგარიშით მოიგო „ზანქტ პაულიმ“ და ბოლო ადგილი „კოტბუსს“ გადააბარა, არჩილ არველაძის „კიოლნმა“ კი ზედიზედ მეოთხე თამაში წააგო და როგორც ამბობენ, მწვრთნელ ევალდ ლინენის ამ კლუბში დიდი დღე აღარ უწერია. გასაკვირი არც არის, აბა, ბოლო ოთხი მატჩი ვნახოთ: „ნიურნბერგთან“ 1:2, „ჰერტასთან“ 0:3, „ვოლფსბურგთან“ 0:4 და „ჰანზასთან“ 0:3...

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 10 | 8 | 1 | 1 | 25:4 | 21 | 25 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 8 | 10 |
| 2 ლევერკუზენი | 10 | 7 | 3 | 0 | 25:11 | 14 | 24 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 9 | 13 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 11 |
| 3 ლაუტერნი | 10 | 8 | 0 | 2 | 24:14 | 10 | 24 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:6 | 8 | 15 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 2 | 9 |
| 4 დორტმუნდი | 10 | 6 | 1 | 3 | 15:8 | 7 | 19 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 12 |
| 5 შალკე | 10 | 5 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 4 |
| 6 შტუტგარტი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:13 | -1 | 15 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | 4 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:12 | -5 | 6 |
| 7 ვერდერი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 1 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 8 ჰერტა | 10 | 4 | 2 | 4 | 14:16 | -2 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 3 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | -5 | 5 |
| 9 ჰამბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 0 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 5 |
| 10 გლადბახი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 0 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 7 |
| 11 ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 12 კოტბუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:20 | -8 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |
| 13 მიუნხენი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:19 | -8 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:11 | -6 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 14 ვოლფსბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:16 | -3 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 4 |
| 15 ჰანზა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | -6 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 16 კიოლნი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:18 | -11 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | -7 | 2 |
| 17 ზანქტ პაული | 10 | 1 | 4 | 5 | 11:15 | -4 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:5 | 0 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 6:10 | -4 | 3 |
| 18 ნიურნბერგი | 10 | 2 | 1 | 7 | 7:16 | -9 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | -6 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 7 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 6 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 5 |
| აილტონი (ვერდერი) | 5 |
| ვან ლენტი (მიონხენგლადბახი) | 5 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 5 |
| განია (შტუტგარტი) | 5 |

### XI ტური

28 ოქტომბერი

მიუნხენი - ლევერკუზენი
შტუტგარტი - ზანქტ პაული
კოტბუსი - დორტმუნდი
ნიურნბერგი - ჰერტა
ვერდერი - ვოლფსბურგი
ჰამბურგი - ჰანზა
კიოლნი - ბაიერნი
ლაუტერნი - შალკე
გლადბახი - ფრაიბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

X ტური

### დუისბურგი 1:1 ფიურტი

0:1 მამიჩი (30), 1:1 ებერსი (84)
გიორგი დეკანოიძე განაცხადში ვერ მოხვდა

### ალენი 4:1 კარლსრუე

1:0 მუსტერი (22), 2:0 ფაინბერი (47), 3:0 არნოლდი (51), 4:0 ბალუშინსკი (70), 4:1 ენგელჰარდტი (86)

### ვალდჰოფი 2:4 მაინცი

0:1 ჰოკი (23), 0:2 ვორონინი (36), 1:2 დ. მონტერო (40), 2:2 ტებერი (41), 2:3 ვორონინი (54), 2:4 კრამნი (74)

### შვაინფურტი 3:3 ბოხუმი

1:0 ვირშინგი (13), 2:0 სპრეჩაკოვიჩი (41), 3:0 როგელე (50), 3:1 ტომპიოლერი (59), 3:2 ფარენჰორსტი (71), 3:3 ბემბენი (81)

### ბაბელსბერგი 0:2 ობერჰაუზენი

0:1 ობადი (10), 0:2 ბელიაკოვი (19)

### როიტლინგენი 2:2 ჰანოვერი

1:0 ჰოფაკერი (29), 1:1 შტენდელი (31), 1:2 კაუფმანი (37), 2:2 გარსია (40)

### აინტრახტი 2:2 ალემანია

0:1 კილახი (28), 1:1, 2:1 შკელა (66, 70), 2:2 დიანე (79)

### ზაარბრიუკენი 0:0 უნტერჰახინგი

### არმინია — უნიონი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 10 | 8 | 1 | 1 | 23:9 | 25 |
| ჰანოვერი | 10 | 6 | 4 | 0 | 29:9 | 22 |
| არმინია | 9 | 6 | 1 | 2 | 17:7 | 19 |
| ფიურტი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:8 | 18 |
| აინტრახტი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 18 |
| ალენი | 10 | 6 | 0 | 4 | 21:26 | 18 |
| უნიონი | 9 | 5 | 2 | 2 | 23:11 | 17 |
| უნტერჰახინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:11 | 17 |
| ბოხუმი | 10 | 4 | 4 | 2 | 21:17 | 16 |
| კარლსრუე | 10 | 4 | 1 | 5 | 11:16 | 13 |
| შვაინფურტი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | 12 |
| ბაბელსბერგი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:23 | 10 |
| ვალდჰოფი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:18 | 9 |
| ალემანია | 10 | 2 | 3 | 5 | 8:15 | 9 |
| როიტლინგენი | 10 | 2 | 2 | 6 | 17:23 | 8 |
| ობერჰაუზენი | 10 | 1 | 2 | 7 | 12:22 | 5 |
| დუისბურგი | 10 | 0 | 5 | 5 | 10:20 | 5 |
| ზაარბრიუკენი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:18 | 5 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-13 ტური: ლევერკუზენი (მოყვ.) — ფორტუნა 5:2; ვატენშაიდი — პადერბორნი 3:1; დიუსელდორფი — კილი 0:3; მაგდებურგი — იურდინგენი 2:2; ესენი — დრეზდენი 3:0; აუე — ვერდერი (მოყვ.) 4:0; ბრაუნშვაიგი — მიუნსტერი 3:0; ოსნაბრიუკი — ლიუბეკი 2:0; ფერლი — ქემნიცი 1:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-14 ტური: ბურგჰაუზენი — ელვერსბერგი 1:1; ერფურტი — ტრირი 0:0; ანსბახი — მანჰეიმი 2:1; ვეჰენი — ფულდა 0:0; დარმშტადტი — ოფენბახი 0:2; ჰოფენჰაიმი — კიკერსი 4:2; აალენი — შტუტგარტი (მოყვ.) 1:0; კაიზერსლაუტერნი (მოყვ.) — ზიგენი 0:3; ბაიერნი (მოყვ.) — რეგენსბურგი 1:0

# ესპანეთი

IX ტური

**სოსიედადი 2:1 ოსასუნა**

0:1 ალფრედო (2), 1:1 იანკაუსკასი (58), 2:1 დე პაულა (85)

სოსიედადი: ალბერტო, კვარნე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ტაიფუნი (დე პაულა 68), არანბურუ (დე პედრო 25), ხაბილონდო (ლიჰტამრაძე 60), იდიაკესი, იანკაუსკასი

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

ოსასუნა: უნსუე, იანგუასი, მატეო, კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ალფრედო, პუნიალი, ფერნანდო (დავიდ ჩანო 61), რივერო (მონტენეგრო 61), ლეკუმბერი, ივან როსადო (არმენტანო 68)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: იდიაკესი, ლუის ალბერტო, ფერნანდო, უნსუე

მსაჯი: პერეს ბურული

21 000 მაყურებელი

**მალაგა 1:1 ბარსელონა**

1:0 დარიო სილვა (76), 1:1 რივალდო (78)

მალაგა: პედრო კონტრერასი, როხასი, ლიტუში (იხნატა 86), როტეტა, მიგელ ანხელი, ფერნანდო სანსი, მუსამბა, რომერო, ხერარდო (ზარატე 65), დელი ვალდესი, დარიო სილვა

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, კრისტენვალი, კოკო, პუიოლი, ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე (გაბრი 51), სავიოლა (ჯოვანი 65), კლუივერტი (ხერარდი 79), რივალდო

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გაფრთხილება: ლუის ენრიკე, მიგელ ანხელი, გაბრი, ზარატე

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

30 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 სევილია**

1:0 ტრისტანი (26)

დეპორტივო: ნუნო, კაპდევილა, დონატო, ელდერი, ექტორი, ამავისკა, სკალონი, სერხიო (ემერსონი 80), ვალერონი (ჯალმინია 66), დუშერი, ტრისტანი (მაკდიანი 57)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პრიეტო, პაბლო ალფარო, ბოდესტა, ფრედი (რეიესი 46), კასკერო, გალარდო (ტომასი 69), ოლივერა, მოიზესი (ლუის ხილი 54)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: ხავი ნავარო, დუშერი, დავიდ კასტედო, ნოტარიო, ლუის ხილი, სკალონი

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

26 000 მაყურებელი

**ბეტისი 1:1 ვილიარეალი**

0:1 პალერმო (18), 1:1 ხოაკინი (59)

ბეტისი: პრატსი, მინგო (ლუის ფერნანდესი 66), ბელენგერი, ტაისი (გუდიომსონი 60), ფილიპესკუ, ხუანიტო, ჩაპი, დენილსონი, ხოაკინი, კასასი (ამატო 60), ჟოაუ ტომაში

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ვილიარეალი: ლოპეს ვალიო, არუაბარენა, ბერუე, გალვანი, კიკე ალვარესი, გალკა, ხორხე ლოპესი (კანია 65), კალეხა, პალერმო, გიარე (ქსკუდა 78), ვიქტორი

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: არუაბარენა, ბერუე, ხორხე ლოპესი, ქსკუდა

მსაჯი: ქსკინას ტორესი

30 000 მაყურებელი

**ლას პალმასი 1:1 ბილბაო**

0:1 ეჩებერია (45), 1:1 ტევენეტი (83)

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუა, შურერი (ელიო 77), ანხელი, სემვასი, ხაიო (ტევენეტი 66), ედუ ალონსო (რუბენი 59), ხორხე, პაბლო ლაგო, ორლანდო

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

ბილბაო: ლაფუენტე, ლარაინსარი, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, ორბაისი (ფელიპე 82), ი. გერერო (ტიკო 36), ალკისა (ხავი გონსალესი 88), ხ. ეჩებერია, ურსაისი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: ლარაინსარი, ალკისა, ოსკარ ვალესი, ანხელი, სემვასი, ლარაინსარი, ელიო

გაძევება: ლარაინსარი (65)

მსაჯი: პუენტეს ლეირა

16 000 მაყურებელი

# იყიდე, გაყიდე, რა ქარვასლაა?



REUTERS მალაგა — ბარსელონა. ამ სეზონში რივალდომ (მარცხნივ) პირველად გაიტანა

**ვალიადოლიდი 1:3 ალავესი**

0:1 კოლოჩინი (20), 0:2 რუბენ ნავარო (22), 0:3 კოლოჩინი (50), 1:3 ლუის გარსია (56პ)

ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, სანტამარია (ლუის გარსია 46), ტორეს გომესი, ეუსებიო (ფერნანდო სალესი 67), ხესუსი, რიკატი, ოსკარი, ტოტე, ბლანკო (ტურუ ფლორესი 75)

მწვრთნელი: პეპე მორე

ალავესი: ერერა, კოლოჩინი, ტელიესი, ლორენსი, იბონ ბეგონია (ვუჩკო 70), ჯელი, პაბლო, კრუიფი (ივან ალონსო 85), ასტუდილიო, რუბენ ნავარო, მაგნო (ვიჩგე 58)

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

გაფრთხილება: კოლოჩინი, მარკოსი, ტოტე, ივან ალონსო

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

11 500 მაყურებელი

**მალიორკა 3:0 რაიო ვალიეკანო**

1:0 ნოვო (6), 2:0 ლუკე (73), 3:0 პავონოვიჩი (80)

მალიორკა: მიკი, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო (პავონოვიჩი 43), ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, ნოვო, მარკოსი, ენგონგა, ეტოო (ლეო ბიაჯინი 65), ლუკე (კარლოსი 76)

მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი

რაიო ვალიეკანო: ი. ეჩებერია, კოტა, გრაფი, დე კინტანა, კორინო, მიშელი, რუა, პაბლო სანსი (ბოლიჩი 67), ელდერი (პერაგონი 46), არტეაგა (ლუის სემბრანოსი 46), ბოლო

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: მარკოსი, კორინო

მსაჯი: პინო სამორანო

18 600 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:0 ტენერიფე**

1:0 მარტინ პოსე (5), 2:0 ტამუდო (18)

ესპანიოლი: არგენსო, ფრანი, როტჩენი, ლოპო, დავიდ გარსია, ველამასანი, მორალესი, კ. მუნტიანუ (ივან დიასი 55), ალექს ფერნანდესი, მარტინ პოსე (პალენსია 73), ტამუდო (აგასონ 78)

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

ტენერიფე: ხულიო იგლესიასი (სერხიო არაგონესესი 12), პაბლო პასი, ლუხინშოვი, ხავი ვენტა, ბასავილბასო, მანელი (უგო მორალესი 36), ბინუ, ხაიმე (აკორანი 66), ივან ანია, ბიჩი ფუერტესი, ხისკო

მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი

გაფრთხილება: ბიჩი ფუერტესი, ხავი ვენტა, ხაიმე, ალექს ფერნანდესი, ივან დიასი

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

21 100 მაყურებელი

**რეალი 1:1 სელტა**

0:1 კატანია (9), 1:1 გუტი (25)

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, მაკელელე, მაკმანამანი (სოლარი 82), ზიდანი (მორიენტესი 82), ფიგუ, რაული, გუტი (მუნიტისი 55)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, ჯოვანელა (დორივა 75), კარპინი, მოსტოვოი (სილვინიო 82), გუსტავო ლოპესი (ედუ 65), ლუქსენი, კატანია

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: მაკელელე, ჯოვანელა, კავალიერო, იერო, რობერტო კარლოსი, ლუქსენი, ბერიზო, მაკელელე

გაძევება: მაკელელე (90)

მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

70 144 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 სარაგოსა**

1:0, 2:0 კილი გონსალესი (32, 80)

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, კილი გონსალესი (ა. ილიე 83), რუფეტე (ვისენტე 78), აიმარი, სალვა, ხუან სანჩესი (ანგულო 67)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, კუარტერო (არაგონი 83), აგუადო, პაბლო, ქსკერდინია, გარიტანო, ხოსე იგნასიო, ფერონი (გალეტი 62), ხუანელე (იორდი 86), ბილიჩი

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო

გაფრთხილება: გარიტანო, გარიტანო

გაძევება: გარიტანო (68)

მსაჯი: ლონჩი ანდრეუ

40 000 მაყურებელი

„რეალზე“ აღარც ფული ჭრის — ფლორენტინო პერესი ფეხბურთელებს დაჰპირებია, პრიმერადივიზიონს და ჩემპიონთა თასს თუ მოიგებთ თითოეულს ნახევარ მილიონ დოლარს მოგცემთო, მაგრამ რა... „რეალმა“ ისევ ვერ გაიმარჯვა და „სამეფო კლუბისთვის“ მორიგი ფრე ფაქტობრივად წაგების ტოლფასია, რაკი ვერა და ვერ ასცდა მისთვის დამამცირებელ მეთხუთმეტე ადგილს.

„რეალი“ — „სელტას“ მატჩში ანგარიში დიეგო კატანიამ გახსნა და ამ გოლით ის დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირებს შეუერთდა. მატჩის შემდეგ გაესპანელებულმა ბრაზილიელმა თქვა: „ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. საქმე ისაა, რომ რაც პრიმერადივიზიონში ვთამაშობ, ოცი გუნდისთვის მქონდა გატანილი, „რეალისთვის“ კი — არა. ეს გოლი არასდროს დამავიწყდება“.

მადრიდელები მალევე გამოერკვნენ და შედეგიც მოიმკეს — ფრანგებმა, ზინედინ ზიდანმა და კლოდ მაკელელემ ბურთი ვიგოელთა საჯარიმომდე ჩაიტანეს და გუტის გაატანინეს. მეტი „რეალმა“ ველარ შეძლო და „სელტაც“ დივიზიონის ორიდან ერთ-ერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

მეორე დაუმარცხებელი „ვალენსია“. მისმა ყოფილმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა იტალიაში პირველი მარცხი იწვნია, ვალენსიელებმა კი კილი გონსალესის დუბლით ათკაციან „სარაგოსას“ სძლიეს. აღსანიშნავია, რომ „სარაგოსა“ გონსალესის ყოფილი კლუბია.

და სანამ დაუმარცხებლები მეორე და მეოთხე ადგილზე გამაგრებულან, ლიდერი „დეპორტივოა“, რომელმაც დიეგო ტრისტანის ერთადერთი გოლით მოუგო „სევილიას“. კატანიას მსგავსად, ტრისტანი ამ გოლმა საუკეთესო ბომბარდირებში ჩაწერა.

„მეტოქემ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა — თქვა ლაკორუნიელთა თავკაცმა ხავიერ ირურეტამ — შეხვედრის ბოლოსკენ ისინი აშკარად გვჯობდნენ და ჩვენს ნახევარდაცვაში პანიკა დათესეს. ვფიქრობ, ჩვენი სუსტი თამაში შუაგულ კვირაში ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობამ განაპირობა, მაგრამ მთავარია, რომ მაინც გავიმარჯვეთ“. სევილიელთაგან რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა ამ ტურამდე ერთპიროვნულად საუკეთესო მეგოლე ნიკო ოლივერას.

„სელტასა“ და „ვალენსიას“ შუაში გაჩხერილა ერთ ხანს ლიდერად ნამყოფი „რეალ-ბეტისი“. სევილიელებს აქამდე ოთხი საშინაო მატჩიდან ოთხივე მოეგოთ და ახლა „ვილიარეალთან“ დაუცდათ ფეხი. ოღონდ შევნიშნოთ, რომ ამაში მსაჯის ხელიც ურევია. პირველივე წუთზე არბიტრმა სტუმარ მარტინ პალერმოს გოლი არ ჩაუთვალა, რაკი იქამდე არგენტინელი ბეტისელ მცველს ეუხეშა. თვრამეტი წუთის შემდეგ პალერმომ თავისი მაინც გაიტანა, ოღონდ ამ გოლს ოფსაიდის სუნი სდიოდა, თუმც არბიტრმა ამჯერად გოლის გაუქმება საჭიროდ აღარ ჩათვალა. მასპინძლები ამგვარმა დასაწყისმა ვერ გატეხა. მათ თამაშის ფრედ დასრულებას მიაღწიეს, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა დენილსონმა, ვინც თავის საუკეთესო სეზონს ატარებს — ხოაკინმა სწორედ ბრაზილიელის პასით გაათანაბრა.

მეხუთე ადგილზეა „ბარსელონა“. დარიო სილვამ დელი ვალდესის პასით „მალაგა“ დააწინაურა, მაგრამ კატალონიელებმა ორიოდ წუთში გაათანაბრეს და მატჩიც ფრედ დასრულდა. საპასუხო გოლის ავტორია რივალდო, რომლისთვისაც ამ სეზონში ეს პირველი პრიმერადივიზიონული გოლია. არადა, ბრაზილიელმა წინა სეზონი ოცდასამი გოლით დაასრულა. ახლა ასეთი მწირშედეგიანობის მიზეზი კი, გეხსომებათ, [illegible] რამდენიმე მატჩი გამოატოვებინა.

„კარგა ხანს [illegible] გამოვიყურებოდით, ბოლოსკენ კი დიდთავა ქათმებად ვიქეცით“ — ამ სიტყვებით შეაფასა თავისი გუნდის თამაში „რეალ-სოსიედადის“ მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა.

ქათამთან შედარება (თუგინდ უზარმაზარ თავიანთან) დიდად საამაყო არ უნდა იყოს, მაგრამ უელსელმა, ალბათ, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. მატჩის წინ ესპანური პრესა ერთხმად ამტკიცებდა, სანსებასტიანელებმა თუ ვერ მოიგეს, ტოშაკს უეჭველად მოხსნიანო. იქაურებისა რა მოგახსენოთ, ნახევარი თბილისი კი ამტკიცებდა, „ოსასუნას“ „სოსიედადისთვის“ შარშანდელი ვალი აქვს დასაბრუნებელიო და საქმე იქამდეც მივიდა, ამ მიმოხილვის ავტორს შაბათ დილით ერთ-ერთ თბილისურ ტოტალიზატორში უთხრეს, „სოსიედად“ — „ოსასუნაზე“ ფსონს არ ვიღებთო. ჩაწყობაზე მოლაპარაკეთა პოზიცია მატჩის მსვლელობამაც გაამყარა, რაკი მასპინძლები კარგა ხანს აგებდნენ და მიწურულსღა შეძლეს სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვება.

ოღონდ ერთიცაა — ბევრი ამტკიცებს, გარიგება რა შუაშია, „სოსიედადი“ მისებრ სუსტ გუნდს ხვდებოდა, ოდესმე ხომ უნდა მოეგო თამაში და რაც მთავარია, ამ სეზონში პირველად არ ჰყავდა ტრავმირებული ფეხბურთელებიო. ისე, საინტერესოა, ვინ მოისმინა „სოსიედადის“ და „ოსასუნას“ პრეზიდენტების ჩურჩული, გავრიგდეთო? თუ გარიგებაზე და ვალების დაბრუნებაზე მიდგა საქმე, სერია A-ში „ატალანტას“ „უდინეზე“ უნდა დაემარცხებინა (შედეგი იხილეთ მერვე გვერდზე), ხოლო წინა სეზონში „ბაიერნს“ „უნტერჰახინგი“ არ უნდა გაეგდო ბუნდესლიგიდან.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 9 | 6 | 2 | 1 | 17:9 | 8 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 10 |
| 2 | სელტა | 9 | 4 | 5 | 0 | 17:7 | 10 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 10 | 5 | 1 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 7 |
| 3 | ბეტისი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:8 | 5 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 |
| 4 | ვალენსია | 9 | 4 | 5 | 0 | 11:6 | 5 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 5:0 | 5 | 13 | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 0 | 4 |
| 5 | ბარსელონა | 9 | 4 | 4 | 1 | 14:7 | 7 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 6 | ალავესი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:5 | 5 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 3 | 8 |
| 7 | ვილიარეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:8 | 2 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 |
| 8 | ესპანიოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:15 | -3 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 3 |
| 9 | სევილია | 9 | 3 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 |
| 10 | ბილბაო | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | -2 | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 10 |
| 11 | ლას პალმასი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:7 | 3 | 11 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:3 | 0 | 3 |
| 12 | სარაგოსა | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 |
| 13 | ვალიადოლიდი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:8 | 0 | 7 |
| 14 | ოსასუნა | 9 | 3 | 2 | 4 | 5:11 | -6 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 |
| 15 | რეალი | 9 | 2 | 4 | 3 | 14:13 | 1 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 11:5 | 6 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 |
| 16 | მალაგა | 9 | 2 | 4 | 3 | 11:12 | -1 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 17 | ტენერიფე | 9 | 3 | 1 | 5 | 7:12 | -5 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 3 |
| 18 | მალიორკა | 9 | 2 | 2 | 5 | 6:12 | -6 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 4 |
| 19 | სოსიედადი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 0 |
| 20 | რაიო ვალიეკანო | 9 | 1 | 1 | 7 | 8:18 | -10 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ოლივერა (სევილია) | 5 |
| კატანია (სელტა) | 5 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 5 |
| კასასი (ბეტისი) | 4 |
| დე ლუკასი (ესპანიოლი) | 4 |
| ზიდანი (რეალი) | 4 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 4 |
| ტოტე (ვალიადოლიდი) | 4 |
| ურსაისი (ბილბაო) | 4 |
| დარიო სილვა (მალაგა) | 4 |
| პალერმო (ვილიარეალი) | 4 |

**X ტური**

28 ოქტომბერი

ბილბაო - ესპანიოლი
ალავესი - ლას პალმასი
სელტა - ვალიადოლიდი
ვილიარეალი - რეალი
ბარსელონა - ბეტისი
სარაგოსა - მალაგა
სევილია - ვალენსია
რაიო ვალიეკანო - დეპორტივო
ოსასუნა - მალიორკა
ტენერიფე - სოსიედადი

# მეორე დივიზიონი

X ტური

**ლეგანესი 0:0 ბურგოსი**

**კორდობა 3:0 ელჩე**

1:0, 2:0 ლავალი (43, 63), 3:0 ველიტონი (84)

**ფეროლი 0:1 ხაენი**

0:1 ჩიკო (56)

**ნუმანსია 1:2 ატლეტიკო**

0:1 დიეგო ალონსო (31), 0:2 აგილერა (82), 1:2 არმადა (88)

**ბადახოსი 0:1 პოლი ეხიდო**

0:1 ხუან ხესუსი (76)

**ლევანტე 1:1 რასინგი**

0:1 პაბლო სიერა (8), 1:1 ხოსემი (30)

**ალბასეტე 1:0 მურსია**

1:0 ხესუს პერერა (57)

**ეიბარი 2:0 ხერესი**

1:0 ალდეონდო (36), 2:0 სანჩესი (40)

**სალამანკა 0:0 ესტრემადურა**

**სპორტინგი 1:1 ხიმნასტიკი**

1:0 ვილა (19), 1:1 ერერო (85)

**უელვა 0:2 ოვიედო**

0:1 რუბენი (63), 0:2 ოსკარ პერესი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 10 | 6 | 3 | 1 | 16:6 | 21 |
| ოვიედო | 10 | 5 | 5 | 0 | 12:3 | 20 |
| ხერესი | 10 | 6 | 0 | 4 | 10:9 | 18 |
| ფეროლი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:8 | 17 |
| ბურგოსი | 10 | 5 | 2 | 3 | 10:8 | 17 |
| ალბასეტე | 10 | 4 | 3 | 3 | 8:4 | 15 |
| სალამანკა | 10 | 3 | 6 | 1 | 17:14 | 15 |
| უელვა | 10 | 4 | 3 | 3 | 8:8 | 15 |
| კორდობა | 10 | 4 | 2 | 4 | 13:11 | 14 |
| ეიბარი | 10 | 3 | 5 | 2 | 7:6 | 14 |
| ელჩე | 10 | 3 | 5 | 2 | 7:8 | 14 |
| ესტრემადურა | 10 | 3 | 3 | 4 | 10:7 | 12 |
| ნუმანსია | 10 | 3 | 3 | 4 | 11:11 | 12 |
| სპორტინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | 12 |
| ლეგანესი | 10 | 2 | 6 | 2 | 7:9 | 12 |
| ხაენი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:13 | 12 |
| მურსია | 10 | 2 | 5 | 3 | 9:10 | 11 |
| რასინგი | 10 | 2 | 5 | 3 | 7:10 | 11 |
| ლევანტე | 10 | 1 | 5 | 4 | 7:11 | 8 |
| პოლი ეხიდო | 10 | 1 | 4 | 5 | 8:14 | 7 |
| ხიმნასტიკი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:14 | 6 |
| ბადახოსი | 10 | 1 | 2 | 7 | 2:12 | 5 |

# ღვთიური ცხენისკუდას ორმაგი დღე

## იტალია

### VIII ტური

### ინტერი 2:4 მილანი

1:0 ვენტოლა (13), 1:1 შევჩენკო (59), 1:2 კონტრა (61), 1:3 ინძაგი (66), 1:4 შევჩენკო (77), 2:4 კალონი (90)
ინტერი: ტოლდო, ვივასი, კორდობა, მატერაცი, გეორგატოსი (ოკანი 75), ხ. ძანეტი, ზეედორფი, დი ბიაჯო (კ. ძანეტი 69), გულიელმინპიეტრო, კალონი, ვენტოლა (ადრიანო 68)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მილანი: აბიატი, კალაძე, კოსტაკურტა, ლაურსენი, მალდინი, გატუზო, ალბერტინი (კონტრა 46), სერჯინიო, რუი კოშტა (ბროკი 80), შევჩენკო, ფ. ინძაგი (დონატი 68)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: ლაურსენი, კონტრა, კალონი, ვივასი, მატერაცი
მსაჯი: კოლინა
78 124 მაყურებელი

### რომა 5:1 ლეჩე

1:0 ტოტი (8), 2:0 სამუელი (38), 2:1 ჩევანტონი (64), 3:1 კანდელა (69), 4:1 ტოტი (78), 5:1 ბატისტუტა (86)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, სივილია, პანუჩი (ფუზერი 87), ასუნსაო, ლიმა, კანდელა, ტოტი (კასანო 80), ბატისტუტა, დელვეკიო (გიგუ 56)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლეჩე: კიმენტი, სტოვინი, პოპესკუ, სავინო, ჩირილო (ბალერი 46), ჯორჯეტი, კონტიკიო (სუპერბი 72), ჯაკომაცი, ტონეტო, ვუგრინეცი, ჩევანტონი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
მსაჯი: ბოლონინო
55 000 მაყურებელი

### ბოლონია 0:0 იუვენტუსი

ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი (გამბერინი 46), მ. კასტელინი, ბრიოსკი, ბრიგა, ოლივე, მაჩელარი, პეკია (ბელუჩი 85), ძაული, ხულიო კრუზი (ნერვო 69)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო, მონტერო, პესოტო (პარამატი 62), ძამბროტა, ტაკინარდი (სალასი 77), დავიდსი, ნედვედი (მარესკა 58), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: კასტელინი, მაჩელარი, პესოტო, ძამბროტა, ოლივე
მსაჯი: პაპარესტა
38 000 მაყურებელი



REUTERS ბოლონიიდან

ბოლონია — იუვენტუსი. რენატო ოლივემ ტურინელ ალესანდრო დელ პიეროს ფეხი შეუმჩნევლად გამოსდო, იმან კი ოსტატურად გააფორმა

### კიევო 1:0 პარმა

1:0 კორადი (24)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, ლორენცი, ლანა, ერიბერტო (ფრანჩესკინი 74), პეროტა, კორინი, მანფრედინი, კორადი (კოსატო 68), მარაცინა (ბეგეტო 84)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პარმა: ფრეი, ჯეტუ, სენსინი, ფ. კანავარო, დიანა, ბოლანო (აპია 54), ლამუში, ჟუნიორი (გურენკო 68), ნაკატა (მარკიონი 54), ბონაცოლი, დი ვაიო
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: დიანა, დანჯელო
მსაჯი: ბრასკი
6 854 მაყურებელი

### ვენეცია 0:0 ლაციო

ვენეცია: ჯ. როსი, კონტე, ბილიკა, ბიორკლუნდი, ბეტარინი, ვალტოლინა (დე ფრანჩესკი 57), დ. ანდერსონი, მარასკო, ბრესანი (რუკავინა 66), მანიერო, მაგალიანესი (დი ნაპოლი 63)
მწვრთნელი: ალფრედო მანი
ლაციო: პერუცი, სტამი, ნესტა, კოუტუ, ლივერანი (სესარი 59), პანკარო, ჯანიკედა, ფიორე, მენდიეტა, კრესპო (კოვაჩევიჩი 87), კლაუდიო ლოპესი (ს. ინძაგი 77)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ჯანიკედა, დი ნაპოლი
მსაჯი: როზეტი
8 283 მაყურებელი

### ატალანტა 1:5 უდინეზე

0:1 იორგენსენი (5), 1:1 დონი (57), 1:2 იორგენსენი (62), 1:3 იაკონტა (77), 1:4, 1:5 მუცი (81, 85პ)
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი (რუსტიკო 57), სალა, კარერა, რინალდი (მინარდი 64), დ. ძენონი, ბერეტა, დონი, ძაური, საუდატი (როსინი 64), კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
უდინეზე: ტურჩი (დე სანტისი 46), პიერი, სოტილი, კაბალიერო, ბერტოტო, იორგენსენი (სკარლატო 81), პინცი, ლ. ელგერა, დ. პიზარო, სოზა (იაკონტა 68), მუცი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: დე სანტისი
გაძევება: პინარდი (88)
მსაჯი: ტრენტალონი
13 000 მაყურებელი

### პიაჩენცა 0:1 ბრეშა

0:1 ბაჯო (17)
პიაჩენცა: ორლანდონი, კრისტანტე, ბოზელი, ა. ლუკარელი, მორა, გაუტიერი, მატუზალემი, ვოლპი, დი ფრანჩესკო (კაზა 65), ამბროზეტი (მოჯი 54), უბნერი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი (დაინელი 76), კალორი, ბონერა, მასიმო ესპოზიტო, ა. ფილიპინი, გვარდიოლა (ილანა 72), ე. ფილიპინი, სუსი, რ. ბაჯო (ტონი 55), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ვოლპი, მორა, მატუზალემი, ესპოზიტო, კალორი, ილანა, ტარე
მსაჯი: ჩეზარი
9 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 0:2 ვერონა

0:1 ოდო (43პ), 0:2 მუტუ (57)
ფიორენტინა: მანინგერი, ტორიჩელი, ადანი, მორეტი, ვანოლი, დი ლივიო, ბარონიო (გონსალესი 59), კოისი (ბენინი 85), კ. ამორუზო, ნუნუ გომეში, მიატოვიჩი (ვაკუფცისი 59)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ვერონა: ფერონი, გონელა, ძანკი, მ. კანავარო, ოდო, იტალიანო (მაცოლა 74), ლ. კოლუჩი, სერიჩი, კამორანეზი, ფრიკი (სალვეტი 70), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: კამორანეზი, ფრიკი, ვაკუფცისი, ადანი, დი ლივიო
მსაჯი: დონდარინი
13 000 მაყურებელი

### ტორინო 1:0 პერუჯა

1:0 ფერანტე (26)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, ასტა, დე აშენტისი, კოე (კომოტო 76), მეცანო, მასპერო (ვერგასოლა 69), კ. ლუკარელი, ფერანტე (ოსმანოვსკი 80)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო (ნალიცისი 82), დელასი, დი ლორეტო, ზე მარია, ტედესკო, გატი, ბაიოკო, მილანეზე, ბაცანი (ბერეტონი 54), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: მეცანო, ლუკარელი, გატი, ბაცანი, ზე მარია, ბაიოკო, დელასი, კომოტო
მსაჯი: დე სანტისი
20 000 მაყურებელი



REUTERS რომიდან

რომა — ლეჩე. სტუმართა მეკარე ანტონიო კიმენტის (შუაში) გაბრიელ ბატისტუტამაც (№20) გაუტანა და ვალტერ სამუელმაც

**ჩახედეთ ცხრილს!** მეორეზეა „მილანი“, მესამეზე „ინტერი“, მეხუთეზე „იუვენტუსი“, მეექვსეზე „რომა“... და ვინ არის პირველ ადგილზე?

იმან, ვინც პირველ ადგილზეა, „პარმას“ უმასპინძლა და 1:0 მოუგო. „სტადიო ბენტეგოდიზე“ შეკრებილ გარეუბნელებს განუზომელი სიხარული თავდამსხმელმა ბერნარდო კორადიმ მოგვარა, როდესაც 24-ე წუთზე კლასიკური კონტრშეტევა გოლით დააგვირგვინა. ასე და ამგვარად, ის, ვინც პირველ ადგილზეა, თავის ისტორიაში, სერია A-ში ჩატარებული პირველი შვიდი თამაშის შემდეგ ხუთი მოგებით, ერთი ფრით და „იუვენტუსისგან“ ნაწნევი ერთადერთი მარცხით, ახლა უფრო თამამად შეეცდება უმთავრესი ამოცანის, ლიგაში ადგილის შენარჩუნების გადაწყვეტას. მისი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი ამბობს:

„ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მძიმე [illegible] განგებო რესურსები არ გაგვაჩნია“.

და იცით, [illegible] რა არის? [illegible] „სტადიო ბენტეგოდიზე“, სადაც 12 ათასი ადამიანი ეტევა, ადგილების ნახევარი თუ იყო შევსებული. ალბათ, სხვა უბნელები არ მივიდნენ და...

შთამბეჭდავი დღე ჰქონდათ რომაელებსაც. ფაბიო კაპელოს ხელქვეითებმა „ლეჩეს“ უმასპინძლეს და 5:1 გაიმარჯვეს. ანგარიში დასაწყისშივე გაიხსნა — ფრანჩესკო ტოტიმ ვენსან კანდელას ჩაწოდებული ბურთი თავურით გაგზავნა სტუმართა კარში. შესვენების წინ არგენტინელმა მცველმა ვალტერ სამუელმა მეორე შეაგდო და გულშემატკივარიც დარწმუნდა, რომ ჩემპიონი კრიზისიდან გამოვიდა.

შემდეგ ცოტა ლეჩელებმა მოიფხანეს გული. ურუგვაელმა თავდამსხმელმა ხავიერ ჩევანტონმა ოსტატური დარტყმით შეამცირა სხვაობა, მაგრამ ამას ისევ მასპინძელთა შტურმი მოჰყვა: კანდელას ინდივიდუალურმა გაბრწყინებამ, ტოტის პენალტმა და გაბრიელ ბატისტუტას დარტყმამ ფაბიო კაპელოს ასეთი სიტყვები ათქმევინეს:

„დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ლეჩე“ ახლა საკმაოდ კარგ ფორმაშია“.

ხოლო, სანამ კარგ ფორმაში მყოფ „ლეჩეს“ კაპელოს ბიჭები ჭანდგურებდნენ, ვარსკვლავთ ვარსკვლავს, „ბრეშას“ თავდამსხმელ 34 წლის რობერტო ბაჯოს პიაჩენცას სტადიონიდან ორმაგი გრძნობები გაჰყვა საავადმყოფოში. „ღვთიურმა ცხენისკუდამ“ — ასე ვარცხნილობისა და ბუდისტობის გამო უწოდებენ — გოლიც გაიტანა, რითაც პიაჩენცელ დარიო უბნერს გაუტოლდა და მუხლიც იტკინა, რის გამოც, შეიძლება სამი კვირა გაუცდეს. ბაჯოს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა შეხვედრაში.

საინტერესოა ისიც, რომ ბერგამოში მასპინძელ „ატალანტას“ სტუმარმა „უდინეზემ“ დიდი ანგარიშით 5:1 მოუგო.

„გუნდმა შეასრულა ყველაფერი, რაც თამაშის წინ ვთხოვე — ამბობდა მერე გახარებული ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი — ამიერიდან მთავარია ასე განვაგრძოთ“.

„ფიორენტინას“ პრობლემები კი გრძელდება. მეშვიდე ტურში ფლორენციელებმა შინ „ვერონასთან“ შეხვედრაში იწვნიეს 0:2.

მატჩის შემდეგ ვერონელთა მწვრთნელმა ალბერტო მალეზანიმ ბრძანა:

„დღეს ჩინებული შეხვედრა ვიხილეთ, რაც ჩვენი ფეხბურთის მაღალ დონეზე მიგვითითებს. ორივე კლუბმა საუცხოოდ ითამაშა“.

„ვენეციამ“ „ლაციოს“ უმასპინძლა. შეხვედრა დასრულდა ფრედ 0:0. ეს შედეგი ვენეციელთა ახალ და სრულიად უცნობ მწვრთნელ ალფრედო მანის დაღებითად შეუფასეს, „ლაციოს“ თავკაცმა, ალბერტო ძაკერონიმ კი განაცხადა, რომ მისი გუნდი იტალიის პირველობაზე სულაც არ ზოგავს ძალებს, რათა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებისთვის შემოინახოს.

„არა, ეს მართალი არ არის — თქვა „მილანის“ ყოფილმა თავკაცმა — ვენეციელები იმიტომ ვერ დავამარცხეთ, რომ მათ ძლიერი წინააღმდეგობა გაგვიწიეს“.

„ბოლონიამ“ და „იუვენტუსმა“ უინტერესო, ჯაჯგურუხვი 0:0 ითამაშეს.

**პაპუნა ძიდია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | კიევო | 7 | 5 | 1 | 1 | 15:8 | 7 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 7 |
| 2 | მილანი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 7 |
| 3 | ინტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:9 | 4 | 14 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 3 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 4 | ბოლონია | 7 | 4 | 1 | 2 | 4:3 | 1 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 6 |
| 5 | იუვენტუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 12:7 | 5 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 2 | 5 |
| 6 | რომა | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 5 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 7 | ვერონა | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 2 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 |
| 8 | ბრეშა | 7 | 2 | 4 | 1 | 12:10 | 2 | 10 | 4 | 0 | 4 | 0 | 8:8 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 |
| 9 | უდინეზე | 7 | 2 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 7 |
| 10 | ლეჩე | 7 | 2 | 3 | 2 | 10:11 | -1 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 4 |
| 11 | პიაჩენცა | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:7 | -2 | 2 |
| 12 | ლაციო | 7 | 1 | 5 | 1 | 3:3 | 0 | 8 | 4 | 1 | 3 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | -2 | 2 |
| 13 | პარმა | 7 | 1 | 4 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 14 | პერუჯა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 15 | ტორინო | 7 | 1 | 3 | 3 | 8:12 | -4 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 6:8 | -2 | 3 |
| 16 | ფიორენტინა | 7 | 2 | 0 | 5 | 10:17 | -7 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | -7 | 0 |
| 17 | ატალანტა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:16 | -10 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 1 |
| 18 | ვენეცია | 7 | 0 | 2 | 5 | 3:12 | -9 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | -2 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| უბნერი (პიაჩენცა) | 7 |
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 7 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 5 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 5 |
| კალონი (ინტერი) | 5 |
| მუცი (უდინეზე) | 5 |

### IX ტური

28 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ბრეშა | - | ვენეცია |
| კიევო | - | ტორინო |
| იუვენტუსი | - | ინტერი |
| ლეჩე | - | ატალანტა |
| მილანი | - | ბოლონია |
| პარმა | - | ვერონა |
| პერუჯა | - | პიაჩენცა |
| რომა | - | ლაციო |
| უდინეზე | - | ფიორენტინა |

### სერია C1/a

მე-8 ტური: ჩეზენა — არეცო 3:0; ლუმეცანე — ალბინოლეფე 0:0; მონცა — პადოვა 3:1; პიზა — ალძანო 0:1; რეჯანა — ლუკეზე 3:1; სპეცია — ლეკო 2:1; ტრევიზო — კარარეზე 0:1; ტრიესტინა — ლივორნო 0:3; ვარეზე — სპალ 0:0

### სერია C1/b

მე-8 ტური: აველინო — კროტონე 3:2; ბენევენტო — ნოჩერინა 1:1; კატანია — პეზარო 2:0; ფერმანა — დი სანგრო 1:0; აკილა — ლოდიჯანი 2:1; პესკარა — ჯულიანოვა 0:0; ვიტერბეზე — ტარანტო 1:1. ტორესი — ლანჩანო 0:0-ზე ჩაიშალა, სორა — ასკოლი წუხელ გვიან გაიმართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიის ჩემპიონატი
## მერვე ტურის მატჩი
## ინტერი 2:4 მილანი
კახა კალაძე: 90 წუთი

# კონტრა-სტული ტაიმები

**მილანური** დერბის ფავორიტი ყველას „ინტერი" ეგონა, მაგრამ, თურმე ცდებოდნენ. თურმე არც იმას ჰქონია დიდი მნიშვნელობა, წინა სეზონის ბოლოს ანუ ამა წლის მაისში, წინა მილანურ დერბიში „მილანმა" „ინტერს" შეურაცხმყოფელი ანგარიშით, 6:0 რომ მოუგო. შეურაცხყოფა შეურაცხყოფად დარჩა, „ინტერმა" შური ვერ იძია.

მოდით, თამაშზე ლაპარაკი იმით დავიწყოთ, რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს — კახა კალაძით. კალაძეს, მოგეხსენებათ, ბოლოხანს, ერთი შეხედვით ცუდად ჰქონდა საქმე, წინა ტურში ძირითად შემადგენლობაში ვერც კი მოხვდა, მაგრამ კვირა საღამოს „სან სიროზე" სხვა სურათი ვიხილეთ: საქართველოს ნაკრების წევრი მოედანზე იყო და, რაც ყველაზე საინტერესოა, ნახევარდაცვაში თამაშობდა.

შეგახსენებთ, რომ კალაძე „მილანში" ალბერტო ძაკერონის დროს გადავიდა და ერთ თუ ორ შეხვედრაში დაცვის ცენტრში თამაშის შემდეგ ნახევარდაცვაში გადაიყვანეს, თუმცა სულ იმას ამბობდნენ, ის მონაცემებით მცველია, უბრალოდ „მილანს" მოედნის შუაში ბევრი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული და იძულებული ვართ მისი უნარი აქ გამოვიყენოთო. იგივე გაგრძელდა ჩეზარე მალდინის დროსაც, ხოლო როდესაც „შავ-წითლებს" სათავეში ფატიჰ თერიმი ჩაუდგა, კალაძემ ნელ-ნელა დაცვის მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლა. ამით თერიმს სერჟინიოსთვის ზურგსუკან მცველის დაყენება და შესაბამისად მისთვის შეტევაში ხელ-ფეხის გახსნა სურდა, მაგრამ არ აეწყო საქმე. ვერც სერჟინიოს შეტევები გახდა უფრო ეფექტური და კალაძეც თითქოს შეიბოჭა. თანაც, გეხსომებათ, ის ორი უხეში შეცდომა ქართველმა „ლაციოსთან" შეხვედრაში რომ დაუშვა. მაშინ მას უბრალოდ გაუმართლა, „მილანმა" მის გამო რომ არ წააგო.

და აი, კალაძე ისევ ნახევარდაცვაშია, ხოლო სერჟინიოს ძველებურად მთელი მარცხენა ფრთა დაუბრუნეს.

ახლა კი დავუბრუნდეთ კვირა საღამოს „სან სიროს", სადაც „მილანმა" პირველ ტაიმში 0:1 წააგო, ხოლო მისი ფორვარდები, ანდრეი შევჩენკო და ფილიპო ინძაგი „ინტერის" მცველთა ტყეში სადღაც ჩაკარგულიყვნენ. პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „შავ-წითლებს" გოლის გატანის ვარიანტი მხოლოდ შორეული დარტყმით ან სტანდარტული მდგომარეობიდან თუ ექნებოდათ.

მაგრამ შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა, რაც თერიმის ერთმა გონივრულმა სვლამ გამოიწვია — დემეტრიო ალბერტინის ნაცვლად მოედანზე კოზმინ კონტრა გამოჩნდა, რამაც „მილანის" შეტევა გაამძაფრა. ასე ვთქვათ, მინდვრის სიგრძე-სიგანეზე მოქმედი, არცთუ კარგ ფორმაში მყოფი, სიღრმიდან პასების დამრიგებლის ნაცვლად გამოჩნდა მხოლოდ სიგრძეზე სწრაფად მორბენალი, მწვავედ შემტევი და თავდაცვის დროს ხისტი მოთამაშე.

და ამას შედეგი მოჰყვა. წინ, „ინტერის" კართან შევჩენკო და ინძაგიც გამოჩნდნენ. იქ ყოფილან. მე-60 წუთზე მარცხნიდან რუი კოშტას ჩაკიდებულ ბურთს შევჩენკო ჩვეულად გამოეხმაურა და ანგარიში თავურით გახსნა, ხოლო ორ წუთში კალაძის გაგორებული კონტრამ მიიღო და საჯარიმოს მისადგომებიდან საუცხოო დარტყმით წინ „შავ-წითლები" გაიყვანა. გამოხდა კიდევ ოთხი წუთი და ახლა კონტრას ჩაწოდებულს ინძაგიმ დაჰკრა თავი, ხოლო 11 წუთის შემდეგ ისევ შევჩენკომ იყოჩაღა და სერჟინიოს პასს ამჯერად ფეხით მიუჩინა „ინტერის" კარში ადგილი. ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებში „შავ-ლურჯმა" მოჰამედ კალონმა იხელთა წამი და ანგარიშის სხვაობა ცოტა ღირსეული გახადა.

და ბოლოს ტელეკომპანია „რაიუნოს" ნიშნებზე: მილანელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება, 7,5 კოზმინ კონტრამ მიიღო, ყველაზე დაბალი, 5, დემეტრიო ალბერტინიმ, დანარჩენებს კი ან 6,5 ხვდათ, ან 6. კალაძეს 6 ერგო.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS
კახა კალაძემ ხავიერ ძანეტის ბურთი არ დაანება

## ფინეთი

31-ე ტური: ატლანტისი — ინტერი 2:1; ჰაკა — იოკერიტი 2:1; ჯაზი — კუოპიო 2:2; ლაჰტი — ტამპერე 0:1; მიუპა — ჰიკ 1:0; ვაასა — როვანიემი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 31 | 18 | 9 | 4 | 61:17 | 63 |
| ტამპერე | 31 | 19 | 5 | 7 | 45:31 | 62 |
| მიუპა | 31 | 17 | 9 | 5 | 45:23 | 60 |
| ჰაკა | 31 | 14 | 8 | 9 | 43:28 | 50 |
| ინტერი | 31 | 14 | 4 | 13 | 42:43 | 46 |
| ვაასა | 31 | 13 | 3 | 15 | 46:48 | 42 |
| ატლანტისი | 31 | 11 | 9 | 11 | 41:46 | 42 |
| კუოპიო | 31 | 8 | 10 | 13 | 32:42 | 34 |
| ლაჰტი | 31 | 8 | 9 | 14 | 35:46 | 33 |
| ჯაზი | 31 | 6 | 11 | 14 | 32:49 | 29 |
| იოკერიტი | 31 | 7 | 6 | 18 | 30:54 | 27 |
| როვანიემი | 31 | 5 | 9 | 17 | 23:48 | 24 |

## ავსტრია

16-ე ტური: აუსტრია — ადმირა 3:0; ბრეგენცი — კერნტენი 2:0; გრაცერი — რაპიდი 1:0; ზალცბურგი — რიდი 2:0; ტიროლი — შტურმი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 14 | 11 | 3 | 0 | 34:1 | 36 |
| შტურმი | 15 | 9 | 4 | 2 | 27:11 | 31 |
| გრაცერი | 16 | 8 | 3 | 5 | 32:24 | 27 |
| კერნტენი | 15 | 7 | 3 | 5 | 17:20 | 24 |
| ზალცბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 15:16 | 22 |
| ბრეგენცი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:31 | 19 |
| რაპიდი | 16 | 5 | 3 | 8 | 15:21 | 18 |
| აუსტრია | 16 | 4 | 5 | 7 | 21:22 | 17 |
| რიდი | 16 | 3 | 6 | 7 | 21:28 | 15 |
| ადმირა | 16 | 2 | 1 | 13 | 10:36 | 7 |

## შოტლანდია
XI ტური

**აბერდინი 3:2 დანფერმლაინი**
1:0 ვინტერსი (21), 2:0 სოლბერგი (24), 3:0 ვინტერსი (43), 3:1 კროუფორდი (68), 3:2 დე ჯირი (78)

**სელტიკი 5:1 დანდი იუნაიტედი**
1:0 ჰართსონი (7), 2:0 ბალდე (45), 3:0 ჰართსონი (60), 3:1 მაკინტაირი (76), 4:1 ჰართსონი (83), 5:1 მელოუნი (86)

**კილმარნოკი 1:5 ლივინგსტონი**
1:0 სანტინი (ნ, ს.კ.), 1:1 ბინგჰემი (8), 1:2 ენდრიუსი (20), 1:3 ფერნანდესი (68), 1:4 შაუსა (78), 1:5 აურელიო (90)

**სენტ ჯონსტონი 0:2 რეინჯერსი**
0:1 არველაძე (48), 0:2 ფლო (69)
რეინჯერსი: კლოსი, ლ. ამორუზო, კონტერმანი, ბოლი, რიკსენი, კ. რეინა (მაკკანი 46), ბ. ფერგიუსონი (როსი 82), ნუმანი, რ. დე ბური, ფლო (კანიჯა 85), შ. არველაძე
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
8 351 მაყურებელი

**ჰიბერნიანი 2:1 ჰარტსი**
1:0, 2:0 დე ლა კრუზი (1, 24), 2:1 საიმონსი (66)

**დანდი — მოზერუელი**
გადაიდო

**გუნდებმა** ბურთის თავზე ცას ახედეს, მოედანს დახედეს და არბიტრ სტიუარტ დუგალს შეხედეს. ამანაც, ვითომ არაფერიო, თამაშის გაჩაღება ბრძანა. კი გადაირია სტუმართა მწვრთნელი დიკ ადვოკაატი, ამ ტყლაპოში რა გვესაქმებაო, მაგრამ მსაჯმა თავისი დაიჟინა და აღარ გადათქვა: „სენტ ჯონსტონი" გლაზგოს „რეინჯერსს" დაუპირისპირდა.

არადა, წინა დღით „დანდი" — „მოზერუელის" შეხვედრა სწორედ დატბორილი მოედნის გამო გადაიდო, რამაც დანდელთა ქართველ ახალწვეულ თემურ ქეცბაიას სქოთური დებიუტი ჩაუშალა. არანაკლები თქეში დაატყდა პერთსაც, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მსაჯმა მასპინძლებს შანსი მისცა — ასეთ პირობებში ხომ გუნდებს შორის ოსტატობაში სხვაობა მინიმუმამდე დადის.

„შედეგად, ამ მატჩისას ორი გადაბმული პასი არ გაკეთებულა. მოთამაშეები ლაფში ემხობოდნენ, ერთმანეთს ასკდებოდნენ და მეტ-ნაკლებად მშრალ ადგილებს ეძურებოდნენ ბურთის გასაგორებლად. მოკლედ, დიკ ადვოკაატის მატჩისწინა ვიშვიში ამაო სულაც არ იქნებოდა, მასპინძლები შოთა არველაძეს რომ არ გაეტეხა" — წერს ინგლისური „სანი".

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ქართველის, იგივე პირველი გოლის ავტორის ქებაში უფრო შორს

# ფრთხილად, შოთა!


სენტ ჯონსტონი — რეინჯერსი. მასპინძლებს პირველი გოლი შოთა არველაძემ (მარცხნივ) გაუტანა

შოტლანდიური „დეილი რეკორდი" მიდის: „შოთა არველაძე ფრთხილად უნდა იყოს — „რეინჯერსის" გულშემატკივართა ნაწილი მას უკვე მხსნელად მიიჩნევს და მისგან სასწაულებს ელის. არც გაემტყუნებათ: კვირას ქართველი ისე დადიოდა კოჭებამდე წყალში, როგორც მესია. არველაძემ თავისი ახალი გუნდისთვის მესამე მატჩში მეოთხე გოლი შეაგდო და „სენტ ჯონსტონს" მღვრიე წყალში თევზი არ დააჭერინა."

შევარდენი: ნ. ნოზაძე (5), გიგაური (12), გ. ჩხეიძე (21), გოგუა (6), ქევხიშვილი (3); გულხადარაშვილი (9), გელაშვილი, კაზანჯიანი (2), ბ. ნოზაძე (4)

დინამო: მიქაძე (7), რ. ჩხეიძე (5), გ. ნაცვლიშვილი (8), ჩუბინიძე (10), ნინიაშვილი (17); აკოლაშვილი (15), კონჯარია, ჩავლეიშვილი (9), ბერია, ა. ბერიშვილი, ნინოშვილი (2), კორძაძე (8)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**21 ოქტომბერი. ვერის ბაღი**

**აზოტი 86:70 ქუთაისი**

19:8, 25:24, 24:19, 18:19

აზოტი: ჟღენტი (16), ა. ბოისა (4), ბაბიაშვილი (23), ბერუაშვილი (24), მაჭარაძე (6); გაბისონია (3), დანელიანი (1), არწივაძე, ლიპარტელიანი (2), კოკოლიშვილი (7), ჯიმშელეიშვილი

ქუთაისი: ბერეკაშვილი (2), ბადრიძე (6), ნ. შანიძე, კვიმსაძე (28), ბარბაქაძე (13); დარახველიძე, პირტახია (2), კუპრაშვილი (2), ჭირაქაძე (17)

მსაჯები: როლანდ გელოვანი, ლაშა თოიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**ირაკლი პერტაია**

მეთერთმეტე ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი ხარვეზებით, მაგრამ მაინც დაიწყო. ეს ნამდვილად მოსალოცი ამბავია, რადგან ჰაერში გამოკიდებულმა და უამრავი დავალიანების მქონე ფედერაციამ მაინც მოახერხა ამ მისთვის საარსებო მნიშვნელობის ნაბიჯის გადადგმა და კალათბურთის გულშემატკივარსაც გული გაუხარა. ხარვეზები ვახსენეთ და უმისობას მეთერთმეტე ეროვნული ნამდვილად არ განიცდის. თუმცა ახლა მათ ჩამოთვლას არ მოვყვებით, ვიტყვით მხოლოდ ერთს — შაბათ-კვირას ვერის ბაღის დარბაზში ცნობილი მიზეზების გამო მხოლოდ ტაბლოს ელექტრონათურები ენთო. დავალიანება მეტად სოლიდურია და კალათბურთელებსაც დღის სინათლეზე უხდებათ თამაში, ასე კი დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან ზამთარი მოდის და მზიანი დღეები სანატრელი გაგვიხდება.

მოკლედ, ავად თუ კარგად, საკალათბურთო ჩემპიონატი დაგვიბრუნდა და შეუდგა ეკალ-ბარდებით მოფენილ გზას, თუმც დასასრული როდის და როგორი ექნება, არავინ იცის. ყველაფერს, ალბათ, ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მოჰფენს ნათელს, მანამდე კი...

გასულ უქმეებზე გამართული პირველი ტურის სამივე შეხვედრა ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს. სამივე მათგანს ჰყავდა უპირობო ფავორიტი და უშანსო აუტსაიდერი. ყველა შეხვედრა ლოგიკურად დასრულდა და თუ ინტრიგაც და ვნებათაღელვაც იყო, მხოლოდ უმნიშვნელო. ასე იქნება მანამდე, სანამ ბობოლები არ გადაეყრებიან ერთმანეთს და თუ მათ რიცხვს გადავხედავთ, ეს მალე მოხდება.

შაბათს კი ჩემპიონატი თბილისის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების გუნდების შეხვედრით დაიწყო. მათ შემადგენლობებს თუ გადავავლებთ თვალს, ადვილად შევამჩნევთ უდიდეს განსხვავებას. თსუ შარშანდელთან შედარებით სულ სხვა გუნდია. გამოცდილი მთავარი მწვრთნელის, ბესიკ ლიპარტელიანის გარდა მან მეტად ძლიერი შევსება მიიღო. სოხუმელებს კი თითქმის იმავე შემადგენლობა ჰყავთ და მათი ადგილიც, ალბათ ცხრილის ბოლოში იქნება. თამაში ქარაბაკის არაზუსტი სამქულიანით დაიწყო, თუმცა ჩემპიონატის პირველი ორი ქულა მანვე სორდიას უხეშობის შემდეგ საჯარიმოებიდან მოიპოვა. სსუ თავიდანვე დაცვაში გამაგრდა და ყრუ ზონით ცდილობდა თსუ-ს მძლავრი თავდასხმის — ქარაბაკი-კილაძე-ახალკაცის შეჩერებას. თუმცა ამას ჯარიმების ფასად ახერხებდნენ და მეორე წუთზე უკვე ოთხი გუნდური ჯარიმა დაუგროვდათ. შეტევებში კი სოხუმელები შორი მანძილიდან სროლებს ანიჭებდნენ უპირატესობას, თუმცა როცა მიხვდნენ, რომ არაფერი გამოსდიოდათ, წარმატების იარაღად ცენტრი ივანე აბულაძე აქციეს. სწორედ მისი და ირაკლი სორდიას აქტიურობით გაათანაბრა სსუ-მ ანგარიში — 8:8. ცხადი იყო, რომ თსუ-ს სოხუმელთაგან განსხვავებით შეთამაშება აკლდა, თორემ სათამაშო კლასში უპირატესობა თვალში საცემი იყო. პირველი მეოთხედის ბოლოს ანგარიშში სხვაობამ ათ ქულას მიაღწია — 26:16.

მეორე ათწუთეულში სსუ-მ მოუმატა და ახალშესული გიორგი ჟღენტისა და აბულაძის ძალისხმევით თსუ-ს ორი ქულით მიუახლოვდა — 28:26. აქ თბილისელებს მოთმინების ფიალა აევსოთ და პრესინგს მიმართეს. ამან კი ნაყოფი გამოიღო: მომდევნო ორ შეტევაში სსუ-მ ვერ მოახერხა, 24 წამის განმავლობაში შეეტია ფარისთვის, შანიძემ და ვეფხვაძემაც გამოიღეს ხელი და პირველი ნახევარი 44:36 დამთავრდა.

ის 30-ქულიანი უპირატესობა, რომლითაც თსუ-მ მატჩი მოიგო, პირველი ნახევრის მსვლელობიდან გამომდინარე, არალოგიკური ჩანს. თუმც ყველაფერი ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სოხუმელებს მესამე მეოთხედში ხუთი პერსონალურის გამო აბულაძე გამოაკლდათ. მას ზურაბ ტაბატაძეც მიჰყვა და სსუ-სთვის ყველაფერი დამთავრდა. სოხუმელები ვერაფერს უხერხებდნენ უსწრაფეს, „ბასკოდან" გადმობარგებულ გიორგი ნიკოლაძეს. ძველი დროება გაიხსენა ქარაბაკმა, ახალკაცმაც დაიპყრო ფარი და სსუ-ს საქმე ბოლო მეოთხედის წინ მოთავებული იყო — 71:55. მეოთხე ათწუთეულის შუაწელში თსუ-ს ძირითადი შემადგენლობა გასახდელში გაუჩინარდა, მოედანზე კი გართულებების თავიდან ასაცილებლად ნიკოლაძე დარჩა, რომელიც თავისუფლად იხვეჭდა ქულებს და საბოლოოდ თსუ-ს სადებიუტო გამარჯვებას სოლიდური სახე მისცა — 93:63.

ამ მატჩის შემდეგ გაიმართა მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ კალათბურთელებისადმი ფედერაციის აღმასკომის მიმართვა წაიკითხა, მერე კი მომდევნო მატჩში მონაწილე გუნდების კაპიტნებმა — ვასილ გოგუამ და რევაზ ჩხეიძემ „დიდების" თანხლებით ეროვნული დროშა აღმართეს. ცხადია, მიხვდით, ერთმანეთს „შევარდენი" — „დინამო" შეხვდა.

მატჩი საინტერესოდ დაიწყო. ორივე გუნდი სწრაფ თამაშზე აკეთებდა აქცენტს, განსაკუთრებით „დინამო". შემადგენლობით ეს უკანასკნელი ერთი თავით მაღლა დგას თავის მეტოქეზე, მაგრამ პირველი მეოთხედის შემყურე „შევარდენზე" აუგს ვერავინ იტყოდა. ამ მონაკვეთში თანაბარი ბრძოლის უპირველესი მიზეზი ავიაქარხნელთა შეთანხმებული და გააზრებული თამაშია, რაც ლევან მოსეშვილის გუნდზე არ ითქმის. „შევარდენი" თითქმის უცვლელი შემადგენლობით ასპარეზობს, ხოლო „დინამომ" ხუთი სხვადასხვა გუნდიდან 8 ახალწვეული შეიმატა და ცხადია, შეთამაშება აკლია. სწორედ ამიტომ იყო, რომ „შევარდენმა" პირველი ათწუთეული მოიგო. რიგიანად დაიწყო თამაში ძირითადში გამწესებულმა დინამოელმა თორნიკე ნინიაშვილმა, რომელიც საკუთარ ფარზე კი გაბატონდა, მაგრამ მეტოქისაზე ამის გაკეთება გაუჭირდა. თავიდან ვერც გამოცდილნი — რევაზ ჩხეიძე, კორძაძე, ჩუბინიძე ხეირობდნენ „შევარდენის" ფარზე, რასაც შევარდენელი გიორგი ჩხეიძე ზუსტი გარღვევებით პასუხობდა და მეორე მეოთხედის ნახევრამდე თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. ნინოშვილი-ნინიაშვილის კომბინაციას მორიგი ორი ქულა მოჰყვა — 22:19. ჩხეიძემ სამიანით გაათანაბრა, სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა მოედანზე დინამოელი დავით აკოლაშვილი და თავისი პირველი სამქულიანი ჩააგდო — 25:22. მეოთხედის ბოლომდე მან კიდევ ორჯერ ისროლა შორიდან, რასაც ჩუბინიძე ფარქვეშიდან ზუსტი სროლებით გამოეხმაურა და „დინამო" დიდ შესვენებაზე ათქულიანი უპირატესობით გავიდა — 38:28.

მეორე ნახევარი კვლავ აკოლაშვილის ზუსტი სამიანით განახლდა. თითქოს „შევარდენი" უნდა გატეხილიყო, მაგრამ გიგაური და ჩხეიძე თავგამოდებით იბრძოდნენ და დინამოელებს დიდი სხვაობით წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. ლევან მოსეშვილს შეცვლებმა არ გაუმართლა. ვერც ბერიშვილი და ბერია ჩაერთვნენ თამაშში. ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბურთის კარგვასა და არაზუსტ სროლებში, რითაც „შევარდენს" ბოლო მეოთხედის წინ შანსები შეუნარჩუნეს — 54:45.

უკანასკნელი ათწუთეული გიგაურის სუსტი სამქულიანით დაიწყო და მატჩიც, წესით, უნდა დაძაბულიყო, მაგრამ „დინამოს" აკოლაშვილის გასროლა (რიგით მეხუთე) წაეშველა, რომლის შემდეგაც გიგი ნაცვლიშვილმა და ზურაბ ჩუბინიძემ საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდეს. ზვიად მიქაძის სროლამ დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე „შევარდენი" საბოლოოდ გატეხა — 68:53. უფრო სწორად, „დინამო" ათამაშდა, თორემ ავიაქარხნელებს დანებებისა არაფერი ეტყობოდათ. ისინი ისეთივე შემართებითა და ძალისხმევით იბრძოდნენ მატჩის ბოლო წუთზეც, როგორც თამაშის დაწყებისას.

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონატს ქუთაისის გუნდიც დაუბრუნდა, რომელიც კვირას რუსთავის „აზოტს" შეხვდა. მატჩი რომ დიდ ინტერესს არ იწვევდა, ვერის ბაღში მოსულ გულშემატკივართა სიმცირემაც დაადასტურა. თამაში დუნედ დაიწყო, რუსთაველებს ეტყობოდათ, რომ ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. მათ იცოდნენ, რომ ქუთაისელებს ზედმეტი ძალების დახარჯვის გარეშეც მოუგებდნენ და საწყის წუთებზე თავი არც შეუწუხებიათ. ბერუაშვილმა პირველივე წამებზე შორიდან ზუსტად დალაშქრა ქუთათურთა კალათი, რასაც ბუბა კვიმსაძემ ორიანით უპასუხა. მეოთხედის შუაწელში ქუთაისელები 2 ქულით მიუახლოვდნენ რუსთაველებს — 9:11, თუმცა ბერუაშვილის ძალისხმევით „აზოტმა" მეოთხედი 19:8 მოიგო.

„აზოტის" მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ ქუთაისელებთან შეხვედრა, როგორც ჩანს, ექსპერიმენტებისთვის გამოიყენა, რადგან იგი ხშირად მთლიან ხუთეულს ცვლიდა ხოლმე. რუსთაველთა სათადარიგოებს კი ქუთაისელები საფუძვლიანად წინააღმდეგობას უწევდნენ და აზოტელებს გვარიანად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ.

უკანასკნელი მეოთხედი ბერუაშვილისა და კოკოლიშვილის ზუსტი ორქულიანებით განახლდა და ანგარიში 72:51 გახდა. რუსთაველებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და დაარხეინდნენ. აბა, რას წარმოიდგენდნენ, რომ 16-17 წლის ბიჭებისგან რაიმე საფრთხე იყო მოსალოდნელი. ამით კი ქუთაისელებმა ჩინებულად ისარგებლეს და ზურაბ ტომარაძე თავის სამწყსოსთან ერთად საკმაოდ ანერვიულეს. ბუბა კვიმსაძე და რევაზ ჭირაქაძე მომდევნო 5 წუთის მანძილზე აზოტელთათვის შეუჩერებლები შეიქნენ და ამ ორი მოთამაშის ძალისხმევით ქუთათურებმა დროის ეს მონაკვეთი 16:1 მოიგეს — 65:73. აქ კი დაფაცურდა ზურაბ ტომარაძე, წუთშესვენება აიღო და ახალბედა ლიპარტელიანს გამოცდილი ჟღენტი შეუნაცვლა. რუსთაველები მთელი ძალით ათამაშდნენ, ბაბიაშვილმა ზედიზედ რვა ქულა მოიხვეჭა, იქვე იყო ბერუაშვილიც და „აზოტმა" გამარჯვებულის ვინაობა ორ წუთში გაარკვია. ნორჩ ქუთაისელებს კი კარგა ხანს ემახსოვრებათ რუსთაველებთან 5 წუთში მოგებული 16:1.



თსუ — სსუ. სოხუმელთაგან საუკეთესო ირაკლი სორდიას გულიველ ახალკაცი უფარებს

## NBA. საგამოფენო მატჩი

# ამრევი არეულში

**19 ოქტომბერი**

**დეტროიტი 94:76 მაიამი**

დეტროიტი: ეტკინსი (9), სტეკჰაუზი (30), კარი (6), რობინსონი (10), ვოლესი (5); ბერი (12), ვილიამსონი (10), რებრაჩა (5), ვაიტი (4), მური (3), გირი

მაიამი: დევისი (12), ჰაუსი (10), ჰამილტონი (2), ელისი (11), მურნინგი (14); ლემფლი (10), ჯეიმსი (6), ალენი (7), მეკი (2), ბაფორდი (2), სტეფანია (13 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა), ბრაუნი

„დეტროიტთან" შეჯახებამდე ერთი დღით ადრე „მემფისთან" თამაშში „მაიამის" ჩვენებურმა ცენტრმა ვლადიმერ სტეფანიამ 15 წუთში 15 ქულა მოიხვეჭა და მეორე მწვრთნელ სტენ ვან განდის თავი აქებინა. სანამ „ჰითის" თავკაცი, სახელოვანი პატ რაილი პირად პრობლემებს აგვარებს, მას ვან განდი ცვლის და საქმე გასაქცევად გახდომია. „მემფისთან" მარცხის შემდეგ მან ოდენ ჩვენებურის მისამართით გამოიმეტა ორიოდ საქებარი სიტყვა, სხვებს კი უჯიგროები და უვიცები უწოდა. ერთი დღის შემდეგ უკვე „პისტონზსთან" რომ შერცხვნენ, მას ალარაფერი უთქვამს, მაგრამ რომც ეთქვა, ნამდვილად ალარავის გამოარჩევდა, იმდენად უსახურად გამოიყურებოდნენ მისი დროებითი შეგირდები. სტეფანიამ ამჯერად თავი ვერაფრით გამოიჩინა. მას 13 წუთით თამაში ებოძა და სულ ორი მოხსნა შეაშველა გაჭირვებულ თავისიანებს.

„მაიამის" ოთხი დამწყები აკლდა. სასტარტო ხუთეულის წევრთაგან იმ დღეს მხოლოდ ალონზო მურნინგი შევიდა მოედანზე და თავდაპირველად არცთუ ურიგოდ შეუტია მეტოქის კალათს. „ზოლამის მარტო შეება „დგუშებს" და საწყის მეოთხედში 10 ქულა, 4 დაფარება, სამი მოხსნა და ამდენივე პასი მოინაგრა, მისი „მაიამი" კი 12 ქულით დაწინაურდა, მაგრამ ვინაიდან ამის შემდეგ არც მას და არც სხვა მაიამელს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, „ჰითი" აირია და თანდათან ჩაინთქა ჯერი სტეკჰაუზის და სხვა მასპინძელთა შეტევებში.

მურნინგი კიდევ ცდილობდა საქმის შველას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეურვედ „პისტონზის" ახალწვეული, ვეება იუგოსლავიელი ცენტრი ჟელკო რებრაჩა მიუჩინეს, ჩხუბის მეტი არაფერი გაუკეთებია. რებრაჩას მჭიდრო მეთვალყურეობით ნერვებმოშლილმა მურნინგმა ერთხელ უღრიალა იუგოსლაველს: „ჯიგარო, ჩვენ ფეხბურთს კი არ ვთამაშობთ!"

ბოლო მეოთხედში სულ მოეჭრათ სტუმრებს თავი. „დეტროიტმა" დაცვაში მოუჭირა და თორმეტ წუთში „მაიამი" 4 ქულას (!) დააჯერა.

„მაიამის" რიგებში ჯერაც არ უთამაშია „ჰითის" ახალწვეულ როდ სტრიკლენდს. ეს 35 წლის ექსსუპერგამთამაშებელი „მაიამიმ" ამ უქმეებზე აიყვანა, რითაც დუნია გააოცა. სტრიკლენდი ერთი ჭირვეული ვინმეა და თუმც გამთამაშებელია, გუნდისთვის ზრუნვა ჩვევად არა აქვს. ასეთებისთვის კი, როგორც წესი, პატ რაილის გუნდში ადგილი არ მოიძებნება. წინა სეზონის შუაწელს მაიკლ ჯორდანმა იგი თავისი გუნდიდან, „ვაშინგტონიდან" გააგდო, აქაოდა, მილიონებს ხვეტავ და არათუ კაპიკის საქმეს არ აკეთებ, პირიქით ურევო. სავარაუდოდ, სტრიკლენდი ძირითად გამთამაშებლად შეგულებულ ენტონი კარტერს დაასვენებს, თუმც მასზე ბევრი ესმის კალათბურთში.

ამასობაში კი, სანამ სტეფანიას „მაიამი" „დეტროიტთან" სირცხვილს ჭამდა, მორიგი მარცხი იწვნია ჯორდანის „ვაშინგტონმა". დედაქალაქელები „ნიუ ჯერსის" შინ დაუხვდნენ და გადაჭედილ დარბაზში 95:102 წააგეს. „ჯადოქრებს" ვერ უშველა ნამდვილი „ჯადოქრის", ჯორდანის 41-მა ქულამ, ვინაიდან მის მხარდამხარ მოთამაშეთაგან არავინ გამოიძებნა თუნდაც ათი ქულის ჩამგდები.

ჩვენებურ ვოვა სტეფანიას კიდევ ორი თამაში აქვს მარაგში, რათა პატ რაილის თავის მოაწონოს. „ჰითი" წუხელ „მინესოტას" უნდა შეხვედროდა, დღეს კი „სან ანტონიოს" მასპინძლობით დაასრულებს საგამოფენო მატჩებს.

**ირაკლი ფირუაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი. V ტური



ნუკრი მარჯანიძის ფოტო

რკინიგზელებმა „ყოჩებს" გასაქანი არ მისცეს

# რა შეღავათი, რის შეღავათი...

ქუთაისი. 21 ოქტომბერი. დინამო

**აია 18:21 დათვები**

**აია:** ჩუბინიძე, ნამჩევაძე (სორდია), ლილუაშვილი, ე. ძაგნიძე, თ. აშვეთია, ზვიადაძე, კ. გიორგაძე, კოპალიანი, დ. ბალანჩივაძე (ტორაძე), პაპავა, მაღლაკელიძე (თ. ბალანჩივაძე), მინაძე, ცნობილაძე, ყურაშვილი, საყვარელიძე
**4ს:** ძაგნიძე; **2ა:** ზვიადაძე
**დათვები:** დვალაძე, შავაძე, ხონელიძე, პინჩუკოვი, კაპანაძე, კიკნაძე, გ. ხელაძე, დ. შენგელია (მოლაშხია), ღლონტი, ნონიძე, ი. ბერიძე, ჩირგაძე, შვანგირაძე (ფხაკაძე), ი. ხვანიძე, კობახიძე
**2ლ:** შვანგირაძე, ხონელიძე; **3ს:** კობახიძე; **სგ:** კობახიძე
**გაფრთხილება:** კობახიძე
**მსაჯი:** ნოდარ რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** გელა მიქაბერიძე

წვიმდა გუშინწინ საღამოს ქუთაისში, მაგრამ, აბა, ავდარი აქ რა სახსენებელია. „აია" — „დათვების" ჯახს წვიმა გაანელებდა?! ბათუმელები საპლეიოფო ოთხეულში პირველობას ლამობენ, ქუთაისელები კიდევ მესამე პოზიციის შენარჩუნებას. რა შეღავათი, რის შეღავათი...

ჰოდა, „დინამოზე" ბრძოლა იყო!..

მასპინძლებმა მძლავრად დაიწყეს და მეტოქეს მალევე ექვსი ქულით გაუსწრეს. ემზარ ძაგნიძემ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო, ზვიადაძემ კი შერკინებაში მოგებული ბურთი იგდო ხელთ და არეკნით გაატარა ძელებს შორის. ახლა სტუმრებისა იკითხეთ. კობახიძემ საჯარიმოთი შეამცირა ანგარიშში სხვაობა და „დათვებსაც" გული მიეცათ. კარგა ხანს უტევდნენ სტუმრები, საიდან არ უტრიალეს „აიას" ლელოს, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს. ამასობაში ძაგნიძეს კიდევ მიეცა შანსი და ამჯერადაც ზუსტად დაარტყა საჯარიმო. კობახიძემ სამქულიანი სხვაობა საჯარიმოთი [illegible] აღადგინა.

მეორე ნახევარში დაძაბულობამ უფრო იმატა. ზვიადაძემ მოლიდან გამოტანილ ბურთს ისევ ზუსტად უთავაზა და — 12:6. ვერ შეეგუენ ამას „დათვები", იერიშს იერიში მიაყოლეს. შვანგირაძის ლელო კობახიძემ გარდასახა და უკვე სტუმრები დაწინაურდნენ, ჯერ ქულით, მერე ოთხითაც — კობახიძემ საჯარიმოც გაიტანა.

არ შედრკა „აია", ძალა მოიკრიბა და თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანა. ძაგნიძის საჯარიმოს შემდეგ ანგარიში 15:16 გახდა.

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა, როდესაც მასპინძლებმა ერთხელაც მოიპოვეს ჯარიმის უფლება და ძაგნიძემ რთული მდგომარეობიდან ქულით გაიყვანა თავისი გუნდი წინ და თითქოს „აიას" გამარჯვება უნდა ეზეიმა, ოღონდ...

„დათვებმა" უმალ გაითამაშეს ბურთი, ქუთაისელთა ნახევარზე დაკიდეს, აიელებიც მიუტევებლად შეცდნენ დაცვაში, ხონელიძე კი შეუდარებლად გაისარჯა და ბურთი მეტოქის ლელოში შეიტანა. კობახიძემ ვერ გარდასახა, მაგრამ არც ყოფილა საჭირო, დარჩენილ წამებში მასპინძლებს მდგომარეობის შეცვლას ვინ დააცლიდა.

„აია" დამარცხდა, მაგრამ მესამე ადგილის შენარჩუნების იმედი არ დაუკარგავს. ყველაფერს „ყოჩებთან" მატჩი გადაწყვეტს, ქუთაისელებს ფრეც კი აძლევთ ხელს.

**დიმიტრი შენგელია** ქუთაისიდან

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 15 | 12 | 0 | 3 | 334:193 | 24 |
| ლოკომოტივი | 15 | 11 | 0 | 4 | 397:195 | 22 |
| აია | 15 | 7 | 0 | 8 | 221:230 | 14 |
| ყოჩები | 15 | 6 | 0 | 9 | 371:167 | 12 |

# ლელომ მსაჯი გაათრა

თბილისი. ავლაბარი. 21 ოქტომბერი

**ყოჩები 15:18 ლოკომოტივი**

**ყოჩები:** კობერიძე, გრუტკო, ტრაპაიძე, ციბაძე, ზ. შენგელია (საკანდელიძე), ლიპარტელიანი, გიორხელიძე, ჩიქავა, გოლიაძე, ფირიაშვილი, ზესაშვილი (ცხვედიანი), ჩაკვეტაძე, ს. ჭელიძე, ვაშაყმაძე, გ. ხაბეიშვილი
**2ლ:** კობერიძე, გიორხელიძე; **სგ:** გიორხელიძე; **1ს:** გიორხელიძე
**ლოკომოტივი:** ძნელაძე, გუგავა, ბუგიანიშვილი, ალანია, მათიაშვილი (ასათიანი), კვინიხიძე, სარიშვილი, კურცხელიძე (თოფურიძე), ცხადაია, კ. ჭელიძე, ბურდული (ცხომელიძე), გ. გიორგაძე (მოგელაძე), ზ. მანსურაძე, გ. ხვანიძე (ბ. უდესიანი), კახიანი
**2ლ:** კახიანი, ბუგიანიშვილი; **სგ:** კვინიხიძე; **2ს:** კვინიხიძე
**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი
**მეთვალყურე:** გოგი სუთიაშვილი

მეორე ეტაპის მეხუთე ტურის თბილისურ მატჩს ავლაბრის სტადიონმა უმასპინძლა. ერთმანეთს ჩემპიონი „ლოკომოტივი" და ვიცე-ჩემპიონი „ყოჩები" დაუპირისპირდნენ.

სხვა დროს ეს ტურის ცენტრალური შეხვედრა იქნებოდა, მაგრამ დღეს „ყოჩები" აჩრდილიღა არიან იმ მრისხანე გუნდისა, რომელიც მეტოქეებს შიშის ზარს სცემდა. თქმა არ უნდა, ამირან თეზელაშვილის სამწყსომ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს. ალბათ, ეს არის „ყოჩების" არასტაბილური თამაშის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

მიმდინარე ჩემპიონატში ეს გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან ორჯერ „ლოკომოტივმა" იზეიმა გამარჯვება, ერთხელ კი „ყოჩებმა" იძალეს.

კვირას გამართულ მატჩში ვიცე-ჩემპიონები საფრანგეთიდან დროებით მობრუნებულმა სანდრო ჭელიძემ და დავით ცხვედიანმა გააძლიერეს, რკინიგზელებმა კი ძირითადი შემადგენლობის უკანახაზელი ნინო ანდღულაძე მოისაკლისეს და ამასთან, არც მთავარი მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი დაბრუნებიათ უკრაინიდან.

შეხვედრა დაიწყო და უკვე მეათე წუთზე იჩინა თავი მსაჯობის საკითხმა. „ლოკომოტივის" მძლავრი იერიში „ყოჩების" ლელოში წარმოქმნილი ზედახორით დასრულდა. თითქოს ექსჩემპიონებმა შეძლეს სიტუაციის განმუხტვა, მაგრამ რკინიგზელები ჯიუტად ამტკიცებდნენ, ლელო იყოო. მთავარი მსაჯი გია ჯავახიშვილი რკინიგზელთა მოსაზრებას არ ეთანხმებოდა, თუმცა გვერდით მსაჯ პაატა ნარიმანაშვილთან კონსულტაციის შემდეგ ლელო ჩათვალა. ამას „ყოჩების" არცთუ კორექტული პროტესტი მოჰყვა და გია ჯავახიშვილსაც ბევრი არ უფიქრია, მოედანი დატოვა და ტრიბუნებზე მოკალათდა. ვინ არ სთხოვა მას, თავისი მოვალეობა შეესრულებინა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. შეხვედრას ჩაშლა დაემუქრა. მორაგბეებმაც ქურთუკები მოიცვეს და გასახდელისკენ დააპირეს წასვლა. რაგბის კავშირის მესვეურების და გუნდების მწვრთნელების თხოვნით, მატჩს გვერდითი მსაჯი, ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი პაატა ნარიმანაშვილი გაუძღვა. მისი ადგილი კი წარსულში ცნობილმა მორაგბემ, ზურაბ ხარშილაძემ დაიკავა.

დაახლოებით თხუთმეტწუთიანი პაუზის შემდეგ შეხვედრა განახლდა. აქედან მოყოლებული თამაში, ფაქტობრივად, „ყოჩების" ნახევარზე მიმდინარეობდა. „ყოჩებს" აშკარად უჭირდათ მეტოქესთან გამკლავება, რომელსაც ზურგქარიც ეხმარებოდა. დიდი ჯაფა დაადგა ვიცე-ჩემპიონთა დაცვას. „ლოკომოტივი" გააზრებულად ათამაშებდა ბურთს და სისტემატურად ქმნიდა სახიფათო მომენტებს. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას გიორგი ბუგიანიშვილმა ფეხით შეუცურა ბურთი სიჩქარეაკრეფილ ლექსო გუგავას, მანაც მეორეჯერ დაალულოვა მეტოქე, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა ზურაბ ხარშილაძემ მთავარ მსაჯს ანიშნა, მანამდე წესები დაირღვაო და ლელოც გაუქმდა. რამდენიმე წუთში კი ბობა კვინიხიძემ მაინც გაზარდა ანგარიშში სხვაობა — მან დიდოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ამის შემდეგ უკვე „ყოჩებმა" იძალეს. გიორხელიძემ ასევე საჯარიმოდან უპასუხა მეტოქეს. იმავე გიორხელიძეს მეორეჯერაც შეეძლო ეხეირა, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა. მეორე ტაიმამდე თვალსაჩინო აღარაფერი მომხდარა, თუ მცირე შეხლა-შემოხლებს არ ჩავთვლით.

შესვენების შემდეგ მატჩის სურათი მკვეთრად შეიცვალა. „ყოჩებმა" თამაში გაათანაბრეს და მალე შედეგსაც მიაღწიეს. ზვიად კობერიძე ორ რკინიგზელს შორის მარდად გაძვრა და ლელოსაც უწია. გიორხელიძემ გარდასახა და „ყოჩები" წინ გავიდნენ — 10:8. „ლოკომოტივმა" ტემპს უმატა და კიდევ უფრო მძლავრად მიაწვა მეტოქეს, თუმცა ლელო ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მიითვალა. ბუგიანიშვილმა მოწინაამდეგის დაცვა გაჭრა, „ყოჩების" მცველს, ზვიად კობერიძეს მოხდენილად აუარა გვერდი და ბურთი აულელვებლად დადო მეტოქის ლელოში. კვინიხიძემ ახლოდან მანძილიდან იოლად გარდასახა.

ამირან თეზელაშვილმა შეცვლებს მიმართა — მოედანზე სწრაფი სანდრო საკანდელიძე და მორკინალი დავით ცხვედიანი შეუშვა. ამათაც გააძლიერეს „ყოჩები". ეგ იყო, გუნდი შეტევების ორგანიზებას ვერაფრით ახერხებდა: მათი მე-10 ნომერი სპირიდონ ლიპარტელიანი რკინიგზელებს საიმედოდ ჰყავდათ ამოკეტილი. მიიღებდა თუ არა ლიპარტელიანი ბურთს, მასთან უმალ „ლოკომოტივის" მორკინალი გაჩნდებოდა და არც შებოჭვას უგვიანებდა. ერთხელაც შეუტიეს „ყოჩებმა" და მიზანსაც მიაღწიეს: გიორხელიძე რკინიგზელთა მცველებს დაუძვრა და ბურთიანად „ლოკომოტივის" ლელოში შევიდა. ეს იყო და ორიოდ წუთში ბობა კვინიხიძემ საჯარიმოდან ზუსტად დაჰკრა, როგორც ბოლოს გაირკვა, მას გამარჯვებისა გაეტანა.

დარჩენილ დროში „ყოჩებმა" თავი არ დაზოგეს, თამაშიც გაათანაბრეს და უფრო ფრესლა თუ ივარაუდებდა კაცი. მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე ეს შედეგი სავსებით ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ ვიცე-ჩემპიონები თავიანთ სასარგებლოდ დანიშნულ საჯარიმოებს ჯიუტად არ ურტყამდნენ კარში, მეტოქის ლელოში შეღწევას კი ვერაფრით ახერხებდნენ. ეგ კი არა, ბოლო წუთზე კვინიხიძეს ერთხელაც შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მიზანს ვერ უწია.

**გაჩო სვანიძე**



ნუკრი მარჯანიძის ფოტო

ნუკრი სარიშვილმა ყოჩი ირაკლი გიორხელიძე შებოჭა

## შედეგები

### მხატვრული ტანვარჯიში

მსოფლიოს ჩემპიონატი
მადრიდი (ესპანეთი)

**მრავალჭიდი.** 1. ალინა კაბაევა (რუსეთი) 113.025; 2. ირინა ჩაშჩინა (რუსეთი) 109.750; 3. ტამარა ეროფეევა (უკრაინა) 106.225
**გუნდური.** 1. რუსეთი 275.900; 2. უკრაინა 258.875; 3. ბელარუსი 254.500
**სახტუნელა.** 1. ალინა კაბაევა (რუსეთი) 27.925; 2. ირინა ჩაშჩინა (რუსეთი) 27.250; 3. ტამარა ეროფეევა (უკრაინა) 26.025
**ბურთი.** 1. ალინა კაბაევა (რუსეთი) 27.957; 2. ირინა ჩაშჩინა (რუსეთი) 27.275; 3. სიმონა პეიჩევა (ბულგარეთი) 26.625
**გურზები.** 1. ალინა კაბაევა (რუსეთი) 28.375; 2. ირინა ჩაშჩინა (რუსეთი) 27.525; 3. სიმონა პეიჩევა (ბულგარეთი) 27.275
**რგოლი.** 1. ირინა ჩაშჩინა (რუსეთი) 27.500; 2. ალინა კაბაევა (რუსეთი) 27.450; 3. სიმონა პეიჩევა (ბულგარეთი) 26.175



REUTERS

ალინა კაბაევამ ექვსი შესაძლებლიდან ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა

ექვსი ერის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი



REUTERS დუბლინიდან

კიტ ვუდმა (მარჯვნივ) მაიკლ გოლვეის ხელშეწყობით ინგლისელებს ლელო გაუტანა

# უდიდესი გამარჯვება უძველეს სტადიონზე

დუბლინი. „ლენსდაუნ როუდი"
20 ოქტომბერი. 48500 მაყურებელი

**ირლანდია 20:14 ინგლისი**

**ირლანდია:** დემპსი, ჰორგანი, მეგზი, ოდრისკოლი (მალინზი 78), ჰიკი, ჰემფრიზი (ოგარა 60), სტრინგერი; კლოჰესი (ბირნი 67), ვუდი, ჰეიესი, გოლვეი (ბრენანი 67), ოკელი, მილერი, უოლესი, ფოლი (კ. დოუსონი 77)

**ლ:** ვუდი; **ნს:** ჰემფრიზი (3), ოგარა (2)

**ინგლისი:** ბოლშოუ, ლუგერი (ო. ჰილი 61), გრინვუდი, ჰეტი, რობინსონი, უილკინსონი, მ. დოუსონი (ბრაკენი 38); ლენარდი, გრინინგი (უესტი 41), ვაიტი (როუნთრი 75), შოუ, გრიუკოკი, კორი (მუდი 75), ბეკი, რ. ჰილი

**ლ:** ო. ჰილი; **ჰს:** უილკინსონი

**მსაჯი:** ჰონისი (სამხრეთ აფრიკა)

სწორედ ასე მონათლა თავისიანების წარმატება ირლანდიურმა გაზეთმა „აირიშ თაიმსმა", რომელსაც სხვებმაც აუბეს მხარი და „სამყურები" დიდად აქეს. მართალიცაა, რადგან ირლანდიელებმა 1993 წლის შემდეგ პირველად შეძლეს ინგლისელთა დამარცხება და თან მათ ექვსი ერის პირველი დიდი სლემიც არ დაანებეს. „ძალიან მტკივა გული, როცა შოტლანდიაში იმ დახანან მარცხს ვიხსენებ, თორემ ახლა ხომ ექვსი ერის ჩემპიონებიც ვიქნებოდით და დიდი სლემიც ჩვენი იქნებოდა" — დანანებით თქვა მასპინძელთა კაპიტანმა კიტ ვუდმა.

„არანაირი გამართლება არ გვაქვს" — განაცხადა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა. მისი აზრით, კაპიტან მარტინ ჯონსონისა და მორკინალ ლოურენს დალაგლიოს არყოფნა, სანაკრებო დონეზე ამ და წინა მატჩს (საფრანგეთთან 7 აპრილს, 48:19) შორის ექვსთვიანი შესვენება, წაგების მიზეზებად არ გამოდგება. ვუდვორდმა თავისი გუნდის თამაშში არსებული ხარვეზები ტექნიკურად გაანალიზა და აღნიშნა, რომ ხელით ბურთაობისას ძალიან ბევრი იყო წუნი, დერეფნების დროს კი არასწორი არჩევანი.

„გუნდურადაც ძალიან ცუდად გავისარჯეთ და საერთოდ, საზიზღრად ვითამაშეთ" — მთლად გადაუსვა ხაზი თავის ნაკრებს ვუდვორდმა. არადა, ტურნირის პირველ ოთხ შეხვედრაში, რომლებიც ზამთარსა და გაზაფხულზე ჩაატარა ინგლისმა, მეტოქეები საშუალოდ 7-ჯერ დაალეწლოვა მატჩში, ახლა კი მხოლოდ ბოლო წუთებზეღა შეძლო მეტოქის ლელომდე მიღწევა, როცა შეცვლაზე გამოსულმა ოსტინ ჰილიმ გამოიჩინა თავი.

და შეიძლება ინგლისის პრობლემა სულ სხვა რამეც კი იყოს. ამის თქმის უფლებას ის იძლევა, რომ „ვარდის თხუთმეტეულმა" ზედიზედ მესამედ გაუშვა ხელიდან უკანასკნელ წამს დიდი სლემი. 1999 წელს უელსელმა სკოტ გიბსმა ბოლო წუთზე დაალელოვა ინგლისელები და „წითლებმა" 32:31 გაიმარჯვეს, შარშან კი მანამდე ყველა მატჩში დამარცხებულმა შოტლანდიამ 1990 წლის შემდეგ პირველად მოუგო სამხრეთელ მეზობელს და დიდადაც გაიხარა. თანაც გაიხსენეთ 1999 წლის მსოფლიოს თასიც, სადაც ინგლისმა ორიდან ორი პრინციპული შეხვედრა წააგო ჯერ ჯგუფში ახალ ზელანდიასთან და მერე მეოთხედფინალში სამხრეთ აფრიკასთან.

„მაგრამ გასულ სეზონში ხომ სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის ძლევაც მოვახერხეთ" — თავი დაიცვა ვუდვორდმა, როცა პრესკონფერენციაზე უთხრეს, მნიშვნელოვან მატჩებს ვერ იგებთ და ეტყობა, ამის ფსიქოლოგიური შიში გაქვთო. თუმცა ინგლისელთა დამრიგებელს დაავიწყდა, რომ მის მიერ მაგალითად მოყვანილი თამაშები უბრალოდ ტესტები იყო და მეტი არაფერი. თანაც სხვა რას უნდა დავაბრალოთ დენი გრიუკოკის შეცდომა მატჩის მიწურულს, როცა მან მარჯვნივ მდგარი ოთხი პარტნიორი ვერ შენიშნა და პირდაპირ ამაოდ შეასკდა ირლანდიის დაცვას. არადა, ზუსტი პასი ფაქტობრივად ლელოს და შესაბამისად დიდი სლემის ტოლფასიც შეიძლებოდა გამხდარიყო.

ირლანდიელებმა კი მშვენივრად ისარგებლეს მეტოქის სისუსტეებით და გამარჯვებასაც მიაღწიეს. სტუმრები ფეხით თამაშისას სცოდავდნენ, რამაც მასპინძლებს მოედნის მათ ნახევარზე დამკვიდრების საშუალება მისცა. თანაც, ვუდვორდის თქმისა არ იყოს, მიხი გუნდი დერეფნებისას პოზიციურად აგებდა ბრძოლას, რასაც მოჰყვა კიდეც ვუდის ლელო. აუტში გოლვეის მიერ ბურთის მოპოვებას ოკელის შეტევის გაგრძელება მოჰყვა, რომელიც „სამყურათა" კაპიტანმა დაახლოებით ისევე დააგვირგვინა, როგორც ბორჯღალოსანთა ბურჯმა ლევან ცაბაძემ რუმინეთში საქართველოს გამარჯვებისას გატანილი ლელო. მათ კი ვისაც არც ერთი ლელო არ უნახავს, ვეტყვი, რომ ვუდმაც და ცაბაძემაც, მიუხედავად, რომ მეტოქეები ზედ ეკიდნენ, მაინც უწიეს „ალთქმულ მიწას".

ირლანდიამ ტაიმი 11:6 მოიგო და მეორეში კიდევ უფრო დაწინაურდა დევიდ ჰემფრიზისა და მისი შემცვლელი რონან ოგარას ზუსტი საჯარიმოების შემდეგ — 20:9. თამაშის ბოლო „სამყურებმა" თავიანთი ლელოს ხაზზე გაატარეს, მაგრამ ალბიონელებს მხოლოდ ერთხელ მისცეს ბურთით ხელში მისი გადაკვეთის საშუალება.

„ირლანდიელმა გმირებმა ინგლისი გააბრუეს" — ასე გამოეხმაურა თავისიანების გამარჯვებას კიდევ ერთი ირლანდიური გაზეთი „აირიშ ინდეპენდენტი" და ჩვენც ამით დავასრულოთ 2001 წლის ექვსი ერის ჩემპიონატი.

**გაგი გურული**

| საბოლოო მდგომარეობა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 4 | 0 | 1 | 229:80 | 8 |
| ირლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 129:89 | 8 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 92:116 | 5 |
| უელსი | 5 | 2 | 1 | 2 | 125:166 | 5 |
| საფრანგეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 115:138 | 4 |
| იტალია | 5 | 0 | 0 | 5 | 106:207 | 0 |



NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# შაბათს ლიგას სული ამოხადეს

19 ოქტომბერი

**ბუფალო 1:3 კოლუმბუსი (0:1 0:0 0:2)**
0:1 ობენი 14(2), 1:1 აფინოგენოვი 43(2), 1:2 სანდერსონი 52(2), 1:3 რაიტი 60(4)

**ატლანტა 3:4 რეინჯერსი (1:1 1:1 1:2)**
1:0 კოვალჩუკი 11(3), 1:1 მესიე 17(2), 2:1 ფერარო 28(2), ლინდროსი 33(3), 2:3 ნედვედი 43(3), 2:4 იორკი 47(2), 3:4 ჰიტლი 52(1)

**ვაშინგტონი 4:1 მონრეალი (0:1 4:0 0:0)**
0:1 ბრისბუა 10(1), 1:1 ბონდრა 22(6), 2:1 იაგრი 22(2), 3:1 ლინდენი 27(1), 4:1 ბონდრა 33(7)

**მინესოტა 2:3 სენტლუისი (0:1 1:0 1:1 0:1)**
0:1 უეიტი 15(2), 1:1 ოლტოკი 38(1), 1:2 უეიტი 42(3), 2:2 გეივი 53(1), 2:3 ტკაჩუკი 61(4)

ხშირად როდი ნახავთ მოთამაშეს, რომელმაც წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში, მაგრამ მაინც უკმაყოფილობის გრძნობა დარჩა. სწორედ ასე დაემართა რეინჯერსი — ატლანტას მატჩის შემდეგ ნიუიორკელთა ერთ-ერთ ლიდერ ტეო ფლერის.

მიუხედავად იმისა, რომ მისმა ხაზმა, რომელშიც ერიკ ლინდროსი და მაიკ იორკი ასპარეზობდნენ, ორი გოლი მოითვალა (მათ შორის გამარჯვებისა), ხოლო თავად ფლერიმ გუნდის მეოთხე გოლი მოამზადა, „ჯუჯა ტეოს" თურმე გაცილებით მეტის გაკეთება სდომებია.

ჩვენს ხაზს 15 გოლის გატანა შეეძლოო, თქვა მატჩის შემდეგ ფლერიმ და ეს სულაც არ არის გადაჭარბებული. სამივე ფორვარდს უამრავი შანსი ჰქონდა, ხოლო თავად ტეომ 11-ჯერ (!) დაარტყა, მაგრამ დამიენ როუდსის კარი ერთხელაც ვერ აიღო. ფლერი რომ საკუთარი თავისადმი ასეთი მომთხოვნია, ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ხოლო თუ მისი სამეული ასე გააგრძელებს, გოლები უხვად გავა და გუნდიც ქულებს დააგროვებს.

ატლანტას რიგებში ნორჩებმა იხეირეს, ილია კოვალჩუკმა უკვე მესამედ გაიტანა, დან ჰიტლიმ კი პირადი ანგარიში გახსნა.

თავის მე-7 მატჩში პირველად დამარცხდა მინესოტა. თუმც „უაილდი" ხელცარიელი მაინც არ დარჩა, ვინაიდან მხოლოდ ოვერტაიმში დათმო შეხვედრა. ერთ-ერთ გრანდს, სენტ ლუისს, მინესოტას გასატეხად დიდი ჯაფა დაადგა. იგი წამყვანი, დუგ უეიტის (2+1) ტრიოს თავგამოდებამ იხსნა. ტრავმის მოშუშებისა და ნჰლ-ისთვის სარეკორდო კონტრაქტის დადების შემდეგ ჩატარებული პირველი მატჩი იარომირ იაგრმა ინდივიდუალური გარღვევის შედეგად გატანილი გოლით აღნიშნა, თუმც ჯერჯერობით მის ახალ კლუბში, ვაშინგტონში, უპირველესი ლიდერი პეტერ ბონდრაა.

20 ოქტომბერი

**კალგარი 4:1 ტორონტო (1:1 2:0 1:0)**
1:0 იგინლა 10(9), 1:1 იუშკევიჩი 13(1), 2:1 მაკამონდი 22(2), 3:1 ლოური 36(2), 4:1 რაიტი 42(1)

**მონრეალი 1:3 ბუფალო (0:1 0:0 1:2)**
0:1 კოზლოვი 2(5), 1:1 ზედნიკი 57(1), 1:2 გრეტონი 57(2), 1:3 რასმუსენი 60(1)

**ნიუ ჯერსი 3:2 ოტავა (1:1 2:0 0:1)**
1:0 არნოტი 1(5), 1:1 ხარა 9(1), 2:1 ელიაში 22(4), 3:1 ნიდერმაიერი 30(1), 3:2 არვედსონი 45(1)

**დეტროიტი 3:2 ლოს ანჯელესი (2:2 1:0 0:0)**
1:0 ფიოდოროვი 1(5), 2:0 ჰალი 5(4), 2:1 მიური 5(5), 2:2 ჯონსონი 14(1), 3:2 რობიტაილი 36(5)

**ნეშვილი 1:2 ბოსტონი (0:0 0:1 1:1)**
0:1 ტორნტონი 24(3), 1:1 არხიპოვი 45(1), 1:2 ნაბლი 50(2)

**დალასი 2:2 ჩიკაგო (1:0 0:1 1:1 0:0)**
1:0 მოროუ 17(3), 1:1 კოლდერი 39(3), 2:1 ვერბიკი 46(1), 2:2 ჰაუსლი 50(3)

**ფინიქსი 5:2 ვანკუვერი (1:0 1:1 3:1)**
1:0 ლენგკოუ 6(4), 2:0 მეი 22(1), 2:1 ბრაშირი 27(3), 2:2 მორისონი 48(2), 3:2 კოლანოსი 54(2), 4:2 ბრირი 56(4), 5:2 ლეტოვსკი 59(1)

**ედმონტონი 6:2 ფლორიდა (2:0 0:2 4:0)**
1:0 კომრი 13(4), 2:0 კარტერი 15(5), 2:1 შვეცლა 25(1), 2:2 ლოსი 32(1), 3:2 კარტერი 45(6), 4:2 ლარაქი 47(1), 5:2 მარჩანტი 48(1), 6:2 კლირი 59(3)

**სენტ ლუისი 2:1 პიტსბურგი (0:0 1:1 0:0 1:0)**
1:0 უეიტი 25(4), 1:1 სტრაკა 29(5), 2:1 დემიტრა 64(6)

**ანაჰაიმი 2:2 სან ხოსე (0:1 0:0 2:1 0:0)**
0:1 დამფუსი 19(3), 1:1 იუნსონი 49(1), 2:1 იაშინი 59(6), 2:2 დამფუსი 60(4)

**ფილადელფია 6:3 ვაშინგტონი (2:1 3:1 1:1)**
1:0 რეკი 8(1), 1:1 იაგრი 16(3), 2:1 რეკი 20(2), 2:2 ნიკოლიშინი 22(2), 3:2 ლეკლერი 32(5), 4:2 უეინრიჩი 32(2), 5:2 ლეკლერი 37(6), 6:2 რეკი 45(3), 6:3 დალინი 53(4)

**ტამპა 5:2 რეინჯერსი (3:0 2:1 0:1)**
1:0 კლაიმერი 2(2), 2:0 მოდინი 9(3), 3:0 ანდრეიჩუკი 11(2), 4:0 კლაიმერი 30(3), 4:1 ციგერი 34(2), 5:1 სენტლუისი 40(2), 5:2 ლიჩი 57(3)

**კოლუმბუსი 0:5 კოლორადო (0:3 0:1 0:1)**
0:1 ტანგეი 4(1), 0:2 ტანგეი 17(2), 0:3 ბოდინი 19(1), 0:4 დევრიზი 40(1), 0:5 ნედოროსტი 57(2)

**კაროლინა 2:1 ატლანტა (0:1 1:0 0:0 1:0)**
0:1 ტრამბლე 15(1), 1:1 ვასიჩეკი 38(3), 2:1 ონილი 62(5)

შაბათს, პირველად ნჰლ-ის ისტორიაში, 14(!) თამაში ჩატარდა და მხოლოდ ანაჰაიმმა და მინესოტამ დაისვენეს. მაქსიმალურად დატვირთული სათამაშო დღე უხვმოვლენიანიც გამოდგა. თითქმის ყველა თამაშში მოხდა რაღაც საინტერესო. თავის ხუთწლიანი გეგმის გამოქვეყნების შემდეგ მეორე მატჩშიც იაგრი მოწოდების სიმაღლეზე იყო და მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია, მაგრამ ამჯერად სუპერჩეხი მეტოქეებმა დაჩრდილეს, ფილადელფიის ლიდერებმა — მარკ რეკიმ და ჯონ ლეკლერმა ერთბაშად 5 გოლი მიითვალეს, თანაც პირველმა 1997 წლის შემდეგ ძლივს ჰეთ თრიქი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ რეკიმ, რომელმაც ასევე ერთი პასის გაკეთება მოახერხა, თავისი მესამე შაიბა უმცირესობაში შეაგდო.

სახელოვანმა სკოტი ბოუმენმა კიდევ ერთი მწვერვალი დალაშქრა. დეტროიტის თავკაცის კარიერაში 1200-ე მოგება მისმა საუკეთესო შეგირდებმა უზრუნველყვეს, რომელთაგან გოლების ავტორთა გარდა (აღსანიშნავია, რომ სამივე წინა მატჩშიც გამოირჩა) ბრენდან შენაჰანის (2 პასი) ზედიზედ მერვე ქულიანი ასპარეზობაც უნდა გამოვყოთ.

ყოფილმა თანაკლუბელებმა კიდევ ერთ ცნობილ მოთამაშეს, დუგ გილმორს გაუფუჭეს ჰოკეიში დაბრუნების ზეიმი. ბუფალოდან მონრეალში აღმოჩენილმა სახელოვანმა პლეიმეიკერმა 57-ე წუთზე საფირმო პასით რიჩარდ ზედნიკს გაათანაბრებინა, მაგრამ სულ რაღაც 22 წამში, სანამ დიქტორი გოლის შემქმნელთა გვარებს აცხადებდა, კრის გრეტონმა სწრაფი კომბინაცია დააგვირგვინა და მონრეალს ზედიზედ მესამე მარცხი აგემა.

სამაგიეროდ, კალგარი არ ანელებს სტარტზე აღებულ ტემპს. ზედიზედ მესამე მოგების შემდეგ გუნდს უკვე ექვსი გამარჯვება მოუგროვდა, რაც „ალებმა" შარშან მხოლოდ 27 თამაშში შეძლეს. ერთი კარგად ჩატარებული პერიოდი ნიუ ჯერსის ზედიზედ მეორე გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა, პიტსბურგმა კი ახალ მწვრთნელ რიკ კეჰუს თავკაცობით პირველი მარცხი იწვნია. ოვერტაიმში ზედიზედ მესამედ მოასპარეზე სენტ ლუისს ეყო სტუმართა ძლევის ძალა, გადამწყვეტი გოლის ავტორმა პავოლ დემიტრამ კი მეშვიდე ქულიანი თამაში ჩაატარა.

დალასს მაიკ მოდანო ტრავმირებული ჰყავს, ჯო ნიუნდაიკმა კი თამაშის დროს გაიტეხა ცხვირი და გუნდი ედ ბელფორის თავგამოდებამლა გადაარჩინა. ასევე 2:2 დასრულებულ ანაჰაიმისა და სან ხოსეს შეხვედრაში კი მეტოქეებმა ძირითადი დროის ბოლო წუთზე გოლები გაცვალეს. თანაც სანხოსელმა ვენსან დამფუსმა მასპინძლებს მოგება მატჩის დასრულებამდე 6 წამით ადრე აართვა.

21 ოქტომბერი

**ჩიკაგო 4:2 კოლორადო (0:0 2:1 2:1)**
0:1 ბლეიკი 23(3), 1:1 ჟამნოვი 26(3), 2:1 კოროლიოვი 19(2), 2:2 საკიკი 44(5), 3:2 კლემი 47(1), 4:2 ბელი 57(1)

**ანაჰაიმი 3:1 ვანკუვერი (1:1 2:0 0:0)**
0:1 კესელსი 5(1), 1:1 სალეი 13(1), 2:1 ლეკლერკი 37(3), 3:1 მაკინისი 39(2)

მიუხედავად იმისა, რომ შაბათს კოლუმბუსი გაანადგურა, კოლორადო ჯერჯერობით თავის საჩემპიონო ფორმაში არ არის, რაც კვირას ჩიკაგოსთან შეხვედრამაც დაამტკიცა. ისევ ლიდერები თუ გამოირჩეოდნენ „ეველანშის" რიგებში", დაცვამ კი რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა. იგორ კოროლიოვმა უმცირესობაში გაიტანა, მისმა თანამემამულე ალექსეი ჟამნოვმა გოლს 2 პასი დაამატა, ხოლო გამარჯვების გოლი ექსკოლორადოელმა ჯონ კლემმა გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ანაჰაიმიდან

ანაჰაიმი — ვანკუვერი. შაიბის ნაცვლად დან კლუტიეს კარში ანაჰაიმელი ჯეფ ფრიზენი აღმოჩნდა

# მირნის ლაზიერობამდე ნაბიჯი დააკლდა

## დევენპორტი კაპრიატის დედოფლობას ეცილება



ლინდსი დევენპორტი მორიგი პრიზით

| შტუტგარტი (გერმანია) „მასტერსის სერია" ჰარდი. საპრიზო 2,95 მილიონი $ |
| --- |

**მეოთხედფინალი.** ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:7 (5:7), 6:3, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — ტომას ენქვისტი (შვედეთი) 7:5, 6:4; ტომი ჰაასი (15, გერმანია) — ტიმ ჰენმანი (7, დიდი ბრიტანეთი) 2:6, 6:3, 6:4; მაქს მირნი (ბელარუსი) — პიტ სამპრასი (9, აშშ) 6:4, 6:2
**ნახევარფინალი.** ჰაასი — ჰიუიტი 3:6, 6:4, 7:5; მირნი — კაფელნიკოვი 7:6 (7:3), 6:3
**ფინალი.** ჰაასი — მირნი 6:2, 6:2, 6:2

ფლორიდაში, ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში ერთად გაზრდილები — 23 წლის ტომი ჰაასი და 24-ის მაქს მირნი შტუტგარტის „მასტერსზე" ფინალში შეიბნენ. იქამდე ორთავემ ძალიან მძიმე გზა გაიარა, რაც უფრო მირნიზე ითქმის. განუთესავმა ბელარუსმა ზედიზედ გააგდო მსოფლიოს პირველი ჩოგანი გუსტავო კუერტენი, პიტ სამპრასი და ევგენი კაფელნიკოვი — განთესვის თანახმად მეტად საპატიო ხალხი. ერთ დროს მრისხანე სამპრასმა პრაქტიკულად ვერ იბრძოლა აწყვეტილ ახალგაზრდასთან, ხოლო კაფელნიკოვმა მხოლოდ პირველი სეტის ტაიბრეიკამდე გაუძლო.

ამასობაში ჰაასმა მეოთხედფინალი მოუგო ტიმ ჰენმანს (სამ სეტში, მაგრამ იოლად), ნახევარფინალიდან კი თვით ლეიტონ ჰიუიტი მოაშორა იქაურობას. მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის მებრძოლ ოზთან პაექრობა ჰაასმა ჰენმანთან მატჩის ანალოგიურად ჩაატარა: მალე წააგო პირველი სეტი, მეორეში თამაში გარდატეხა და მესამე უკვე მისი იყო. ვერ გეტყვით, საწყისი სეტების წაგება ჰაასის რაიმე ტაქტიკური ან ფსიქოლოგიური ჩანაფიქრი თუა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შინაურ გარემოში მოთამაშე გერმანელი ფინალში რატომღაც მირნიზე ბევრად მხნედ გამოიყურებოდა.

გადამწყვეტი მატჩი სიმეტრიული ანგარიშით დამთავრდა — 6:2, 6:2, 6:2. აქ ხანგრძლივი კომენტარი უადგილოა, თვითონ ანგარიში მიუთითებს, რომ ჰაასმა კორტი სრულიად დაიპყრო.

„ეს იყო ჩემი უდიდესი გამარჯვება — შეაჯამა ჰაასმა თავისი კარიერის პირველი ეტაპი — მიყვარს გერმანიაში თამაში, ძალიან მინდოდა, თანამემამულეებს გამარჯვებული ვენახე".

წლევანდელი წელი ჰაასისთვის მეტად იღბლიანი გამოდგა: აგერ უკვე მეოთხე ტურნირი მოიგო (ერთ-ერთი — გასულ კვირას, ვენაში) და შტუტგარტის „მასტერსზე" მისი წარმატება იმიტომაც უნდა გამოირჩეს, რომ 5 წლის წინ იქ გამარჯვებული ბოლო გერმანელი ბორის ბეკერი იყო.

ახლა ჰაასს 5 ტიტული მოუგროვდა (ამათგან 4 წლევანდელი) და „ჩემპიონთა რბოლის" უახლეს ვერსიაში დიახაც სიმპათიურ მე-7 ადგილზე ვხედავთ. ეს კი უკვე „მასტერს კაპის" საგზურია, რომელიც მელბურნში ნოემბერში უნდა შედგეს 8 ყველაზე ელიტარული ჩოგბურთელის მონაწილეობით. ოღონდ მხედველობაში მიიღება არა ახლანდელი, არამედ ნოემბრის „ჩემპიონთა რბოლის" შედეგები, ამიტომ ჰაასს მოპოვებულის შენარჩუნება ჯერ კიდევ მართებს. მას ალბათ არ გაუხარდა ის ამბავი, რომ მომავალი წლიდან შტუტგარტი შეიძლება „მასტერსის" გარეშე დარჩეს.

ეს ტურნირის მმართველმა კლაუს დიტერ ჰელდმანმა კვირას გამოაცხადა. საქმე ისაა, რომ გერმანიაში ჩოგბურთისადმი ინტერესი განელდა. კრიზისი ბუნებრივად დაიწყო ბორის ბეკერისა და შტეფი გრაფის პენსიაზე გასვლის შემდგომ. ახალი გამოკვეთილი ვარსკვლავი არ ჩანს (ჰაასი ჯერ არ ითვლება), ხალხი ტრიბუნებზე შეთხელდა და სარეკლამო აბრებს ძველებური ეფექტი აღარ აქვს. სპონსორებს ორგანიზატორებისთვის განუცხადებია, მომავალი წლიდან საპრიზო ფონდი 18 პროცენტით შემცირდებაო. ანუ ეს იქნება სადღაც ორნახევარი მილიონი დოლარი, რაც „მასტერსს" მაღალ სტატუსს დაუკარგავს. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ გამოსავალი ტურნირის გაყიდვაა (რუსულ „კრემლის თასსაც" ხომ იგივე ემუქრება). მათ უკვე წინადადებები მიუღიათ შანხაიდან, მადრიდიდან და ჰონკონგიდან. „შტუტგარტმა საჩქაროდ უნდა გადაწყვიტოს, უნდა ეს ტურნირი თუ არა" — კვირასვე თქვა პრომოუტერმა იონ ცირიაკმა.

თუ გასული კვირა უმნიშვნელოვანესი იყო ტომი ჰაასის კარიერაში, მაქს მირნიმ საერთოდ რა თქვას? კაცი, ვისაც ერთეულებში არაფერი მოუგია (ATP-ტურნირებს ვგულისხმობთ), ახლოს იყო იმასთან, რომ თავისი ტიტულების ანგარიში „მასტერსის" მოგებით გაეხსნა.

„დღეს პრობლემა არ მქონია — ღირსეულად თქვა მირნიმ — ის (ჰაასი) უბრალოდ ჩემზე მაგარი იყო".

ბელარუსი ძლიერია წყვილებში. ლეიტონ ჰიუიტთან ერთად მან ამერიკის ღია პირველობა მოიგო და შტუტგარტშიც, წყვილთა ფინალში სენდონ სტოლთან ერთად დაამარცხა ელის ფერერასა და ჯეფ ტარანგოს დუეტი — 7:6 (7:0), 7:6 (7:4). ამისთვის მცირე თანხა მიიღო, მიამატა იგი ერთეულებში გამომუშავებულ 228 ათას დოლარს და უაღრესად გამდიდრებული გაშორდა შტუტგარტს.

ტომი ჰაასს 434 ათასი გადაუხადეს.

| ციურიხი (შვეიცარია) SWISSCOM CHALLENGE ჰარდი. საპრიზო 1,19 მილიონი $ |
| --- |

**მეოთხედფინალი.** ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — მარი გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:4, 6:2; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 3:6, 6:1, 6:1; ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) — სილვია ფარინა ელია (8, იტალია) 6:4, 7:6 (7:3); ნატალი ტოზია (5, საფრანგეთი) — სანდრინ ტესტიუ (9, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:4)
**ნახევარფინალი.** დევენპორტი — კაპრიატი 6:1, 5:7, 6:2; დოკიჩი — ტოზია 6:2, 6:2
**ფინალი.** დევენპორტი — დოკიჩი 6:3, 6:1

გამარჯვებულებზე ვსაუბრობთ და წინა უქმეებზეც იგივე სიტუაცია იყო: ტომი ჰაასმა და ლინდსი დევენპორტმა ტურნირები მოიგეს. ამ კვირას ჰაასის დუბლი შტუტგარტში შესრულდა, დევენპორტისა — ციურიხში, სადაც ფინალური მატჩი საათსა და 3 წუთში მოუგო ელენა დოკიჩს. ეს არ იყო პრინციპული ბრძოლა, ტურნირის მთავარ მატჩად დევენპორტ — კაპრიატის ნახევარფინალი უნდა ჩაითვალოს, რადგან ციურიხში გამარჯვებით დევენპორტმა მარტინა ჰინგისს რეიტინგლისტის მე-2 პოზიცია წაართვა და ახლა კაპრიატის ჩოგბურთის დედოფლობას ეცილება. ამათ დავაში არ ერევა მე-3 ნომერი ვინუს უილიამსი (ჰინგისი მეოთხეა), რომელმაც ამერიკის ღია პირველობის შემდგომ ტურნირებს უგანა. აი, დევენპორტს კი სერიოზულად განუზრახავს, კაპრიატის წლეულსვე გაუსწროს. ნახევარფინალში ლინდსიმ ძალიან ჩქარა მოიგო პირველი სეტი, დიდი ჯაჯგურით წააგო მეორე და მესამე ისევ ჩქარა დაინარჩუნა. ფინალში დოკიჩს შანსი არ ჰქონია.

„სრულყოფილი ორი კვირა მქონდა — თქვა მძიმეწონოსანმა ჩოგბურთელმა — იმედი მაქვს, მიუნხენშიც კარგ ფორმაში ვიქნები, სეზონი მძლავრად უნდა ჩავამთავრო". განვიმარტავთ, რომ WTA-ტური უკვე გადავიდა ავსტრიულ ლინცში, ხოლო სეზონს მიუნხენში ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციის ჩემპიონატი დაავგვირგვინებს. დევენპორტს ამ ორი ტურნირის მოგება უნდა, ხოლო სტატისტიკა ამერიკელის შესახებ გვეუბნება, რომ ციურიხის ტურნირზე მან ადრე ორჯერ გაიმარჯვა, 3 და 4 წლის წინათ. შარშან დევენპორტი ფინალში იყო, სადაც ჰინგისი მოერია. ეს გახლდათ მისი ერთადერთი მარცხი ამ კოხტა შვეიცარიულ ქალაქში, მაშინ, როცა 15-ჯერ მოუგია.

**დავით გულუა**



მოულოდნელად აწყვეტილი მაქს მირნი მხოლოდ ფინალში დაშოშმინდა

REUTERS



ტომი ჰაასს თავდადება დაუფასდა

# ლაბაძე პეტერბურგის ძირითადში და მანტილიას პირისპირ



ირაკლი ლაბაძე

**ალმოსავლეთ** აზიაში ასპარეზობამოლეული ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ევროპაში დაბრუნდა და ბებერ კონტინენტზე გამართულ ტურნირებში ჩაება. ამჟამად 20 წლის ლაბაძე რუსეთში, პეტერბურგში იმყოფება, სადაც იქაური ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და ძირითად, 32-კაციან ბადეში მოხვდა.

ლაბაძე საკვალიფიკაციო ეტაპზე მესამე ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში ამერიკელ ჯონათან სტარკს აჯობა — 3:6, 7:6 (7:3), 6:1. მეორე წრეში უკრაინელ ორესტ ტერეშჩუკს მოუგო. გუშინ კი რუსი, ძველი კლასიფიკაციით 857-ე იგორ კორნიენკო დაამარცხა და ძირითად ბადეშიც გააღწია. მეთექვსმეტედფინალში ლაბაძის მეტოქე ესპანელი ფელიქს მანტილია იქნება.

პეტერბურგის ტურნირის საპრიზო ფონდი 800 ათასი დოლარია და იგი 11-ათასიან „იუბილეინიში" იმართება. პირველ ნომრად რუსი ევგენი კაფელნიკოვია განთესილი, რომელიც ჩემპიონთა რბოლაშიც და ძველ კლასიფიკაციაშიც მეექვსე ადგილზეა. რაც შეეხება ლაბაძეს: ქართველი ჩოგბურთელი, ჩემპიონთა რბოლაში, წინა კვირის მსგავსად 142-ეა. ძველ კლასიფიკაციაში კი სამი საფეხურით დაიწია და ახლა 109-ე ადგილზეა.


იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250მ².
დამხმარე ფართი 80მ²
პირველ სართულზე.



ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7.
კინოთეატრ "სულიკოსთან"



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge